პარლამენტისა და მთავრობის "ომი" კარზეა მომდგარი A3

თქვენი პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი გზა A8

მეცნიერება B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 4 ივნისი, 2004 წელი. №131 (680) | ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

## განსაკუთრებული შემთხვევა ქართული მთავრობების ისტორიაში



გუშინ ეკონომიკის ახალ მინისტრს პირველი სამუშაო დღე ჰქონდა. მინისტრი კახა ბენდუქიძე აშკარად განსაკუთრებული შემთხვევაა ქართული მთავრობების ისტორიაში. მისგან უახლოეს პერიოდში ახალ იდეებსა და ნოვაციურ მიდგომებს ელოდებიან

A4

უცხოეთი

## ღამურა კვლავ ძლიერი და საშიშია

სამხედრო დაზვერვას რუსეთში დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი სამხედრო სადაზვერვო სამსახური ალექსანდრე პირველმა 1812 წელს დააარსა.

A5



საზოგადოება

## კმარა ბაზრობა - პარკები გაგვიშენეთ



ელიავას ბაზრობის მოპირდაპირე მხარეს, სამხედრო ნაწილის ყოფილი ტერიტორიის მეზობლად მცხოვრებნი გუშინ დილიდან თბილისის მერის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ. მოსახლეობას რამდენიმესაათიანი ლოდინი და "ზურა, ზურა"-ს ძახილი დაუფასდა.

A6

სამართალი

## პროკურატურა იქნება ისეთი, როგორი ნებაც ხელისუფლებას აქვს

რა ხდება გენერალური პროკურატურის კედლებს მიღმა და რა ცვლილებები მიმდინარეობს სისტემაში?

A7

ნომრის სტუმარი

## მოსამართლე დაბალი ღობე არ არის

B1



# ცხინვალის შეშფოთებული დე ფაქტო ხელისუფლება



სოფიკო ოხანაშვილი

*გორი-ცხინვალის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენითი სამუშაოები გუშინ სოფელ ნიქოზიდან დაიწყო. სამუშაოების დაწყებას, "საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის დავით ონოფრიშვილის გარდა, კონფლიქტურ ზონაში სპეციალურად ჩასული პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ. თავდაპირველად განწყობა ოპტიმისტური იყო და, დაახლოებით, ასე ჟღერდა: "თბილისი-ცხინვალის სარკინიგზო მიმოსვლა რამდენიმე დღეში აღდგება". თუმცა, მოგვიანებით, ცხინვალის მისადგომებთან შეიარაღებული პირები გამოჩნდნენ. გუშინ ცხინვალის მისადგომებთან მოვლენები ასე ვითარდებოდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## უმრავლესობამ ზურაბ სოსელიას კანდიდატურა დაიწუნა

პარლამენტის თავმჯდომარე უკან არ იხევს

თამარ ასათიანი

*საპარლამენტო უმრავლესობა კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტზე ფინანსთა მინისტრის მოადგილის ზურაბ სოსელიას დანიშვნის წინააღმდეგია. გუშინ, უმრავლესობის დახურულ სხდომაზე, პრეტენზიები ისმოდა არა მხოლოდ კანდიდატის, არამედ თავად პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მისამართითაც, რომელმაც, როგორც დეპუტატები აცხადებენ, კანდიდატურა ისე დაასახელა, რომ უმრავლესობისათვის რჩევაც კი არ უკითხავს.*

"24 საათთან" საუბარში რამდენიმე პარლამენტარი იმასაც აცხადებდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ საკუთარი პოლიტიკური თამაშის წამოწყება სცადა, რადგან მისი პოზიციები ამ ბოლო დროს აშკარად შესუსტებული იყო.

მეორე მხრივ, ნინო ბურჯანაძეს სრული უფლება ჰქონდა, საკუთარი კანდიდატურა უმრავლესობასთან შეუთანხმებლადაც დაესახელებინა. ხოლო კანდიდატურის განხილვა ფრაქციებსა და კომიტეტებში მხოლოდ წარდგენის შემდეგ დაწყებულიყო. თუმცა, ფაქტი სახეზეა – პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის საპარლამენტო გარემოცვამ თავი აშკარად შეურაცხყოფილად იგრძნო, როდესაც ნინო ბურჯანაძის გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო. თანაც, ტელევიზიით.

გაგრძელება A3 გვერდზე

## კოკოითი ჭერჭერობით ბედს არ ეგუება

სოფო ბუკია

*ცხინვალის რეგიონში განლაგებულ საგუშაგოებს დღეიდან ქართული მხარე გაზრდილი შემადგენლობით გააკონტროლებს. ქართული სამშვიდობო ძალების შემადგენლობა აქ 80-დან 500 სამხედრომდე გაიზრდება. გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ძალების მორიგი როტაცია დაიწყო, რომელსაც უშუალოდ შინაგანი ჯარების სარდალი გოგი თავთუხაშვილი ხელმძღვანელობს.*

გუშინ გამთენიისას გორში ის მძიმე ტექნიკაც ჩავიდა, რომელიც 26 მაისს სამხედრო აღლუმში მონაწილეობდა და აღლუმის შემდეგ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე იყო განლაგებული. რამდენიმე ათეული ტანკი უკვე თავის პირვანდელ დისლოკაციის ადგილს - გორის სატანკო ბატალიონს დაუბრუნდა. კუთვნილი ტექნიკა გორის დივიზიაში შეკეთებული და გაორმაგებული რაოდენობით დაბრუნდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჯორჯ ბუში: ჩემი ქვეყნის ოკუპაციას ვერც მე შევურიგდებოდი

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ამ კვირაში საფრანგეთს ეწვია. პარიზი მეორე მსოფლიო ომის დროს ნორმანდიაში მეორე ფრონტის გახსნის 60 წლისთავს ზეიმობს და ამ ცერემონიალზე თეთრი სახლის მესვეურიც მიიწვიეს. გამგზავრების წინ ჯორჯ ბუშმა ფრანგული ჟურნალის "Paris Match"-ის კორესპონდენტს ვრცელ ინტერვიუზე თანხმობა განუცხადა. მართალია, მთლიან ინტერვიუს ჟურნალი დღეს გამოაქვეყნებს, მაგრამ გაზეთმა "ლე ტემპსმა" გუშინ უკვე მოასწრო ჯორჯ ბუშის და ფრანგი ჟურნალისტის საუბრის მოკლე შინაარსის დაბეჭდვა.

საინტერესო ამ ინტერვიუში კი ის არის, რომ ჯორჯ ბუში პირველად ეკიდება გაგებით ერაყელ მებრძოლებს. **"მე თვითონაც ვერ შევურიგდებოდი ჩემი ქვეყნის ოკუპაციას,"** - აცხადებს აშშ-ს პრეზიდენტი. მისი თქმით, ანგლო-ამერიკულ სამხედრო დანაყოფებთან მებრძოლი ყველა ერაყელის ტერორისტებთან გაიგივება დაუშვებელია. **"მე ვეთანხმები აზრს, რომ ყველა მათგანი, ვინც ჩვენ გვებრძვის, ტერორისტი არ არის. კამიკაძეები ტერორისტები არიან, ხოლო დანარჩენი მებრძოლები კი - არა. ისინი თავიანთი ქვეყნის ოკუპაციას ვერ ეგუებიან. მათ ადგილზე, არც მე და არც არავის ეს არ მოეწონებოდა. აი, რისთვის ვუბრუნებთ მათ სუვერენიტეტს. 30 ივნისიდან ჩვენ მათ სრული სუვერენიტეტის გარანტიას ვაძლევთ,"** - აცხადებს ჯორჯ ბუში.

ერაყის საკითხში საფრანგეთთან ურთიერთობაზე საუბრისას აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტი შირაკი მისი მეგობარია და მათ შორის გადაულახავი ბარიერი არ არსებობს. შეკითხვაზე, მიიწვევს თუ არა ბუში შირაკს თავის ტეხასურ რანჩოში, პრეზიდენტმა სიცილით განაცხადა: **"თუკი შირაკს ძროხების ნახვა სურს, მობრძანდეს."**

გაგრძელება A5 გვერდზე



*სასოწარკვეთა ფანატიზმს და ტერორიზმს შობს, ხოლო თავისუფლება კი სასოწარკვეთას ამარცხებს. - აცხადებს აშშ-ს პრეზიდენტი.*

ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | |
| ქუთაისი | 26 | |
| ბათუმი | 21 | |
| სოხუმი | 23 | |
| ფოთი | 24 | |
| თელავი | 21 | |
| ზუგდიდი | 26 | |
| გორი | 22 | |
| ახმეტა | 22 | |
| ქიათურა | 24 | |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3410 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5144 |
| რუბლი | 0.0660 |

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება | B7 კვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

## ერაყში ქართველი ჯარისკაცები დაიჭრნენ

ერაყში, კოალიციური ძალების ვორხორზის სამხედრო ბაზაზე, სადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-16 სამთო მსროლელი ბატალიონის ასეულია დისლოცირებული, სამი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით, 2 ივნისს ვორხორზის ბაზის წინააღმდეგ ნაღმმტყორცნიდან განხორციელებული რამდენიმე გასროლით მსუბუქად დაიჭრნენ უმცროსი სერჟანტი ოთარ ბებიაშვილი, უმცროსი სერჟანტი ზურაბ ჩაჩანიძე და კაპრალი გოჩა ზურაბიანი. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ქართველი ჯარისკაცებისთვის მიყენებული ჭრილობა გამჭოლი არ აღმოჩნდა და მათთვის სერიოზული დაზიანებები არ მიუყენებია, დაჭრილებს ჰოსპიტალიზაცია არ დასჭირვებიათ, ჭრილობების ადგილზე დამუშავების შემდეგ სამივე მათგანი ქვედანაყოფს დაუბრუნდა. ქართული სამშვიდობო დანაყოფი, რომელიც საჩხერის მე-16 სამთო მსროლელი ბატალიონის 159 სამხედრო მოსამსახურისგან შედგება, ერაყში მიმდინარე წლის 7 აპრილს გაემგზავრა. დანაყოფს მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია ხელმძღვანელობს და მისი დისლოკაციის ადგილებია ქალაქები ბაღდადი, ბეიჯი და ტიკრიტი. საქართველოს სამშვიდობო კონტინგენტის მისიას, აშშ-ს სამხედრო ძალებთან ერთად, ბაზის ტერიტორიის დაცვა, ბაზის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მორიგეობა, ბაზის გარეთ არსებული კოალიციის ძალების ობიექტების დაცვა, საგზაო-საკონტროლო პუნქტზე მორიგეობა წარმოადგენს. გარდა ამისა, ქართველი მშვიდობისმყოფელები დასახლებული პუნქტების პატრულირებას ახორციელებენ. სამშვიდობო დანაყოფის მიზანია ასევე ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირთა დაპატიმრება, გადამალული იარაღის და საბრძოლო მასალების ან კონტრაბანდის ამოღება, კოალიციის რომელიმე ქვედანაყოფზე თავდასხმის შემთხვევაში - სწრაფი რეაგირების ძალების გაძლიერება. **მედია-ნიუსი**

## ქართველებმა ოსურ მხარეს პატიმარი დუდაევი გადასცეს

ქართველმა სამართალდამცველებმა ოსურ მხარეს ცნობილ ოს კრიმინალ მარეკ დუდაევთან ერთად დაკავებული მისი ბიძაშვილი ბადრი დუდაევი გადასცეს, რის შემდეგაც ბადრი დუდაევი ოსურმა მხარემ პატიმრობიდან გაათავისუფლა. შიდა ქართლის ოლქის პროკურორის დავით წითურის განცხადებით, გამოძიებით გამოიკვეთა, რომ დაკავების დროს ბადრი დუდაევი მარეკ დუდაევთან შემთხვევით იმყოფებოდა და მას მხოლოდ პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით წაუყენეს ბრალი. თუმცა, ქართულმა მხარემ მას აღნიშნული დანაშაული აპატია, ვინაიდან არ დადასტურდა მისი მონაწილეობა მარეკ დუდაევთან ერთად ჩადენილ მძიმე დანაშაულებებში და დაკავების დროს ამოღებული იარაღებიც მარეკ დუდაევის კუთვნილება აღმოჩნდა. ბადრი და მარეკ დუდაევები ქართველმა სამართალდამცველებმა 16 მარტს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ ზემო არცევში დააკავეს. დაკავებისას ორივე მათგანმა პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც საპასუხო სროლის შედეგად მძიმედ დაიჭრა მარეკ დუდაევი და მას გორის საავადმყოფოში ოპერაცია ჩაუტარდა. მარეკ დუდაევს რამოდენიმე მძიმე მუხლით აქვს წაყენებული ბრალი, მათ შორის - მკვლელობების, ყაჩაღობის, ადამიანის გატაცებისა და იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისათვის. აღნიშნული ბრალდებების საფუძველზე მას სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. იგი ამჟამად თბილისის ორთაჭალის საპყრობილეში იმყოფება. **პრაიმ-ნიუსი**

## ლევან ვასაძე თბილისში "უიქენდზე" ჩამოდის

ბოლო დღეებში რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებში პატრიოტიზმის გრძნობამ "იხუვლა". 4 ივნისს მოსკოვიდან თბილისში ჩამოდის რუსული კომპანია "სისტემის" პირველი ვიცე-პრეზიდენტი, 33 წლის ლევან ვასაძე, რომელიც გუშინ, კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრად დაინიშნოს. შეგახსენებთ, რომ ლევან ვასაძე 28-29 მაისს თბილისში ჩატარებული საქართველო-რუსეთის ბიზნესკონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. იგი 1992-1993 წლებში ედუარდ შევარდნაძის მიერ დაარსებული ფონდის "დემოკრატია და აღორძინება" გენერალური დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. კომპანია "სისტემის" ოფისში ბიზნესმენის საქართველოში გამგზავრების მიზეზს არ აკონკრეტებენ, თუმცა აცხადებენ, რომ იგი დასვენების დღეების - შაბათ-კვირის თბილისში გატარებას აპირებს. ვასაძის შესაძლო გამინისტრებას აბსურდული განცხადება უწოდა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა და თავად სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა კი კომენტარისგან თავი შეიკავეს.
*24 საათი*

## დღეს სსფ საქართველოს საკითხს განიხილავს

საქართველოში სავალუტო ფონდის პროგრამის აღდგენის საკითხი დღეს გადაწყდება. ხვალისთვის დაგეგმილია სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელზეც საქართველოში პროგრამის აღდგენის შესახებ იმსჯელებენ. წინასწარი მონაცემებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე პრობლემებს აღარ შექმნის რუსეთი, რომლის გამოც 26 მაისისთვის დაგეგმილი დირექტორთა საბჭოს სხდომა ერთი კვირით გადაიდო. რუსეთი ამჯერად მზად არის, საქართველოში ფონდის პროგრამის აღდგენას მხარი დაუჭიროს. რუსულმა მხარემ ასევე გამოთქვა მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს პარიზის კლუბში საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომა 26 მაისს უნდა გამართულიყო, თუმცა იმის გამო, რომ რუსეთს წერილობითი თანხმობა ფონდში არ ჰქონდა გაგზავნილი, სხდომა 4 ივნისისთვის გადაიდო. როგორც ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რუსეთის მხრიდან ეს დათმობა საქართველოს მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების მხარდაჭერას არ უკავშირდება.
*ინტერ-პრესი*

## ბათუმის მერის თანამდებობა ვაკანტურია

ყოფილი მერის ედვარდ სურმანიძის მიერ ამ თანამდებობიდან გადადგომას აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებული ლევან ვარშალომიძე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ამის შესახებ მან 2 ივნისს შეიტყო. სურმანიძე საქართველოს პარლამენტს დაუბრუნდება. ბათუმის ახალი მერის ვინაობა რამდენიმე დღეში გაირკვევა, ხოლო კანდიდატურას თავად ლევან ვარშალომიძე დაასახელებს. 3 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობასთან საპროტესტო აქცია გამართა აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსულმა 80-მდე მოსახლემ, რომლებიც მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობენ და სოციალური პრობლემების გადაჭრასა და ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრას მოითხოვდნენ. ვარშალომიძის თანაშემწემ თემურ კახიძემ აქციის მონაწილეებს წინასწარი რეგისტრაციის გავლა პრეზიდენტის რწმუნებულთან შეხვედრის მიზნით შესთავაზა. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსულმა მხარემ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებლის სვიატოსლავ ნაბზდოროვის გაწვევაზე თანხმობა განაცხადა. აღნიშნული განცხადება სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ცხინვალიდან დაბრუნების შემდეგ გააკეთა.

ნაბზდოროვს გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი შეცვლის, რომელიც ორი დღის წინ ცხინვალში უკვე იმყოფებოდა და სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს შეხვდა.

კულახმეტოვი მანამდე როსტოვთან ახლოს მდებარე ქალაქ პრახლადნიში დისლოცირებული 58-ე არმიის მე-19 დივიზიის მეთაური იყო. იგი ცხინვალში მუშაობას, სავარაუდოდ, 15 ივნისიდან შეუდგება. სწორედ ამ დროისთვის დატოვებს კონფლიქტის ზონას ნაბზდოროვი. ახალი სარდალი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომამ ერთხმად უნდა დაამტკიცოს. სხდომა ორ კვირაში თბილისში გაიმართება. გოგა ხაინდრავას თქმით, ქართული მხარე უახლოეს დღეებში კულახმეტოვის კანდიდატურას შეისწავლის და შემდეგ გადაწყვეტს, დაუჭიროს თუ არა მას მხარი. ნაბზდოროვის სარდლად დამტკიცებას, თავის დროზე, ქართულმა მხარემ რამდენჯერმე ვეტო დაადო, თუმცა ოსური და რუსული მხარეები მის გაწვევაზე არ თანხმდებოდნენ. სწორედ ნაბზდოროვის მიერ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებულმა განცხადებებმა გაამწვავა ვითარება ცხინვალის რეგიონში, რასაც იქ საქართველოს შინაგანი ჯარების ქვედანაყოფების შეყვანა მოჰყვა. **24 საათი**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარის უმაღლესი საბჭოს 20 ივნისს დანიშნული არჩევნებისთვის ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია რეგიონში ხუთშაბათს დაიწყო და 13 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება. როგორც აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფალავამ განაცხადა, ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია არჩევნების დღეს, 20 ივნისსაც იქნება შესაძლებელი. ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცესი ისეთივეა, როგორიც გასულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში კრიზისია. პრეზიდენტ კოკოითს ძირითადი დასაყრდენი ძალა ეცლება. გუშინ მან პოსტიდან დე-ფაქტო ხელისუფლების უშიშროების მინისტრი ოლეგ ალბოროვი გადააყენა.

3 დღის წინ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანი ჯემალ ქაქუზოვი გადადგა, გუშინ კი რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლობამ, ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სამშვიდობო ძალების სარდლის, გენერალ ნაბდზოროვის შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე ამტკიცებს, რომ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ოპოზიცია აქტიურდება. თარგამაძის თქმით, სამხრეთ ოსეთში ხელისუფლებას ოპოზიცია ჰყავს, და თუ ადრე მათ გამოსვლებს საჯარო სახე არ ეძლეოდა, ახლა იგი აქტიურდება და პროტესტს უფრო ღიად გამოხატავს.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს ადგილობრივი მოსახლეობის მხოლოდ ერთი პროცენტი უჭერს მხარს და მისი მიმართ ცალსახა დამოკიდებულება არსებობს – ეს ადამიანი მოიხსენიება მხოლოდ როგორც ბანდიტი, რომელსაც თავისი ბანდიტური დაჯგუფება ჰყავს, - აღნიშნა პარლამენტარმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცხინვალში მცხოვრებ ოს მოსახლეობას ყველა იმ პირობას შეუქმნის, რითაც საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ნებისმიერი ეროვნების მოქალაქე სარგებლობს.

როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან შეხვედრის შემდეგ, სამების მშენებარე ტაძარში მისულმა მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ქვეყნის მთავრობა არ აპირებს მკვეთრი ქმედებების განხორციელებას და ყოველივე თანმიმდევრულად, გეგმაზომიერად მოხდება. **პრაიმ-ნიუსი**

### საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 9 ივნისს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 8 ივნისს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 9 ივნისის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

## საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული სხვადასხვა სიმძლავრის ფოტოპირგადასაღები აპარატების შესყიდვაზე ქვემოთ მოცემული სპეციფიკაციის შესაბამიად აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| ლოტი | | რესურსის დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1.1 | ხაზოვანი წარმადობის ქსეროქსი 60 ppm /ADF /Finisher /(offset stacking 30 set - 30 sheets, 2000 sheets tray)/ Paper DECK(3500 sheets)/ სახარჯი მასალის საწყისი კომპლექტი | 1 | ცალი |
| | 1.2 | ქსეროქსი (A3, 16 copies/min, Zoom 50 - 200%), სახარჯი მასალის საწყისი კომპლექტი | 7 | ცალი |
| | 1.3 | ქსეროქსი (A4, 12 copies/min, Zoom 70 - 141%), სახარჯი მასალის საწყისი კომპლექტი | 8 | ცალი |

2. მიწოდება სასურველია განხორციელდეს ტენდერის დამთავრებისა და ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარულ დღეში. CIF-თბილისის პირობით. საქონლელი, ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტებს კერძოდ: D-DL-30.01.2; CPC-451b

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში სათანადო რეგისტრაციის გავლით 18.00-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება(ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ ააქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი,ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

კ) ტენდერში მონაწილე უნდა იყოს მსოფლიო ბაზარზე აღიარებული "BREND"-ის სავაჭრო ნიშნის მქონე კომპანიის მიერ სერთიფიცირებული წარმომადგენელი როგორც გაყიდვებში ასევე სერვის მომსახურეობაზე;

(უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს).

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნას წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმავციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ე.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკიში მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5,საფოსტო ინდექსი 380005, ოთახიN124,125 ტელ./ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.**

## საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე ქვემოთ მოცემული სპეციფიკაციის შესაბამიად აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ტენდერში შესაძლებელია გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების შესაბამისად;

| ლოტი | | რესურსის დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1.1 | კომპიუტერი P 4/3.0 GHz/512 Mb/80Gb (7200rpm, ATA100)/FDD 1.44/CD-RW/SB/SP/ KB-Rus / SVGA 64Mb/ SVGA 15" TFT Flat Screen (1024x768/75Hz, Contrast Ratio - 400:1, Brightness - 250 nits)/ NIC 10/100, (Windows XP Professional) - ლიცენზირებული ვერსია | 77 | ცალი |
| | 1.2 | კომპიუტერი P 4/3.0 GHz/512 Mb/80Gb (7200rpm, ATA100)/FDD 1.44/CD-RW/SB/SP/ KB-Rus / SVGA 128Mb 3D/ SVGA 23" TFT Flat Screen (1920x1200/60Hz, Contrast Ratio - 350:1, Brightness -250 nits)/ NIC 10/100, (Windows XP Professional) - ლიცენზირებული ვერსია | 1 | ცალი |
| | 1.3 | მონიტორი LCD 15" TFT Flat Screen (1024x768/75Hz, Contrast Ratio - 400:1, Brightness - 250 nits) | 4 | ცალი |
| | 1.4 | მონიტორი SVGA 23" TFT Flat Screen (1920x1200/60Hz, Contrast Ratio - 350:1, Brightness -250 nits) | 1 | ცალი |
| | 1.5 | ჩამწერ-წამკითხველი CD-ROM/CD RW 52x/24x/52x | 19 | ცალი |
| | 1.6 | DVD- RW დისკების ჩამწერ-წამკითხველი | 4 | ცალი |
| | 1.7 | DVD- R,CD-R დისკების წამკითხველი | 2 | ცალი |
| | 1.8 | ვიდეოადაპტერი 256Mb/AGP 8X/S-Video Composite In/S-Video Composite Out/ SVGA 15 Pin Connector/ DVI Connector / Direct X9 support | 1 | ცალი |
| 2 | 2.1 | კომპიუტერი Note Book P 4/2.8 GHz/512 Mb/60Gb (ATA100) /FDD 1.44/ DVD/CD-RW / SB/SP/ KB-Rus / TFT 15"/Modem 56Kb/NIC 10/100, (Windows XP Professional) - ლიცენზირებული ვერსია | 22 | ცალი |
| | 2.2 | ნოუთბუქის ჩანთა | 25 | ცალი |
| 3 | 3.1 | ლაზერული პრინტერი (A4, 1200 dpi, 14 ppm, 8Mb), ... | 51 | ცალი |
| | 3.2 | ლაზერული პრინტერი (A4, 1200 dpi, 12 ppm, 8Mb) / სკანერი (600 dpi), ... | 1 | ცალი |
| | 3.3 | ლაზერული პრინტერი (A4, 1200x1200 dpi, 16 ppm, 8Mb, Ethernet 10/100 Base-TX, Duplexer) | 2 | ცალი |
| | 3.4 | ნოუთბუქის ჭავლური ფერადი პრინტერი (A4, 1200 dpi, 3/3 ppm, USB and IrDA) | 2 | ცალი |
| | 3.5 | ჭავლური ფერადი პრინტერი (A3, 1200 dpi, 7/4 ppm, USB and Centronics) | 1 | ცალი |
| | 3.6 | მატრიცული პრინტერი (A3, 9 pinx2, 1120 cps) | 3 | ცალი |
| | 3.7 | ჭავლური ფერადი პრინტერი (A4, 2400x1200 dpi, 8/4 ppm, USB and Centronics) | 7 | ცალი |

2. მიწოდება სასურველია განხორციელდეს ტენდერის დამთავრებისა და ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარულ დღეში. CIP-თბილისის პირობით. საქონელი, ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტებს კერძოდ: D-DL-30.02.1; CPC-452; D-DL-30.01.1; CPC-451a

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში სათანადო რეგისტრაციის გავლით 18.00-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ ააქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი,ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

კ) ტენდერში მონაწილე უნდა იყოს მსოფლიო ბაზარზე აღიარებული "BREND"-ის სავაჭრო ნიშნის მქონე კომპანიის მიერ სერთიფიცირებული წარმომადგენელი როგორც გაყიდვებში ასევე სერვის მომსახურეობაზე;

(უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს).

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნას წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმავციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ე.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკიში მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5,საფოსტო ინდექსი 380005, ოთახიN124,125 ტელ./ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, გიორგი ბერიაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# უმრავლესობამ ზურაბ სოსელიას კანდიდატურა დაიწუნა



ის კითხვის ნიშნები, რომელიც უმრავლესობას აქვს, ზოგი - უსაფუძვლო, ზოგიც - საფუძვლიანი, უნდა მოიხსნას, რისთვისაც კონსულტაციები გაგრძელდება.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

**რატომ მიიჩნევს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ სოსელიას ნეიტრალურ ფიგურად? არის თუ არა კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტი პოლიტიკური თანამდებობა? რა სამოქმედო გეგმა აქვს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს? რატომ ვერ ხვდება პარლამენტის თავმჯდომარე, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარე არა ფინანსისტი ან ბუღალტერი, არამედ პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს? რატომ შეაჩერა საკუთარი არჩევანი ნინო ბურჯანაძემ სწორედ ზურაბ სოსელიაზე, როდესაც პარლამენტში რამდენიმე ღირსეული კანდიდატურა შეიძლებოდა მოძებნილიყო?** – როგორც ამბობენ, უმრავლესობის სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარეს ყველაზე მეტად სწორედ ასეთი სახის კითხვებს უსვამდნენ.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ წუთამდე ამ პოსტზე ინტენსიურად სახელდებოდა ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელის, პარლამენტარ დავით ტყეშელაშვილის კანდიდატურა. საპარლამენტო კულუარებში გავრცელებული ხმების თანახმად, მისი დამტკიცება პირდაპირ შედიოდა პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ინტერესებში, რადგან კონტროლის პალატა სწორედ ის ორგანოა, რომლის ხელში ჩაგდებითაც ჟვანიას გუნდი ძალაუფლების და გავლენის დამატებით და არცთუ უმნიშვნელო ბერკეტს დაეპატრონებოდა (დღემდე კონტროლის პალატაში ხელუხლებლად ძევს მთელი რიგი კომპრომატები ამა თუ იმ ჩინოვნიკსა თუ ჩინოვნიკთა ჯგუფებზე. თანაც, სხვადასხვა დროს, კონტროლის პალატის დასკვნებს არა ერთი თანამდებობის პირის კარიერა შეუწირავს).

სწორედ ამ ფონზე დასახელდა ზურაბ სოსელიას კანდიდატურა, რომელიც ცალსახად ნინო ბურჯანაძის პროტეჟეა. პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მისი ინიციატივა პრეზიდენტისთვის ცნობილი იყო, რასაც თავად პრემიერ-მინისტრზე ნამდვილად ვერ ვიტყვით.

თუმცა, ზურაბ ჟვანიამ მისთვის ჩვეული დიპლომატიური სვლა გააკეთა და სოსელიას კანდიდატურის ჩაგდება პარლამენტს მიანდო. თავად კი ფინანსთა მინისტრის მოადგილის მისამართით თბილი სიტყვები არ დაიშურა:

**"იგი წესიერი და პროფესიონალი ადამიანია. თუ პარლამენტი მის კანდიდატურას მხარს დაუჭერს, შემიძლია ვთქვა, რომ მასთან სიამოვნებით ვითანამშრომლებ,"** - განუცხადა ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა.

საპარლამენტო უმრავლესობამ კი ნინო ბურჯანაძეს ღიად აგრძნობინა, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის ნებას არ მისცემს.

უმრავლესობამ თავისას მიაღწია - კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატურის საკითხი პარლამენტის დღევანდელი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანილი აღარ არის.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ნინო ბურჯანაძე საპარლამენტო უმრავლესობასთან დაპირისპირებას გამორიცხავს, თუმცა აცხადებს, რომ პოზიციის შეცვლას და დათმობაზე წასვლას არ აპირებს. **"იმ ადამიანთა კატეგორიას არ განვეკუთვნები, ვისთვისაც განსხვავებული აზრი მიუღებელია. ის კითხვის ნიშნები, რომელიც უმრავლესობას აქვს, ზოგი - უსაფუძვლო, ზოგიც - საფუძვლიანი, უნდა მოიხსნას, რისთვისაც კონსულტაციები გაგრძელდება,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მოგვიანებით კი იგი სახელმწიფო კანცელარიაში გამოჩნდა. პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ნინო ბურჯანაძე კმაყოფილი ჩანდა. **"იმედი მაქვს, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ზურაბ სოსელიას დანიშნვის საკითხს პარლამენტი საბოლოოდ პოზიტიურად გადაწყვეტს. პრეზიდენტს სოსელიას მიმართ საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს, აზრთა სხვადასხვაობა კი თავად სახელისუფლებო ფრაქციაშია. ვერანაირ ტრაგედიას ვერ ვხედავ იმაში, რომ ფრაქციაში აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენს შორის არანაირი ულტიმატუმებით საუბარი არ მიმდინარეობს, უბრალოდ, ყველას თავისი აზრი და შეხედულება გააჩნია. მიუხედავად პრეზიდენტის პოზიტიური განწყობისა, ფრაქციის წევრებზე ზეწოლას არ ვაპირებ,"** - აღნიშნა მან და დასძინა, რომ ფრაქცია რამდენიმე ხანში საკუთარ პოზიციას ჩამოაყალიბებს, ზურაბ სოსელიას ამომწურავ პასუხებს მოუსმენს და საბოლოოდ საკითხს კანდიდატის სასარგებლოდ გადაწყვეტს.

როგორც ჩანს, ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რა დირექტივებს მიიღებენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები სახელმწიფო კანცელარიიდან და, რაღა თქმა უნდა, თავად პრეზიდენტისაგან. როგორც "24 საათს" ერთ-ერთმა დეპუტატმა განუცხადა, **"გადამწყვეტი სიტყვა მაინც პრეზიდენტის იქნება. სწორედ მისი გადაწყვეტილების შემდეგ მივხვდებით, რამდენად მისაღებია სააკაშვილისთვის ბურჯანაძის მიერ წამოწყებული თამაში, რომელიც აშკარად ზურაბ ჟვანიას გუნდის შესუსტებისკენ არის მიმართული."**

# კოკოითი ჭერჭერობით ბედს არ ეგუება

პირველი გვერდიდან

ტყვიავის გარდა, შინაგანი ჯარების საგუშაგოები, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის კიდევ ოთხ ქართულ სოფელში მოქმედებს. რამდენიმე დღეში ახალი ფორმებითა და სპეც-ეკიპირებით ქართველი სამხედროები საგუშაგოების დაცვას შეუდგებიან.

გორში სამხედრო ტექნიკის დაბრუნების პროცესი პირადად თავდაცვის მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა და შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა გივი იუკურიძემ გააკონტროლეს, რომლებიც გუშინ გორში ჩავიდნენ.

შევა თუ არა ეს სამხედრო ტექნიკა კონფლიქტის ზონაში? ამ კითხვას გივი იუკურიძემ ასეთი პასუხი გასცა: **"კონფლიქტის ზონაში არც ერთი მანქანა არ მოხვდება, რადგან ეს ხელშეკრულებით აკრძალულია. თუმცა, სიტუაციის დაძაბვის შემთხვევაში, ჩვენ სათანადო რეაგირებას მოვახდენთ,"** – აღნიშნა მან.

თავდაცვის მინისტრი გუშინ ნიქოზის ბატალიონსაც ესტუმრა, სადაც კოსოვოს სამშვიდობო მისიაში ნამსახურევი სამხედროები იმყოფებიან. ბეჟუაშვილის თქმით, ნიქოზში მალე ახალი ყაზარმა აშენდება, რაც ე.წ. ელიტარული ბატალიონის წევრთა საცხოვრებელ პირობებს საგრძნობლად გააუმჯობესებს. გელა ბეჟუაშვილის თქმით, ვაზიანიდან გადმოყვანილი მძიმე ტექნიკის ნაწილი ნიქოზის ბატალიონშიც განლაგდება.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ძალების როტაციას ოსური მხარე მოჩვენებითი სიმშვიდით ხვდება. რუსი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა აღნიშნა, რომ თბილისის მიერ რეგიონში განხორციელებული ქმედებები პროვოკაციაა, რომელიც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ბლოკადისკენაა მიმართული. ამასთან, სამხრეთ ოსეთის ლიდერი აღნიშნავს, რომ რუსი სამშვიდობოები ქართული საგუშაგოების ძალისმიერი მეთოდებით აღებას არ აპირებდნენ .

**"შერეულ საკონტროლო კომისიასთან შეუთანხმებლად, კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში ბლოკ-საგუშაგოების განთავსება არსებულ ხელშეკრულებათა დარღვევაა. საგუშაგოები ოსურ სოფლებში ბენზინსა და სურსათს არ უშვებენ, მოსახლეობა ბლოკადაში აღმოჩნდა. გადაკეტილია, ასევე, სატრანზიტო ტვირთების ნაკადი, რის შედეგადაც სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტი დიდ ზარალს განიცდის. საქართველოს სურს, სამხრეთ ოსეთი ბლოკადით დაახრჩოს,"**- აცხადებს კოკოითი.

მისი თქმით, საქართველოს ხელმძღვანელობამ გაუგებრობის მოლაპარაკებების გზით მოგვარებისათვის მცირედი მცდელობაც არ გაიღო და, სავარაუდოდ, თბილისი ვითარების გამწვავებისათვის ნებისმიერ მიზეზს ეძებს.

# რუსეთის დუმა და საქართველო

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსმა პარლამენტარებმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით - 437 მომხრე, 0 წინააღმდეგი მიიღეს განცხადება **"სამხრეთ ოსეთში საქართველოს შსს სპეციალური დანიშნულების რაზმების შეყვანის თაობაზე".** განცხადება სამი კომიტეტისა და ორი პარლამენტარის ინიციატივით მომზადდა. საერთაშორისო საქმეთა, დსთ საკითხებისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილი განცხადება კოლეგებამდე დეპუტატმა ალექსეი მიტროფანოვმა "მიიტანა": "სააკაშვილს კავკასიაში ომის მანდატი გამოუწერეს, სამხრეთ ოსეთის შემდეგ რუსეთს მოადგებიან, კახა ბენდუქიძის გაგზავნა საქართველოში სამხედრო მოქმედებების დასაფინანსებლად მოხდა," - ასეთ ლოზუნგებს ისროდა მიტროფანოვი დარბაზში განცხადების მიღების დროს. მეორე პარლამენტარი გუდკოვი, უშიშროების კომიტეტიდან სხდომაზე ვერ მოვიდა, მაგრამ კენჭისყრაზე ამას გავლენა არ მოუხდენია

განხილვას განსაკუთრებული მონდომებით აჩქარებდა დუმის ვიცე-სპიკერი ქალბატონი ლუბოვ სლისკა, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბარში პრეზიდენტ სააკაშვილის მეუღლეს არ მოუწონა ცხინვალისაკენ გასეირნება და ამ აქციას "პროვოკაციული, მოუზომავი და უადგილო" უწოდა იმ დროს, როცა "მხარეები ძნელად, მაგრამ რაღაც შეთანხმებებამდე მაინც მიდიან".

სამხრეთ ოსეთში ვითარების დაძაბვასთან დაკავშირებით რუსეთის დუმის მიერ შემუშავებული განცხადების ტექსტში რუსული მხარე გამოთქვამს შეშფოთებას 31 მაისს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს შსს შინაგანი ჯარების შეყვანის გამო. რუსი დეპუტატების აზრით, ეს აქცია სანქცირებულია საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ და არ შეიძლება აღქმული იქნეს სხვანაირად, თუ არა ძალის დემონსტრირება. ეს ვითარება, პარლამენტართა აზრით, ძაბავს სიტუაციას რეგიონში და არღვევს საქართველოს მიერ შერეული საკონტროლო ჯგუფის ფარგლებში საქართლველოს მიერ დადებულ პირობებს. პარლამენტარები ვარაუდობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ოსური კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარება აქვს გადაწყვეტილი. სათათბიროს განცხადების ტექსტში გამოთქმულია მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებისადმი, როცა იგი ებრძვის დამნაშავეობას, მაგრამ იქვე მინიშნებულია, რომ ასეთი სახის ბრძოლა არ გამოდგება სიტუაციის გართულების მოტივად, რაც მხარეთ შორის ნდობის დაკარგვას მოიტანს შედეგად.

**"რუსეთის სახელმწიფო საზღვართან შექმნილი ფეთქებადსაშიში ვითარება სახელმწიფო დუმის შეშფოთებას იწვევს იმიტომაც, რომ იგი ემუქრება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დიდი რაოდენობით მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოებას. სახელმწიფო დუმის დეპუტატები თვლიან, რუსეთის ხელისუფლება უფლებამოსილი და ვალდებულია, რუსეთის კონსტიტუციისა და გაეროს წესდების თანახმად მიიღოს ყველა საჭირო ზომა მათი ცხოვრების, ჯანმრთელობისა და ქონების დასაცავად,"** - წერია განცხადების დასკვნით ნაწილში.

განცხადების ტექსტში დეპუტატების საველიევისა (ასლან აბაშიძის ქომაგი რუსეთის დუმაში) და ბაბურინის ავტორობით განცხადების ტექსტის დამამძიმებელი შინაარსის მქონე პრინციპული შესწორებები უნდა შეეტანათ. შესწორებები არ მიიღეს. დუმის ხელმძღვანელობა რუსეთის საზღვართან შექმნილი ვითარების გამო თავის შეშფოთებას აფიქსირებს და მიაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთის საკითხზე პარლამენტმა მოზომილი და კორექტული ტექსტი მიიღო, რომელიც რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს, ორი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს უკვე გაეგზავნათ.

## ვის შეხვდებიან როგოზინი და როდიონოვი სოხუმში 14 მაისს?

14 მაისს რუსეთის სათათბიროს ფრაქცია "როდინას" წევრები ფრაქციის თავმჯდომარის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის დმიტრი როგოზინის ხელმძღვანელობით აფახზეთს მიემგზავრებიან. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამჯერად დუმის წარმომადგენლობით დეპუტაციას ოფიციალური თბილისის განაწყენება არ სურს და ამიტომ სხვა, ე.წ. შემოვლით მარშრუტს ირჩევს. დმიტრი როგოზინის დელეგაცია მოსკოვიდან 14 მაისს ადლერში ჩაფრინდება, სადაც კრასნოდარის სამხარეო დუმის დეპუტატებს შეხვდება, შემდეგ კი სოჭში გადაინაცვლებს ადგილობრივ მოსახლეობასთან შესახვედრად. იმავე დღეს როგოზინის დესანტი სოხუმში ჩაფრინდება, სადაც დრამატული თეატრის შენობაში აფხაზ მოსახლეობასთან გამართავს დიალოგს. საკითხთა წრე ქართულ-აფახზური კონფლიქტითა და აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების მდგომარეობის გაცნობით შემოიფარგლება. იმავე დღეს როგოზინის დელეგაცია ღამის გასათევად ადლერში დაბრუნდება და არა სოხუმში. რუსეთის პარლამენტში თვლიან, რომ როგოზინისა და მისი ფრაქცია "როდინას" შოუ-გასეირნება აფხაზეთის მიმართულებით კალინინგრად-შოუს გამეორებაა, სადაც როგოზინმა არათუ ვერ დაიცვა რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესები, არამედ სავიზო რეჟიმის პირობები რუსეთის მოქალაქეებისათვის კიდევ უფრო გაამწვავა. აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის ადგილზე გაცნობა ობიექტურ წარმოდგენას შეგვიქმნის იმ პროცესებზე, რასაც სინამდვილეში აქვს ადგილი და არა რასაც ქართული მედია გადასცემს," - აღნიშნა როგოზინის კოლეგამ ფრაქცია "როდინადან" დეპუტატ-გენერალმა იგორ როდიონოვმა, რომელიც ამ დელეგაციის შემადგენლობაში აფხაზეთში მიემგზავრება, სადაც რამდენიმე დღით დაყოვნდება საკუთარ აგარაკზე, ან მეგობრებთან, ამბობს როდიონოვი.

როდიონოვის ინფორმაციით, **"აფხაზეთში ყუბანელი და დონის კაზაკების რაზმები დიდი ხნის დაკომპლექტებულია. თბილისის მხრიდან სამხედრო მოქმედებების გააქტიურების შემთხვევაში, ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში ჩასული მოხალისეები მზად არიან, დაიცვან აფხაზი ძმები."**

# პარლამენტისა და მთავრობის "ომი" კარზეა მომდგარი

გიორგი ასანიშვილი

*კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, პარლამენტისა და მთავრობის გზები რამდენჯერმე აუცილებლად იკვეთება. კერძოდ, ეს გარდაუვალია მაშინ, როდესაც ახლადარჩეული პარლამენტის ხელმძღვანელი ორგანოები სრულად დაკომპლექტდება და ძირითადი საორგანიზაციო საკითხები გადაწყდება. ამის შემდეგ საკანონმდებლო ორგანომ მთავრობას ან ნდობა უნდა გამოუცხადოს, ან - "ომი". ასეთი არჩევანის დრო უკვე მოახლოვდა: პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მთავრობის ნდობის საკითხს პრეზიდენტი სააკაშვილი პარლამენტში ამ კვირაშივე შემოიტანს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ოპოზიციამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, პრემიერ-მინისტრის გუნდთან შეტაკების წინ, გუშინდელი დღე "სავარჯიშოდ" გამოეყენებინა. დავით გამყრელიძე რეგლამენტსა და რეალურ მდგომარეობას შორის არსებული შეუსაბამობის გამოყენებას შეეცადა და მთავრობისთვის პასუხისმგებლობის საკითხის დაუყოვნებლივ დაყენება მოითხოვა.

რაც შეეხება აღნიშნულ შეუსაბამობას, იგი ნათლად წარმოაჩინა სამშაბათს მიღებულმა დადგენილებამ, რომელიც 2003 წლის ბიუჯეტის ანგარიშის არდამტკიცებას გულისხმობს. გასული წლის ჩაგდებული ბიუჯეტისთვის დღევანდელი მთავრობის დადანაშაულება, ერთი შეხედვით, თითქოს, აზრად არავის მოუვა, მაგრამ, მეორე მხრივ, რეგლამენტის 234-ე მუხლში გარკვევით წერია, რომ "თუ პარლამენტი, სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს არ დაამტკიცებს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთი თვის განმავლობაში აცნობებს თავის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას".

ძნელი სათქმელია, რა ბედი ეწეოდა მემარჯვენე ოპოზიციის კანონიერ, მაგრამ ამავე დროს, აბსურდულ მოთხოვნას, რომ არა იღბლიანი დამთხვევა - როგორც აღვნიშნეთ, პრეზიდენტი მთავრობის ნდობის საკითხის დაყენებას, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, ამ დღეებში ისედაც აპირებს.

ზურაბ ჟვანიას კაბინეტის პოზიციების შესარყევად ოპოზიცია იმ შეთანხმების გამოყენებასაც ცდილობს, რომელიც "ვნეშეკონომბანკის" აქტივებს შეეხება და რომელსაც, საქართველოს მთავრობის სახელით, ზურაბ ნოღაიდელის მიერ მოსკოვში ამას წინათ მოეწერა ხელი.

გუშინ დეპუტატები ფინანსთა მინისტრისგან ახსნა-განმარტებებს ილებდნენ. **"რუსეთს სურდა, "ვნეშეკონომბანკის" გაყინულ აქტივებზე მთელი პასუხისმგებლობა საქართველოზე გადმოემისამართებინა, ჩვენი ამოცანა კი ის იყო, რომ ეს პასუხისმგებლობა თავიდან აგვეცილებინა და თანხები ჩვენს გადასახდელად არ გველიარებინა. მიზანს მივაღწიეთ: შეთანხმების მიხედვით, იურიდიული პირების მიერ პრეტენზიების წამოყენების შემთხვევაში, მხარეები, ამ პრეტენზიების დაკმაყოფილების გზების მოსაძიებლად, კონსულტაციებს გამართავენ,"** - აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

ფინანსთა მინისტრის შეხედულებას მთლიანად იზიარებს საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე, რომლის მტკიცებითაც, მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტი საქართველოსთვის არანაირ ფინანსურ დანაკარგს არ შეიცავს.

**"ვნეშეკონომბანკის" აქტივები საქართველოს გასასტუმრებელი რომც გამხდარიყო, ესეც კი ვერ გადაწონიდა იმ ეფექტს, რომელსაც პარიზის კლუბში ჩვენი საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია და სავალუტო ფონდის დახმარების პროგრამის აღდგენა მოიტანს,"** - აცხადებს გოცირიძე.

ისე, ნოღაიდელისა და გოცირიძის არგუმენტები დიდი ვერაფერი ნუგეშია პარლამენტარ ზურაბ ჯგუბურიასთვის, რომელსაც გუშინ, ალბათ, საბოლოოდ გადაეწურა "ვნეშეკონომბანკში" გაყინული მისი პირადი ანგარიშის "გაცოცხლების" იმედი.

**"ვინ დამიბრუნებს ჩემს ხელფასს, რომელიც 80-იან წლებში გამოვიმუშავე?"** - ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრის ეს შეკითხვა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან პასუხგაუცემელი დარჩა.

# ცხინვალის შეშფოთებული დე ფაქტო ხელისუფლება

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, "საქართველოს რკინიგზამ" გუშინ, გორი-ცხინვალის დაზიანებულ სარკინიგზო მონაკვეთზე პირველი სამუშაო ღონისძიებების გატარება დაიწყო. ოფიციალური პირების განცხადებით, ამ მონაკვეთის აღდგენა რამდენიმე დღეში დასრულდება და, 13 წლის იძულებითი პაუზის შემდეგ, პირველი მატარებელი ცხინვალისკენ დაიძრება. **"აღდგენითი სამუშაოები ოთხ დღეში დასრულდება, თუმცა როდის შევა პირველი მატარებელი ცხინვალის სადგურზე, ამის თქმა ახლა მიჭირს,"** - კონკრეტული თარიღის დასახელებისგან თავი შეიკავა საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა.

**"ამდენი ხნის შემდეგ, ჩვენ სულ მალე ვნახავთ მატარებელს, რომელიც ჩავა ცხინვალში,"** - განაცხადა სპეციალურად, აღდგენითი სამუშაოების დაწყებაზე დასასწრებად ჩასულმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ. მისივე თქმით, აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, პირველი მატარებლის გასვლამდე შემოწმდება რკინიგზის ამ მონაკვეთის უსაფრთხოება. სარკინიგზო მაგისტრალის ტექნიკური მდგომარეობისა და სამუშაოს მასშტაბების შესაფასებლად „საქართველოს რკინიგზის" ექსპერტები გაემგზავრებიან. ლიანდაგის უსაფრთხოებას ქვეყნის შინაგანი ჯარი და ადგილობრივი სამართალდმცავები უზრუნველყოფენ.

სამუშაოები სოფელ ნიქოზში დილის 12 საათიდან დაიწყო. აღსადგენ ოთხკილომეტრიან სარკინიგზო მონაკვეთზე 200-ზე მეტი რკინიგზელი იყო მობილიზებული.

დავით ონოფრიშვილის თქმით, აღსადგენია ცხინვალამდე ოთხ-ხუთ-კილომეტრიანი სარკინიგზო გზა. განსაკუთრებით რთული - სამასმეტრიანი მონაკვეთია, სადაც რელსებიც კი არ არის. პირველ ეტაპზე აღდგება სამგზავრო მიმოსვლა, ხოლო შემდეგ სატვირთო მატარებლების მოძრაობაც დაიწყება. **"თავდაპირველად ივლიან თბომატარებლები, ელექტრომატარებლების გავლა კი შესაძლებელი მხოლოდ მას შემდეგ იქნება, როცა საკონტაქტო ხაზები აღდგება, საკონტაქტო ხაზების, მისი დამჭერებისა და ანძების შესაძენად, რომლებიც რუსეთში მზადდება, მინიმუმ, ნახევარი მილიონია საჭირო,"** - განაცხადა "საქართველოს რკინიგზის" ტექნიკურმა დირექტორმა თენგიზ დონაძემ. მისივე განმარტებით, ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. **"მთავარია, ლიანდაგი აღვადგინოთ, რომ მიმოსვლა შევძლოთ."**

გორი-ცხინვალის სარკინიგზო მაგისტრალის შესაკეთებლად ევროკავშირმა ორი წლის წინ 400 ათასი ევრო გამოყო, ამ თანხით რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალები შეიძინეს, რომლითაც გორი-ნიქოზის სარკინიგზო მონაკვეთი მთლიანად დასრულდა და შესაკეთებლი დარჩა მხოლოდ ნიქოზი-ცხინვალის ოთხკილომეტრიანი მონაკვეთი. ონოფრიშვილის განცხადებით, „საქართველოს რკინიგზას" სარემონტო სამუშაოებისათვის ყველა რესურსი აქვს. სარკინიგზო მაგისტრალის შესაკეთებლად საჭირო მასალებით დატვირთული მატარებელი გუშინ შევიდა ნიქოზში.

გუშინ სარკინიგზო სამუშაოების დაწყებამდე "საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მოლაპარაკებები ამჟამად მიმდინარეობს და იმედი გამოთქვა, რომ ოსეთის ხელისუფლებასთან პრობლემები არ შეიქმნება. ონოფრიშვილს ასეთი განწყობა მას შემდეგ შეეცვალა, რაც ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიის ფიქტიურ საზღვართან, სადაც საზღვრის აღმნიშვნელი არც აზრა და არც სხვა რაიმე ნიშანია (აყრილი ლიანდაგების გარდა), მუშებისა და ჟურნალისტების გამოჩენასთან ერთად თანდათანობით იკრიბებოდნენ შეიარაღებული პირები. შეიარაღებულმა და ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა, რომლებიც ჭოგრიტით გვადევნებდნენ თვალს, ტელეკამერების გამორთვა და ცხინვალის მისადგომების დატოვება მოგვთხოვეს.

სპეცრაზმელებთან მოსალაპარაკებლად ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ. მათი არგუმენტი ასეთი იყო: ჩვენი ხელმძღვანელი აქ არ არის, მისი ნებართვის გარეშე, ვერც მოახლოებისა და ვერც გადაღების საშუალებას მოგცემთ. როგორც ჩანს, რკინიგზის აღდგენითი სამუშაოების დაწყებამ დე-ფაქტო ხელისუფლება შეაშფოთა.

## კვირას ექსპერტები სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დახვეწაზე იმსჯელებენ

*კვირას, 6 ივნისს, ეკონომიკის სამინისტროში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის მექანიზმებზე იმსჯელებენ. კონფერენციაში, რომელიც ჯერ კიდევ ახალი მინისტრის მოსვლამდე იყო დაგეგმილი, საქართველოს მთავრობის, სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.*

"საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის პროექტი", რომლის მიზანია საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფის პროგრამის შემუშავება და ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწა, 2004 წლის მარტიდან ხორციელდება საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით და ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ეკონომიკური განვითარების პროგრამის მხარდაჭერით.

რეკომენდაციების ავტორთა ჯგუფის ინფორმაციით, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის პირველადმა ანალიზმა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან სამუშაო შეხვედრებმა ცხადყო, რომ არსებობს მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის სახელმწიფო შესყიდვების ძირითად ამოცანებს: საჯაროობას, ეკონომიკურ მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობას. არადა, ეს არის სფერო, სადაც ძალიან დიდია კორუფციული გარიგებების ალბათობა.

დღეისათვის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულია კანონპროექტი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე", რომელშიც გათვალისწინებულია როგორც საქართველოს სხვა საკანონმდებლო ნორმები, ისე საერთაშორისო პრინციპები. კანონპროექტის მიზნებს აგრეთვე წარმოადგენს: პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების კანონის დონეზე მოწესრიგება, ამჟამად არსებული ნორმატიული ბუნდოვანებების აღმოფხვრა და ერთმნიშვნელოვნად ფორმულირება, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების ოპტიმიზაცია.

სამუშაო ჯგუფი კონფერენციით ამ თემაზე საჯარო განხილვების ინიცირებას ახდენს და დაინტერესებულ პირებს თანამშრომლობას სთავაზობს.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოში ოპტიმალური ბიზნესგარემოს უზრუნველსაყოფად და ახალი ეკონომიკური პროექტების განხილვის მიზნით ბიზნესმენებს მომავალ კვირას შეხვდება.

ამასთან დაკავშირებით, "გადამხდელთა კავშირის" თავმჯდომარე ბადრი პატარკაციშვილი "პრაიმ-ნიუსთან" ინტერვიუში აღნიშნავს, რომ პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი აცხადებს, რომ რეგიონის მაცხოვრებლები კვლავაც უამრავ პრობლემას აწყდებიან, რაც, თავის მხრივ, საკომუნიკაციო სისტემის მოუწესრიგებლობას უკავშირდება, რომელიც გასულ წელს მომხდარი წყალდიდობის შედეგად გამოვიდა მწყობრიდან.

როგორც ემზარ კვიციანმა "პრაიმ-ნიუსს" უთხრა, კოდორის ხეობის ქვემო ნაწილში, რომელსაც აფხაზური მხარე აკონტროლებს, აღდგენილია გზები, თუმცა ეს პრობლემა რეგიონის ზემო ნაწილში მოგვარებული არაა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს ორი ახალი მოადგილე ჰყავს. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ფინანსთა მინისტრის მოადგილეებად დავით ამაღლობელისა და ლაშა გოცირიძის დანიშვნის შესახებ ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის განცხადებით, ლარის გამყარების ძირითადი მიზეზები დაკავშირებულია ეკონომიკის ლეგალიზაციასა და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებასთან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზ ბიზნესმენთა და პარლამენტართა ჯგუფი თურქეთში დაგეგმილ მრეწველობის საერთაშორისო გამოფენაში მიიღებს მონაწილეობას. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, გამოფენის ორგანიზატორია კომპანია "ტუაპი". მასში აფხაზი ბიზნესმენებისა და პარლამენტარების მონაწილეობა კი საერთაშორისო არასამთავრებო ორგანიზაცია "საერთაშორისო განგაშის" დაფინანსებით გახდა შესაძლებელი. **ინტერ-პრესი**

# განსაკუთრებული შემთხვევა ქართული მთავრობების ისტორიაში

თამარ ხორბალაძე

**გუშინ ეკონომიკის ახალ მინისტრს პირველი სამუშაო დღე ჰქონდა. მინისტრი კახა ბენდუქიძე აშკარად განსაკუთრებული შემთხვევაა ქართული მთავრობების ისტორიაში. მისგან უახლოეს პერიოდში ახალ იდეებსა და ნოვაციურ მიდგომებს ელოდებიან, უკვე დღეს კი კახა ბენდუქიძე საქართველოში ჟურნალისტებთან მართლაც საინტერესო ურთიერთობას ამკვიდრებს და საქართველოს საზოგადოებრივი აზრისთვის დღემდე ძნელად აღსაქმელ პოზიციებსაც საკმაოდ დაბეჯითებით აფიქსირებს:**

**"ყველაფერი უნდა გაიყიდოს, ნამუსის გარდა,"** - ეს ფრაზა, როგორც ჩანს, კახა ბენდუქიძეს ძალიან უყვარს და მას საკმაოდ ხშირად იმეორებს. სად გადის ნამუსის ზღვარი, ახალ მინისტრს ამ დღეებში არ დაუკონკრეტებია, თუმცა მისმა განცხადებებმა ცხადყო, რომ ეს ზღვარი ნამდვილად არ გადის ე.წ. სტრატეგიულ ობიექტებზე, რომელთა არსებობასაც იგი საერთოდ არ ცნობს.

შეცვლილ-შერბილებულია ამ მიმართულებით "დანარჩენი" ხელისუფლების პოზიციაც - მთავრობა, რომელიც გუშინ სტრატეგიული სფეროების გაყიდვაზე უარს ამბობდა, დღეს ამის შესაძლებლობას, ჩანს, არ გამორიცხავს. ყოველ შემთხვევაში, გუშინ პრემიერმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა: **"ჩვენ არ უნდა დავუტოვოთ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ხელში ის საწარმოები, რომლებსაც უნდა მოჰქონდეს ფული, სამუშაო ადგილები და ემსახურებოდეს ქვეყნის კეთილდღეობას. პრივატიზაცია აუცილებლად უნდა განხორციელდეს, თუმცა ქვეყანაში ეროვნული ინტერესების დაცვის ძალიან მიზანმიმართული პოლიტიკა იარსებებს."**

გუშინ ამ პოლიტიკის დეტალები არ დაკონკრეტებულა, თუმცა გარკვეული მინიშნება აღნიშნულთან დაკავშირებით კახა ბენდუქიძემ ამ დღეებში ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში გააკეთა, როცა აღნიშნა, რომ საკუთრება კერძო უნდა იყოს, სახელმწიფომ თავისი ინტერესების დაცვა ამ კერძო მესაკუთრეებისთვის შექმნილი თამაშის წესებით, ანუ - კანონებით უნდა მოახდინოს.

როგორც ამ რამდენიმე დღემ დაადასტურა, ძირითად აქცენტს მინისტრი პრივატიზაციაზე აკეთებს, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში დღემდე საკმაოდ პოპულარულ დეპრივატიზაციის იდეასთან დაკავშირებით კი კატეგორიულად აცხადებს, რომ ქვეყანაში უკვე პრივატიზებული საწარმოების პრივატიზაციის საკითხის გადახედვა არ მოხდება: **"რაც არ უნდა ცუდად იყოს ჩატარებული პრივატიზაცია, მისი გადახედვა მაინც არ მოხდება, ვინაიდან ეს ცუდ ასოციაციებს გამოიწვევდა ინვესტორებში,"** - აღნიშნავს იგი.

აქვე საინტერესოა, რომ საკადრო ცვლილებების გატარებას იგი, ჯერჯერობით, არ აპირებს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს შემოერთების შემდეგ კი სერიოზულ სტრუქტურულ ცვლილებას გეგმავს.

მოკლედ, მემარცხენული ლოზუნგებით განთქმულ ხელისუფლებას, რომლის გამარჯვებაც, ნაწილობრივ მაინც, სწორედ ამ ლოზუნგებმა განაპირობა, ხელისუფლებაში კატეგორიული მემარჯვენე განწყობის მინისტრი მოჰყავს. ბენდუქიძე რეალურად მემარჯვენე, შესაბამისად – შესაძლოა, საზოგადოებისთვის პირველ ეტაპზე მაინც, მეტად მიუღებელი და გაუგებარი რეფორმების გატარებას გეგმავს. ის, რომ რადიკალური რეფორმების გატარება საჭიროა, ცხადია, თუმცა საინტერესოა, რამდენად "მოინელებს" ქართული საზოგადოება ახალი მინისტრის ახალ იდეებს.

# ათასწლეულის პროგრამა საქართველოსგან იდეებს ელის

თამარ ივანიძე

**"ჩვენ არ ჩამოვსულვართ გამოწერილი ჩეკით,"** - მოკლედ განუმარტა **"Milenium Challenge Corporation"**-ის დელეგაციის ხელმძღვანელმა, კორპორაციის მთავარმა აღმასრულებელმა მენეჯერმა პოლ აპლეგარტმა ჟურნალისტებს საქართველოში ჩამოსვლის მიზანი.

გუშინ **"Milenium Challenge Corporation"**-ის წარმომადგენლებს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია შეხვდნენ.

**"Milenium Challenge Corporation"**-ის დელეგაცია, რომელიც ქვეყნებს თავისუფალი ეკონომიკური განვითარების პროცესში ეხმარება, თბილისს ათასწლეულის მოწვევის პროგრამით ეწვია. იგი მსოფლიოს 15 უღარიბესი ქვეყნის დახმარებას ითვალისწინებს, საქართველოს მთავრობისგან კი კონკრეტული პროგრამების წარდგენას ელოდება, რომელთაც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კორპორაცია დააფინანსებს.

თუმცა ის, რომ საქართველო პროექტის წევრ ქვეყანებს შორის მოხვდა,



*პოლ აპლეგარტი საქართველოში გამოწერილი ჩეკით არ ჩამოსულა.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თავისთავად დადებითი ფაქტია, რადგან ამით აშშ საქართველოს დემოკრატიისკენ სწრაფვას აღიარებს. გარდა ამისა, საქართველოს სერიოზული დაფინანსების მიღების შანსი ეძლევა, თუმცა - არა უპირობოდ.

როგორც შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს კორპორაციის მთავარმა აღმასრულებელმა მენეჯერმა პოლ აპლეგარტმა განუცხადა, **"საქართველოს მთავრობისგან ისინი იდეებს ელიან, რათა ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისთვის კარგი გარემო შეიქმნას."**

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის ახლად დანიშნულმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ჟურნალისტებს დაუკონკრეტა, რომ ამ კონკურსში გამარჯვება რთულია და ისიც თქვა, რომ საქართველომ უნდა წარადგინოს პროექტები, რომელიც კერძო სექტორს განავითარებს და არა სახელმწიფო სექტორს.

გაცილებით ოპტიმისტურადაა განწყობილი ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომლის თქმით, საქართველოს დიდი შანსი აქვს, რომ ამ პროექტით უახლოესი სამი წლის განმავლობაში 400–500 მილიონი აშშ დოლარის დახმარება მიიღოს.




სპეცსამსახურები

# ღამურა კვლავ ძლიერი და საშიშია

ღამურა საბჭოთა და ახლა უკვე რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს - "გრუ"-ს ემბლემაა. სამხედრო დაზვერვას რუსეთში დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი სამხედრო სადაზვერვო სამსახური ალექსანდრე პირველმა 1812 წელს დააარსა. სამხედრო დაზვერვა რუსეთში ყოველთვის გენერალურ შტაბს ექვემდებარებოდა. თავად აბრევიატურა "გრუ" კი 1942 წლიდან გამოიყენება.

"გრუ" ინფორმაციას მოიპოვებს აგენტურისა და სატელიტების მეშვეობით და შემდგომ აანალიზებს. ამ მიზნით, იგი რუსეთის ყველა საელჩოში სამხედრო ატაშეებს აკონტროლებს. აღსანიშნავია, რომ "გრუ" რუსეთის შეიარაღებულ ძალებსაც უთვალთვალებს: ყველა სატანკო შენაერთსა თუ მოტორიზებულ ბრიგადაში არსებობს სადაზვერვო ათეული. "გრუს" თავისი საწვრთნელი ინსტიტუტები აქვს, რომლის სათავეში სამხედრო-დიპლომატიური აკადემია დგას. სამხედრო დაზვერვას ეკუთვნის აგრეთვე სულ მცირე ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც.

1993 წლიდან მოყოლებული "გრუმ" თავისი აგენტურა კომერციულ ფირმებშიც ჩანერგა. "გრუს" თავად აქვს კომერციული ფირმები, რომელსაც საკუთარი აგენტურის შესანიღბავადაც იყენებს და ფულის საკეთებლადაც. მაგალითად, "სოვინფორმსპუტნიკი" 1991 წელს შეიქმნა, რათა "გრუს" სადაზვერვო




*სამხედრო დაზვერვას რუსეთში დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი სამხედრო სადაზვერვო სამსახური ალექსანდრე პირველმა 1812 წელს დააარსა.*

თანამგზავრებიდან გადაღებული სურათები გაყიდოს. აღსანიშნავია, რომ "გრუს" ძალიან ბევრ ქვედანაყოფს დაზვერვასთან საერთოდ არანაირი კავშირი არ აქვს.

"გრუს" სპეცდანიშნულების ძალები, დაახლოებით, 25 000 კაცს ითვლის და ისინი 24 დივერსიულ ჯგუფად იყოფა. "გრუს" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სპეციალური დანიშნულების იარაღის შექმნაზე მუშაობს. ინფორმაციის ანალიზი მეორე კვლევითი ინსტიტუტის ფუნქციაა. ე.წ. ჯგუფი "ბ" მოწინააღმდეგე ქვეყნების ლიდერების მოსაკლავად არის ჩამოყალიბებული.

როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეიარაღებული ძალების მთავარი პოლიტიკური ადმინისტრაცია გაუქმდა, "გრუმ" მისი ფუნქციების ნაწილი თავის თავზე აიღო, კერძოდ, სპეციალური პროპაგანდის ადმინისტრირება, რომელიც მტრის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ოპერაციების მომზადებას გულისხმობს.

"გრუ" საზღვაო ძალებში "დელფინის" დანაყოფებს აკონტროლებს, რომლებიც მოწინააღმდეგეების საზღვაო სპეცდანიშნულების ძალების წინააღმდეგ იბრძვიან.

1963 წლიდან 1987 წლამდე "გრუს" გენერალი პიოტრ ივაშუტინი ხელმძღვანელობდა. მისი მემკვიდრე - გენერალი მიხაილოვი აიძულეს, გადამდგარიყო. იგი ეჭვმიტანილი იქნა 1991 წლის აგვისტოში პუტჩის თანამონაწილეობაში. შემდეგი ხელმძღვანელი "გრუს" სისტემიდან არ ყოფილა. საჰაერო თავდაცვის ძალების გენერალ ევგენი ტიმოხინს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ რეალობასთან "გრუს" ადაპტაცია დაევალა.

1992 წლის ზაფხულში ტიმოხინი საჰაერო თავდაცვის ძალებს დაუბრუნდა და "გრუს" ხელმძღვანელად ამჯერად პოლკოვნიკი ფიოდორ ლადიგინი დაინიშნა. ლადიგინი ანალიტიკოსი იყო და 1980-იან წლებში "გრუს" საინფორმაციო ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა. იგი "გრაჩოვის კაცად" ითვლებოდა და 1997 წელს რუსეთის მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა იგორ როდიონოვმა მას გადადგომა მოსთხოვა. იგი მისმა პირველმა მოადგილემ, გენერალმა ვალენტინ კორაბელნიკოვმა შეცვალა. იგი ოპერატიული სამუშაოს სპეციალისტია.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, "გრუს" თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა. 1998 წლისთვის "გრუს" პერსონალი საზღვარგარეთ 20 პროცენტით შეამცირეს, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის საელჩოებში "გრუს" თანამშრომლებისთვის სულ უფრო ნაკლებ ადგილებს გამოჰყოფს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული ძალების სხვა დანაყოფებთან შედარებით, ყველაზე ნაკლები ზიანი სწორედ "გრუს" მიადგა. სამხედრო დაზვერვამ საუკეთესო კადრების შენარჩუნება შეძლო. ამას გარდა, "გრუმ" ჯარის სხვა ნაწილებიდან გათავისუფლებული პროფესიონალებიც მიიღო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, "გრუს" კოსმოსური და ელექტრონული სადაზვერვო სისტემების მუშაობა შეფერხდა, რადგან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში უამრავი ცენტრი არსებობდა, რომელიც "გრუს" ექვემდებარებოდა. სისტემის მდგომარეობა 2000 წლიდან გამოსწორდა მას შემდეგ, რაც რუსებმა ორი სამხედრო დანიშნულების თანამგზავრი გაუშვეს - "ნემანი" – მაისში, და "ენისეი" - სექტემბერში. "გრუს" მაღალი სტატუსი შეიარაღებულ ძალებში შენარჩუნებული იქნა. თავდაცვის სამინისტრო ამ სამსახურს ძალიან აფასებს, რადგან საგარეო პოლიტიკაზე გავლენას თავდაცვის უწყება სწორედ მისი მეშვეობით ახორციელებს.


**მოთხოვნა წინადადებების შესახებ (RFP)**
**არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მცირე გრანტების პროგრამის მართვა**
**SCP და BTC მილსადენების მარშრუტზე გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის კონტექსტში**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენისათვის (SCP)**

**ოპერატორი - კომპანია BP**

*გამოქვეყნების თარიღი:* 24 **მაისი 2004**
*დახურვის თარიღი და დრო:* **12 ივლისი 2004, დღის 12 საათი თბილისის დროით**

BTC, მოქმედებს რა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიის (SCP) სახელით და წარმოადგენს მათ, ეძებს განაცხადებს საქართველოში დარეგისტრირებული კვალიფიცირებული ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რათა განსაზღვროს და დანერგოს პროექტები BTC-სა და SCP-ს მიერ დადგენილი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების განსახორციელებლად, რომელიც პროექტების "გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის" (EIP) ნაწილს წარმოადგენს.

გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის უმთავრესი მიზანია ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და პოპულარიზაციას. გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამა დაყოფილია რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებად, რომლებიც განისაზღვრა ეროვნულ და საერთაშორისო "ინტერესის მქონე ჯგუფებთან" საკონსულტაციო პროცესში.

"გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამა" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის/სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების მიერ საქართველოში განხორციელებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამათა პაკეტში შემავალ ძირითად გარემოსდაცვით პროგრამას წარმოადგენს. სხვა პროგრამებში შედის "საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა" (CIP), რომლის ფარგლებში მილსადენების მარშრუტის გასწვრივ მდებარე დასახლებებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტები ხორციელდება და ასევე ახალი პროგრამა, რომელიც ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობის მონიტორინგის მსურველ არასამთავრობო ორგანიზაციებს დამოუკიდებელი დაფინანსების მეშვეობით აუდიტის და ანგარიშგების აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენაში დაეხმარება. აღნიშნულ პროგრამათა პაკეტს დროთა განმავლობაში შეიძლება სხვა სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამები დაემატოს. თითოეულ პროგრამას თავისი საკუთარი თემატიკა და ამოცანები აქვს, თუმცა მათ ერთი რამ აერთიანებთ, კერძოდ კი საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა.

ამჟამად განიხილება შემოთავაზებები პროექტებზე, რომლებიც ეხება მხოლოდ შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებას - *არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მცირე გრანტების პროგრამის მართვა SCP და BTC მილსადენის მარშრუტებზე*. ამას მოჰყვება იმ შვიდ რაიონში, რომლებშიც გადის მილსადენი, მომუშავე NGO/CBO-ების მუშაობის მოცულობის მოთხოვნების, სპექტრის დიზაინისა და პროგრამის საოპერაციო მექანიზმების შეფასება და მისი შემდგომი მართვა ორწლიანი პერიოდის განმავლობაში.

კომპანია "BP", როგორც აღნიშნული პროექტების ოპერატორი, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონალურ / რაიონულ ორგანიზაციებს შორის ალიანსების შექმნას ეკოლოგიური ინვესტირების პროგრამების პროექტების განსახორციელებლად.

წინადადებების წარდგენა შეუძლიათ შემდეგ ორგანიზაციებს:
- არაკომერციული, კერძო მოხალისეთა ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ან ასოციაციები, რომლებიც ოფიციალურად რეგისტრირებული არიან საქართველოში და გააჩნიათ საქმიანობის განხორციელების ნებართვა.
- საქართველოში რეგისტრირებული კერძო ან კომერციული ორგანიზაციები, რომლებიც პროექტის საქმიანობას განახორციელებენ ხარჯების ანაზღაურების საფუძველზე (ე.ი. შემოსავალსა და მოგებაზე უარის თქმის პირობით).
- საქართველოში არარეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციები (ე.ი. რომელთაც არ გააჩნიათ საქართველოში საქმიანობის განხორციელების ნებართვა) ეროვნულ ორგანიზაცეიებთან დოკუმენტურად გაფორმებული პარტნიორობის / ალიანსის არსებობის შემთხვევაში.
- ზემოაღნიშნულის ნებისმიერი კომბინაცია დოკუმენტურად გაფორმებული პარტნიორობის / ალიანსის არსებობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა უნდა დაასაბუთონ, რომ გააჩნიათ შემდეგი სახის კომპეტენცია:
- გრანტის ტიპის პროექტის ან ანალოგიური ინიციატის მართვის და / ან განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება, რომლის მინიმალური ღირებულება არაა ნაკლები 50 000 აშშ დოლარზე პროექტის მიმდინარეობის მანძილზე.
- მცირე გრანტების/შესაძლებლობების განვითარების დარგში პროექტების მართვისა და განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება.
- შემოთავაზებული პროექტის სფეროში დასაბუთებული კომპეტენცია.
- სამუშაოთა განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილ საქმიანობაში ჩართული ყველა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უსაფრთხოების დაცვას.
- ანგარიშების არსებობა, რომელთა აუდიტიც შესაძლებელია.

აპლიკანტებს შეუძლიათ წინადადებების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაციის წაღება 2004 წლის 24 მაისიდან 5 ივნისამდე შემდეგი პუნქტიდან:

BTC მილსადენის კომპანია / შპს SCP
კომპანია "BP"-ის საქართველოს პროექტების ოფისი
საქართველო, თბილისი 380094
საბურთალოს ქ. N38

წინადადებების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაცია აგრეთვე განთავსებულია პროექტის ვებ-გვერდებზე:
www.caspiandevelopmentandexport.com
www.assistancegeorgia.org.ge
www.rec-caucasus.org


## ჯორჯ ბუში: ჩემი ქვეყნის ოკუპაციას ვერც მე შევურიგდებოდი

პირველი გვერდიდან

**"მე არასდროს მქონია კონფლიქტი ფრანგებთან. საფრანგეთი ჩვენი მუდმივი და ძველი მოკავშირეა. მე მივიღე რთული გადაწყვეტილება და ამას ყველა არ დაეთანხმა. მეგობრები, შესაძლებელია, ყოველთვის არ დაეთანხმონ ერთმანეთს. ჟაკმა ამის შესახებ ღიად მითხრა. ის არ თვლიდა, რომ ძალის გამოყენება გარდაუვალი იყო. ჩვენ ეს თემა, როგორც მეგობრებმა, ისე განვიხილეთ,"** - განაცხადა ბუშმა.

ამის შემდეგ ჯორჯ ბუშმა იმის შესახებ დაიწყო საუბარი, თუ რაოდენ დიდი და კეთილშობილური მიზნების განხორციელება სურს ერაყში.

**"დადგა დრო შრომისათვის იმ ფასეულობების სახელით, რისიც ჩვენ გვწამს. ეს ადამიანის უფლებაა, ადამიანური ღირსება, კანონის პატივისცემა, თავისუფლების და სამართლიანობის დაცვა. ეს ძალისხმევა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ერაყში, სადაც ძალიან რთული ვითარებაა და თავაუწეველი მუშაობაა საჭირო. აი, რისთვისაა საჭირო, რომ მსოფლიო გაერთიანდეს და ერაყელებს საკუთარი მთავრობის შექმნაში დავეხმაროთ,"** - აღნიშნავს თეთრი სახლის მესვეური.

ამასთანავე, ჯორჯ ბუშმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას და განაცხადა, რომ ამის გარეშე არაფერი მიიღწევა. **"მიმაჩნია, რომ აშშ-მ უნდა გააგრძელოს მუშაობა სხვა სახელმწიფოებთან. ბევრი ქვეყანა ავღანეთში და ერაყში მხოლოდ ტერორიზმის დასამარცხებლად არ მუშაობს. მათ მიზანს თავისუფლების ზეიმი წარმოადგენს,"** - აცხადებს ბუში და დასძენს, რომ სასოწარკვეთა ფანატიზმს და ტერორიზმს შობს, ხოლო თავისუფლება კი სასოწარკვეთას ამარცხებს.

## ბრიტანეთში ისლამოფობია ვრცელდება

მსგავსი სათაურით დაიბეჭდა საინფორმაციო სააგენტო "ბი-ბი-სი"-ს ინტერნეტ-გვერდზე სტატია, რომლის მიზანიც ბრიტანულ საზოგადოებაში რელიგიური შეუწყნარებლობისადმი არსებული ფაქტების ანალიზი წარმოადგენდა.

**დიდ ბრიტანეთში ისლამოფობიის გავრცელება ექსტრემიზმის გაძლიერების საშიშროებას ქმნის და მასობრივი არეულობების გამოწვევა შეუძლია.** ამის შესახებ ნათქვამია ბრიტანელ მუსლიმთა და ისლამოფობიის კომისიის მოხსენებაში, რომელიც რასიზმის გამოვლინებებთან მებრძოლი ორგანიზაციის, "რანიმედ თრასტ"-ის მიერ არის შექმნილი. მოხსენების ავტორები ამტკიცებენ, რომ ბრიტანელი მუსლიმები სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციას განიცდიან და ბრიტანული საზოგადოებისაგან იზოლირებულად გრძნობენ თავს.

მუსლიმების მიმართ მტრული განწყობა პირველად 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ დაფიქსირდა. გახშირდა თავდასხმები, როგორც ცალკეულ მუსლიმ მოქალაქეებზე, ასევე საკულტო ნაგებობებზე. ამის გარდა, მუსლიმები ყოველდღიურად ხდებიან პოლიციის მხრიდან დევნის მსხვერპლნი. უკანასკნელ დროს, ასევე, გახშირდა აზიური საცხოვრებელი უბნების ჩხრეკა. აღნიშნული კომისიის მუშაობაში ჩართული ერთ-ერთი იმამის განცხადებით, პოლიციამ, შემოწმების მიზნით, ქვეყნის ერთ-ერთი პერი, მუსლიმი ლორდი აჰმედიც კი გააჩერა ორჯერ ქუჩაში.

1997 წელს კომისიის მიერ გამოქვეყნებული პირველი მოხსენება 60 რეკომენდაციას შეიცავდა, რომელთა შესრულების შემთხვევაში, ავტორების აზრით, შესაძლებელი გახდებოდა მუსლიმური მოსახლეობის უფლებების დაცვა. კერძოდ, კომისია გამოდიოდა კანონმდებლობაში შესწორებების შეტანის ინიციატივით, რომლის მიზანიც ისლამის აღმსარებელი მოქალაქეების ბრიტანულ საზოგადოებაში ინტეგრაცია იქნებოდა.

მოხსენების წარდგენისას კომისიის თავმჯდომარემ, დოქტორმა რიჩარდ სტოუნმა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბრიტანეთის მთავრობამ 1997 წელს მიღებული რეკომენდაციების სრული იგნორირება მოახდინა. "ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა, ქვეყანაში ანტი-მუსლიმური განწყობის პრობლემას არ ჩაუღრმავდა," - ამბობს სტოუნი.

მოხსენებიდან ნათლად ჩანს, რომ ერთადერთი პოზიტიური შედეგი, რაც 1997 წლიდან დღემდე განხორციელდა, თავად ისლამური ორგანიზაციების გააქტიურებაა, რომლებიც უფრო ორგანიზებულნი, უფრო მეტად დარაზმულნი გახდნენ. მართალია, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მაინც დაიმსახურა გარკვეული მადლიერება რელიგიური დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული ცალკეული აქციებისათვის, მაგრამ, ამან წარმოშვა სხვა არანაკლებ საშიში ტენდენცია – დღეს ზოგიერთი მუსლიმი, განსაკუთრებით - ახალგაზრდები, თავს საზოგადოებიდან გარიყულად გრძნობენ.

ბრიტანეთის მუსლიმური საბჭო, რომელიც ერთ-ერთი იყო იმ ორგანიზაციათაგან, ვინც კომისიას თავისი აზრი მიაწოდა, ამბობს: 1997 წლის მოხსენებიდან დღემდე ძალიან მცირეა გაკეთებული ისლამოფობიის პრობლემის გადასაჭრელად. ორგანიზაციის გენერალური მდივნის მონაცემებით, 41 პროცენტით გაიზარდა ისეთი ფაქტები, როდესაც ლონდონის პოლიცია აზიური წარმოშობის მოქალაქეების მისამართით ე.წ. გაჩერებისა და დათვალიერების მეთოდს იყენებს.

"ბი-ბი-სი"-ს კიდევ ერთი მუსლიმის, ქვეყნის ერთ-ერთი პერის საკმაოდ დამაფიქრებელი სიტყვები მოჰყავს, რომელიც ნათლად ადასტურებს ბრიტანელთა დამოკიდებულებას საერთოდ რელიგიური შემწყნარებლობისადმი. "**როდესაც ხალხი მხოლოდ იმიტომ გთვლის ტერორისტად, რომ მუსლიმის იერი გაქვს, ისლამის აღმსარებლობა საოცრად რთული ხდება,**" - აცხადებს აზიზ აჰმედი.

# კმარა ბაზრობა - პარკები გაგვიშენეთ

### ვის ეკუთვნის სავაჭრო პავილიონები



*ელიავას ბაზრობის მოპირდაპირე მხარეს, სამხედრო ნაწილის ყოფილი ტერიტორიის მეზობლად მცხოვრებნი გუშინ დილიდან თბილისის მერის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ. მოსახლეობას რამდენიმესაათიანი ლოდინი და "ზურა, ზურა"-ს ძახილი დაუფასდა. მერმა ერთი - თითქმის დასრულებული, და მეორე ახლად დაწყებული სავაჭრო პავილიონების მშენებლობა შეაჩერა. როგორც მოსახლეობა აცხადებს, ამ მშენებლობების უკან მაღალჩინოსნების ოჯახები დგანან.*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ნანა ქადაგიშვილი

სამხედრო ნაწილის ყოფილი ტერიტორია დღეს, თითქმის, მთლიანად გაყიდულია. პრივატიზებას გადაურჩა მხოლოდ ერთი ავარიული კორპუსი, სადაც სამხედროების 15 ოჯახი ცხოვრობს. პრივატიზებული ტერიტორიის ერთ ნახევარზე სავაჭრო პავილიონის მშენებლობა შარშან გაზაფხულზე დაწყებულა. დღეს უზარმაზარი სავაჭრო ცენტრი, თითქმის, დასრულებულია. მოსახლეობის აღშფოთება აღნიშნულ პავილიონზე მეტად მეორე ცენტრის მშენებლობამ გამოიწვია. მეორე პავილიონის მშენებლობა სამხედრო ნაწილის ყოფილი ტერიტორიის გაყოლებაზე, საცხოვრებელი კორპუსების პირდაპირ დაიწყო. **"რა უბედურებაა ამდენი ბაზრობა. ირგვლივ ერთი პარკი არ არის, რომ ბავშვები გარეთ გამოვიყვანოთ,"** – ცხარობდნენ მერის მოლოდინში კორპუსის ეზოში შეკრებილი მობინადრეები. უფროსების აზრს ბავშვებიც იზიარებდნენ და - **"კმარა ამდენი ბაზრობა დიდუბეში,"** – ასეთი შინაარსის ტრანსპარანტს წინ და უკან დააფრიალებდნენ. მშენებარე პავილიონის მეზობელთაგან, განსაკუთრებით, სამხედროების ოჯახები აქტიურობდნენ: **"ჩვენს გასახლებაზე ჯერ ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენი კორპუსი პავილიონების შუაშია მოქცეული და, ბუნებრივია, აქ არავინ დაგვტოვებს. რა ბედი გველის, არ ვიცით."**

ზურაბ ჭიაბერაშვილის გამოჩენამდე მოსახლეობასთან ჯერ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი თემურ ჭეიშვილი, სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი და მერიის აპარატის უფროსი გივი ორდენიძე მივიდნენ. როგორც მესხიშვილმა განაცხადა, პავილიონის მეპატრონეს ინსპექციის ნებართვა მიღებული არ ჰქონია. პირველი სტუმრების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან ქალაქის ხელმძღვანელობის პოზიცია უკვე გმოიკვეთა. **"ამ რაიონში 14 ბაზრობაა და მეტი საჭირო აღარ არის. თქვენ გვერდით დაგვიდექით და ამ მშენებლობას შევაჩერებთ,"** – შეჰპირდნენ ისინი მოსახლეობას. მერის დაპირებებმა კი მობინადრეები საბოლოოდ დააიმედა.

"ზურა, ზურა"-ს ძახილით შეგებებულ მოსახლეობას მერი პავილიონის დახშული ჭიშკრისკენ წაუძღვა და დაცვის თანამშრომლებს კარი ძალით გააღებინა. რამოდენა ყოფილა, გარედან ამხელა კიდევ არ ჩანდა, აქ რა კარგი პარკი გაკეთდებოდაო, - ამბობდნენ მოქალქეები. ეს სავაჭრო-გასართობი ცენტრი უნდა იყოს, პარკის გაკეთებას ისედაც ვგეგმავდითო, - არ დაიბნა პავილიონის მენეჯერი. მაგრამ, ამ განცხადებამ აღშფოთებულ ხალხზე ვეღარ გაჭრა. **"გადაეცით თქვენს ხელმძღვანელობას, რომ ხვალვე მობრძანდნენ მერიაში და წარმოგვიდგინონ ყველა დოკუმენტი,"** – მოსთხოვა მერმა მენეჯერს, **- სანამ ყველაფერს არ შევისწავლი, არც ერთი პავილიონის მშენებლობა არ გაგრძელდება,"** – ამ სიტყვებით დატოვა ელიავას ბაზრობის ტერიტორია ქალაქის მერმა.

ქალაქის ხელმძღვანელობა სავაჭრო ცენტრის რეალური მეპატრონის ვინაობის დასახელებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

# ქართული სკოლა პლუს იაპონური სიბეჯითე



*მწერალ ოტია იოსელიანის "დაჩის ზღაპრები" ოცდაორი წლის წინ იაპონურ ენაზე ითარგმნა. "სირცხვილით სად წავიდე, არ ვიცი, ერთხელ ხომ დაბეჭდეთ და მაჩუქეთ, გეყოფათ, აწი მეიპარეთ-თქვა, - ელჩს ვუთხარი. ოცდაორი წელია, იენებით ვცხოვრობ. ყოველი ახალი გამოცემის შემდეგ მიხდიან," - ამბობს ბატონი ოტია და საკუთარ "ვოლვოზეც" მიმანიშნებს, - არ დაიჯერო, რომ შვედურია, იენებით შეძენილიაო.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

დალი კუპრავა

გუშინ ვუკოლ ბერიძის ქუჩაზე, "იაპონურ" სკოლაში, რომელსაც ქალაქში ფისოს სკოლად იხსენიებენ (შინაურულად ასე ეძახიან დირექტორს, ქალბატონ ეთერ სვანიძეს), იაპონიის ელჩი ამიერკავკასიაში ფუჯივარა ტოში იუკი სანი ესტუმრა. სკოლამ განათლების და მეცნიერების მინისტრს ბატონ ალექსანდრე ლომაიას და სხვა ჩინოსან თუ გამოჩენილ ადამიანებსაც უმასპინძლა. გარემო, არაბუნებრივად ქართულად და ბუნებრივად იაპონურად, მყუდრო და სადად საქმიანი იყო: ფერით, საუბრის თემატიკით, ტემპითა თუ ტონით.

"ერთ დროს მეც დავიწყე იაპონურის შესწავლა, მაგრამ გარემოებებმა შემიშალა ხელი," - ამბობს პეტრე მამრაძე, რომელიც თავისი პოლიგლოტური და აღმოსავლური სპორტული გატაცებებითაა ცნობილი. ამ შეხვედრაზე დასასწრები მისი მრავალფუნქციური საჭიროებებიდან უმთავრესი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ის ლიზი მამრაძის მამაა, რომელიც სხვა საგნებთან ერთად იაპონურ ენას იმ საკლასო ოთახებში ისწავლის, რომლებიც სკოლაში იაპონიის საელჩოს ფინანსური დახმარებით შეკეთდა.

ამიერკავკასიის ფარგლებში ეს ერთადერთი სკოლაა, სადაც იაპონური ენა ისწავლება და იაპონიასთან აქტიური საგანმანათლებლო კავშირები აქვს: ყოველ წელს მასწავლებლები რამდენიმე თვით იაპონიაში პრაქტიკას გადიან, ქართულ-იაპონური საზოგადოება სკოლას სახელმძღვანელოებით ამარაგებს, იაპონელები ხშირად სტუმრობენ, სკოლის პრობლემატიკით ინტერესდებიან და იაპონური მანერით დახმარებას უწევენ - შეუსრულებელს არ ჰპირდებიან და დაპირებულს ასრულებენ.

იაპონური ენის ცოდნის დონის გარკვევა არც მიცდია, რადგან არ შემეძლო, მაგრამ ინტერესი კი თვალნათლივ დავინახე: მოსწავლეები გაფაციცებულები უსმენდნენ ელჩის საუბარს - ის ინგლისურად კი არა, არც მეტი არც ნაკლები, იაპონურად ლაპარაკობდა. როცა ვკითხე, გესმით-მეთქი? - ხმადაბლა ლაპარაკობს და ზოგიერთი რამის გაგონება გვიჭირსო. ელჩმა დაწვრილებით გამოიკითხა სკოლის ამბები - რამდენი მოსწავლეა, როგორია იაპონური ენის სასწავლო პროგრამა. აქ მეც გავარკვიე, რომ სკოლაში იაპონური ენა თანამედროვე მეთოდიკით ისწავლება და თუ ადრეული მეთოდიკით ჯერ კატაკანას ასწავლიდნენ და შემდეგ ჰირაგანას, ახლა ე.წ. შერეული სისტემით ასწავლიან დამწერლობას, გნებავთ, ანბანი დავუძახოთ.

შეხვედრას მოსწავლე მევიოლინეთა ანსამბლი ამშვენებდა. როცა ფოტოგრაფმა მათი გადაღება მოინდომა და მასწავლებელმა სთხოვა, ინსტრუმენტები "საბრძოლო" მზადყოფნაში მოეყვანათ ისე, რომ არ დაეკრათ, მეორეკლასელმა კესომ ბრძანება არად ჩააგდო, პროფესიონალის ეთიკის ერთგულებით, მომარჯვებული ხემი სიმებს შეახო და ვიოლინო ააჟღერა. კესოს ანსამბლის წევრებიც აჰყვნენ. მართალია - ის ხემი რა ვთქვი, სიმებს რომ შეეხება და ხმას არ ამოაღებინებს.

ოტია იოსელიანმა, რომელიც შეხვედრაზე, თავისთავადაც და, იაპონური დაჩის ზღაპრების გამოც, პოპულარული პიროვნება იყო, ელჩს მადლობა გადაუხადა იმ ბეჯითი ყურადღებისათვის, რასაც იაპონური გამომცემლობა და კანონმდებლობა, ოცდაორი წელია, ავტორისადმი იჩენს; მერე საუბარში მიგვახვედრა, რომ ხელოვანის და, საერთოდ, მოქალაქეების შრომისადმი ამგვარ დამოკიდებულებას ნატრობს საქართველოში.

სკოლაში საზაფხულო არდადეგები იწყება. აქ მხოლოდ იაპონური როდია საინტერესო - ტრადიციულად, მოსწავლეები არდადეგებს მასწავლებლებთან ერთად ატარებენ საზაფხულო ბანაკში. ერთი სიტყვით, მე რომ სასკოლო ასაკი მქონდეს, სიამოვნებით ვისწავლიდი "ფისოს სკოლაში".

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 191

*2004 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი*

უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა კახა ბენდუქიძეს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, დაბადებულს 1956 წლის 20 აპრილს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს რუსეთის ფედერაციაში.
2. ბრძანებულება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 192

*2004 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი*

ცხინვალის რეგიონში წყალმომარაგება-კანალიზაციის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე ცხინვალის რეგიონის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიან სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობის და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით:

1. საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრომ (თ. სულუხია) სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის - "ცხინვალის რეგიონში მიწისძვრის და კონფლიქტის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების და საინჟინრო კომუნიკაციების აღდგენასთან დაკავშირებული ღონისძიებები"-ს ფარგლებში:

- მდ. ლიახვის მარჯვენა სანაპიროზე განთავსებული სოფლების (კეხვი, ქურთა, ზემო და ქვემო აჩაბეთი, თამარაშენი) სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგებისა და ქ. ცხინვალის საკანალიზაციო სისტემის განახლების უზრუნველსაყოფად (პროექტის დაფინანსება მოხდეს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით) 2004 წლის 15 ივნისამდე შეიმუშაოს ცხინვალის რეგიონის წყალსადენისა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დავალება:
- 2004 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს სათანადო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება.

2. აღდგენითი სამუშაოების ჩატარება განხორციელდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის პარალელურად.
3. სამუშაოთა პრიორიტეტულობისა და გადაუდებლობის გამო უფლება მიეცეს საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს (თ. სულუხია) საინჟინრო კომუნიკაციების აღდგენასთან დაკავშირებული საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები დაუკვეთოს ერთ პირთან მოლაპარაკების წესით.
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) 2004 წლის 10 ივნისამდე გადაწყვიტოს სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების საკითხი.
5. კონტროლი ბრძანებულების შესრულებაზე განახორციელოს საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრომ.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 456

*2004 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი*

გ. გოცირიძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს გიორგი გოცირიძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 461

*2004 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი*

ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) 2004 წლის 10 ივნისამდე საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გამოყოს 300 000 (სამასი ათასი) ლარი აზოტიანი სასუქის - ამონიუმის გვარჯილის შეძენის, ტრანსპორტირებისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 462

*2004 წლის 3 ივნისი ქ. თბილისი*

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურის სამართლებრივი რეგლამენტაციის თაობაზე წინადადებების შემმუშავებელი კომისიის შექმნის შესახებ

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, საქართველოს პრეზიდენტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების უფლებამოსილების რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმების შექმნის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 13 თებერვლის №60 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დებულების მე-18-20 პუნქტების შესაბამისად:

1. შეიქმნას უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურის (საკითხთა) სამართლებრივი რეგლამენტაციის თაობაზე წინადადებების შემმუშავებელი კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ირაკლი ჩუბინიშვილი - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე

შოთა ასათიანი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-საზეიმო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსი

კახაბერ ბარათაშვილი - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საპარლამენტო მდივნის სამსახურის უფროსი

ზაურ გამსახურდია - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი

დავით გვათუა - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე

მუხრან გულალაშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

კოტე ვარძელაშვილი - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

ნიკოლოზ ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე

ირაკლი კლდიაშვილი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე

ამირან მესხელი - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე

ლაშა ჟვანია - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

შალვა ჟღენტი - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი სურგულაძე - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოქალაქეობის საკითხთა, სახელმწიფო ჯილდოების და საპატიო წოდებების მინიჭების სამსახურის უფროსი

მაკა სხირტლაძე - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქართველოს პრეზიდენტის მთავრობასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა სამსახურის უფროსი

ეთერ ყამარაული - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციისა და იმიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის უფროსი

კლიმენტი ჯაჭვლიანი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს საორგანიზაციო-ანალიტიკურ და კომპიუტერული აღრიცხვის განყოფილების უფროსი.

2. ეთხოვოს კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს.
3. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურის (საკითხთა) სრულყოფილი სამართლებრივი რეგლამენტაციის მიზნით კომისიამ ერთ თვეში შეიმუშაოს და წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებები და ნორმატიული აქტის პროექტები.
4. კომისიის თავმჯდომარემ ი. ჩუბინიშვილმა საქართველოს პრეზიდენტს პერიოდულად წარუდგინოს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

*მიხეილ სააკაშვილი*



# პროკურატურა იქნება ისეთი, როგორი ნებაც ხელისუფლებას აქვს

თამარ კაციტაძე

*"პროკურატურის თანამშრომლებს რომ ვუყურებ, მივხვდი, რომ ასეთი პროფესიონალების ხელში ქვეყანას დანგრევა არ უწერია," - ეს სიტყვები გენპროკურატურის ერთ-ერთმა ახალმა ხელმძღვანელმა თქვა, რომელსაც თავის დროზე ქართველ პროკურორებზე აბსოლუტურად განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა. ქვეყნის უმაღლესი სამართალდამცავი სტრუქტურისადმი ხელისუფლების ნება შეიცვალა და ფაქტია, პროკურატურამაც "გამოცდა წარმატებით ჩააბარა". რა ხდება გენერალური პროკურატურის კედლებს მიღმა და რა ცვლილებები მიმდინარეობს სისტემაში? ამ საკითხზე ინტერვიუ ვთხოვეთ გენერალური პროკურორის მოადგილეს კახა კობერიძეს.*

**- ბატონო კახა, რა სახის ცვლილებები მიმდინარეობს ამჟამად თავად პროკურატურაში?**

- დრომ და განვითარების ეტაპმა მოიტანა იმ სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა, რომელიც დღეს პროკურატურაში მიმდინარეობს. პრაქტიკულად, ის სტრუქტურა, რომელიც პროკურატურაში დღემდე არსებობდა, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაინერგა და აქამდე არ შეცვლილა. იყო, რა თქმა უნდა, გარკვეული ცვლილებები, მაგრამ მას არსებითი სახეცვლა არ მოჰყოლია. აქამდე მოკვლევას ჰყავდა თავისი ზედამხედველი, გამოძიებას - თავისი საპროცესო ხელმძღვანელი, სულ სხვა სამმართველო ახორციელებდა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას. ამის გამო, ხშირად საქმე რამდენიმე ძიძის ხელში ჩავარდნილ ბავშვს ჰგავდა და შედეგსაც არაეფექტურს ვიღებდით. დღეს ჩვენ ვცდილობთ, ერთი ზედამხედველის, ერთი საპროცესო ხელმძღვანელის ხელში გაერთიანდეს ყველაფერი და ერთი საქმის ბედის პასუხისმგებელი ერთი პროკურორი იყოს - დაწყებული მოკვლევიდან, სასამართლოს ბოლო ინსტანციამდე. ჩამოყალიბდა სამმართველოები უწყებრივი ქვემდებარეობის პრინციპით, გაუქმდა სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი სამმართველო და მისი ფუნქციები ყველა სამმართველოზე გადანაწილდა. ახალი მოდელით არსებობს ოთხი ძირითადი სამმართველო. მაგალითად, შეიქმნა შინაგან საქმეთა ორგანოებში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველო. აქამდე თუ არსებობდა გამოძიებაზე ზედამხედველობის განყოფილება ცალკე და მოკვლევაზე ზედამხედველობის სამმართველო ცალკე, ახლა ეს ორი სამსახური ერთ სამმართველოდ გაერთიანდა და მათ ბრალდების ფუნქციებიც დაემატა. ანალოგიური პრინციპით შეიქმნა დანარჩენი სამმართველოებიც: ფინანსთა სამინისტროს ორგანოებში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველო, შინაგანი, უშიშროების, იუსტიციის და სახელმწიფო დაცვის სამსახურში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველო და მეოთხე, უშუალოდ პროკურატურის ორგანოებში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველო. ანუ, მიზანი გასაგებია. ერთი და იგივე პროკურორი და სამსახური მიჰყვება საქმეს მოკვლევიდან სასამართლოს ბოლო ინსტანციამდე. ბუნებრივია, ამის შემდეგ არ მოხდება პროკურორების დიფერენციაცია მხოლოდ გამომძიებელ, ზედამხედველ და ბრალმდებელ პროკურორებად. ანალოგიური პრინციპით დაიგეგმება საოლქო პროკურატურების შიდა სტრუქტურებიც. გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამმართველო – სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველო, რომლის ფუნქციაც დასახელებიდანვე ჩანს.

**- ეს ის სტრუქტურაა, რაც თავის დროზე რეფორმატორების კონცეფციაში იყო გათვალისწინებული?**

- არა, ეს ის სტრუქტურა არ არის. ეს არის მოდელი, რომელიც ჯერ არც ერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში არ არის. რა თქმა უნდა, აქ არის იმ რეფორმების კონცეფციის გარკვეული ელემენტები, მაგრამ მთლიანად არ ემთხვევა.

- გარდა ამისა, მოვამზადეთ ცვლილებების პროექტი პროკურატურის შესახებ ორგანული კანონში. ჩვენ, პრაქტიკულად, უარს ვამბობთ სპეციალიზებულ პროკურატურებზე. ამგვარი პროკურატურების შექმნა გენერალური პროკურორის უფლებამოსილებაა და იგი კანონით არ უნდა იზღუდებოდეს. მართალია, დღეს მოქმედი კანონი გენერალურ პროკურორს აძლევს იმის უფლებას, რომ მან თავად განსაზღვროს სპეციალიზებული პროკურატურების საჭიროება და სახეობა, მაგრამ იმავე დროს, კანონში პირდაპირ არის მითითებული სპეციალიზებული პროკურატურები და მათი ფუნქციებიც განსაზღვრულია. ასე აღარ უნდა იყოს. პროკურორს თავისი შიდა სტრუქტურული გადანაწილება, შიდა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების უფლება თავად უნდა ჰქონდეს. რა სახის სამმართველო შეიქმნება, რა სახელი ერქმევა მას, როგორი უფლებები ექნება სამმართველოს, ეს გენერალური პროკურორის უფლებაა. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო. პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლებამოსილება კანონმდებლობით ისედაც არის განსაზღვრული.

**- ეს ხომ არ მიგვიყვანს იქამდე, რომ შემდეგი პროკურორიც თავისი სურვილისამებრ მოინდომებს სტრუქტურულ ცვლილებას, რაც საბოლოოდ პროკურატურის სისტემატურ ცვლილებამდე მიგვიყვანს?**

- ის ცვლილებები, რაც მოხდა, არ ყოფილა ვინმესთვის თვითმიზანი და ეს, როგორც ითქვა, აუცილებლობით იყო გამოწვეული. არც ერთი სტრუქტურა არც ერთ უწყებაში არ არის სრულყოფილი და იგი მუდმივად დახვეწას საჭიროებს. თორემ, რა ცვლილებებიც არ უნდა განვახორციელოთ, კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებს მაინც ვერ გავცდებით.

**- ესე იგი, სამხედრო ტრანსპორტის და სასჯელაღსრულებაზე ზედამხედველობის პროკურატურები აღარ იარსებებს?**

- როგორც უკვე აღვნიშნე, ახალ პროექტში სპეციალიზებული პროკურატურების ჩამონათვალი საერთოდ არ არსებობს და მითითებულია, რომ გენერალურ პროკურორს აქვს სპეციალიზებული პროკურატურების შექმნის და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის უფლება. ამ ეტაპზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტრანსპორტისა და სასჯელაღსრულებაზე ზედამხედველობის პროკურატურები მიზანშეწონილია გაუქმდეს, სამხედრო პროკურატურა კი ამ ეტაპზე დარჩება. სპეციფიკურობა აქვს ნებისმიერ საკითხს. მაგალითად, მკვლელობის საქმის გამოძიება განსხვავდება ქურდობის გამოძიებისგან. ქურდობის და მკვლელობის საქმეების პროკურატურებს ცალ-ცალკე ხომ ვერ შევქმნით?

**- სხვა რა საკითხებზეა ახალ პროექტში საუბარი?**

- კანონპროექტში საუბარია მატერიალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის გარანტიებზე. ეს ნიშნავს ხელფასების ზრდას. ადამიანს როცა აძლევ ისეთ ხელფასს, რითაც იგი ოჯახს ვერ შეინახავს, არა აქვს მნიშვნელობა, 20 ლარია თუ 200, ყველა შემთხვევაში მოიპარავს. ჩვენს თანამშრომლებს არსებობის ელემენტარული პირობები უნდა ჰქონდეთ. ეს ხალხი ხშირად დგას ცდუნების წინაშე. ამიტომ, ამ ცდუნებას რომ გაუძლოს, სახელმწიფომ პროკურორს ისეთი ხელფასი უნდა მისცეს, რომ მან უზრუნველყოფილად იგრძნოს თავი. დამერწმუნეთ, თუ ეს ასე მოხდება, სიკეთე ასმაგად დაუბრუნდება საზოგადოებას და ამას ყველა ძალიან მალე იგრძნობს, როგორც საგრძნობია ბოლო პერიოდში კორუფციის მკვეთრი შემცირება. ხოლო უხელფასო პროკურატურა ასევე ათმაგად უარყოფითად დაუბრუნდება ხალხს. ამიტომ, მაღალხელფასიანი პროკურორები საზოგადოებას არ უნდა ალიზიანებდეს.

**- ყველა სტრუქტურის ხელმძღვანელი მუშაობას სისტემის "წმენდით" იწყებს, რა სიტუაციაა ამ მხრივ პროკურატურაში?**

- პროკურატურის რადიკალური საკადრო წმენდა არ მომხდარა, რადგან კადრები არ არის ასე იოლი გასაზრდელი. პროკურატურა ფაქიზი სისტემაა, რომელსაც მაღალი დონის პროფესიონალები სჭირდება და ჩვენ გვყავს ამ დონის თანამშრომლები, თუმცა არა ყველა. როგორიც იქნება ხელისუფლების და გენერალური პროკურორის ნება, ისეთი იქნება პროკურატურაც. ეს აქსიომაა და ბოლო პერიოდში პროკურატურის საქმიანობა, მისი ამაღლებული ავტორიტეტი ამის ნათელი მაგალითია. დღევანდელ ხელისუფლებას სურს, ქვეყანას კანონიერების პრინციპებზე დაფუძნებული პროკურატურა ჰყავდეს.

**- და მაინც, რა მექანიზმი არსებობს უღირსი კადრებისგან გასაწმენდად?**

- ძალიან კარგი და მარტივი მექანიზმი არსებობს. ის თანამშრომელი, ვინც პროფესიული და ზნეობრივი კრიტერიუმით ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნას, სისტემას დაემშვიდობება. ვინ არიან ასეთები, ძალიან კარგად ვიცით, ბევრს დავემშვიდობეთ კიდეც, საჭიროებისას ამ ნაბიჯზე არც მომავალში ვიტყვით უარს. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, პროკურატურაში უმრავლესობა არის პროფესიონალი და ზნეობრივი ადამიანი, მით უმეტეს, რომ ბოლო პერიოდში ხელფასებიც გაიზარდა. ასეთი ენთუზიაზმი, დიდი ხანია, პროკურატურაში არ ყოფილა. პროკურორებმა იგრძნეს, რომ მათ ღირსება და პრესტიჟი დაუბრუნდათ, რომ მათ კანონიერ მოთხოვნას და სიტყვას ძალა აქვს და, რაც მთავარია, საზოგადოების განწყობა შეიცვალა. ხალხი პროკურორს უკვე საზოგადოების მსახურად თვლის. იყო პერიოდი, როდესაც პროკურატურას ფუნქცია ჰქონდა მკვეთრად დაქვეითებული, მაგრამ ეს პროკურორების უმრავლესობის ბრალი არ ყოფილა. ამ ბოლო დროს, როცა ცნობილი საქმეები წამოტივტივდა, მივხვდი, რომ ეს ქვეყანა კიდევ კარგად იდგა ფეხზე. ადამიანის დაპატიმრება უნდა იყოს აუცილებლობა და არავინ იფიქროს, რომ თითქოს რეპრესიული მანქანა უკანონოდ ამუშავდა. საჯარო დაპატიმრებებთან დაკავშირებით ჩვენს მიმართაც გაისმა კრიტიკული ტონი, მაგრამ ყველამ უნდა გაიგოს, რომ ეს იყო აუცილებლობით გამოწვეული. ეს შოუ არ არის. დაპატიმრების ეთერით ჩვენებასაც მიზანმიმართული დანიშნულება ჰქონდა. აქ არ არის ჩვეულებრივ ადამიანებზე საუბარი, ეს ის ხალხია, რომლებმაც გაუბედურებულ, გაღატაკებულ ქვეყანაში ათობით მილიონი დოლარი იშოვეს.

**- ქართველი სამართალდამცველების მუშაობის ამგვარი სტილი უცხოელმა ექსპერტებმაც ადამიანის უფლებების დარღვევად შეაფასეს.**

- მთავარია, რომ დაპატიმრება კანონიერად მოხდეს და მერე ამას ტელევიზიით აჩვენებენ თუ არა, არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს. ამ ფორმას პრევენციული მნიშვნელობა აქვს, რადგან საქართველომ უნდა დაიჯეროს, რომ ყოველგვარ ზღვარს გადასვლა არავის შერჩება. განსაკუთრებით, ბოლოდროინდელი ამბების შემდეგ, როცა ახალი ხელისუფლების წევრებიც დავაპატიმრეთ, ცხადი გახდა, რომ არ არსებობს პირი, რომელზეც კანონის მოთხოვნა არ ვრცელდება.

**- საკადრო ცვლილებებს დავუბრუნდეთ. რა პრინციპით ხდება კადრების შერჩევა?**

- პროფესიონალიზმი და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის უნარი. შეიძლება კაცი იყოს პროფესიონალი, კანონი კარგად იცოდეს, მაგრამ რეალურად უუნარო იყოს ამ კანონის გამოყენებისას. ამასთან, პიროვნება არ უნდა იყოს ბინძური წარსულის მქონე. პროკურატურა რომ დღეს ავანგარდშია კორუფციის და საერთოდ დანაშაულთან ბრძოლაში, ეს ისევ ღირსეული კადრების დამსახურებაა. თუმცა, სისტემაში მივიღეთ ახალგაზრდა კადრებიც, რომლებსაც დღემდე პროკურატურაში არ უმუშავიათ. ეს არის განახლების შეუქცევადი პროცესი და მომავალშიც გაგრძელდება. ამასთან, შევიმუშავეთ კადრების შერჩევის და სწავლების ახალი სისტემა, რაც ახალი კადრების მიღებაში დაგვეხმარება.

დღეს პროკურატურაში ის ხალხი დაწინაურდა, რომლებსაც პროფესიონალიზმთან ერთად, აქვთ უნარი და სურვილი, კორუფციას და დამნაშავეობას ებრძოლონ. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია დღეს კაცი გაუშვა ქუჩაში, არიან ისეთებიც, რომელთა პროკურატურაში მუშაობა არ შეიძლება. ახლა გვაქვს ერთგვარი დაკვირვების პერიოდი და თუ პიროვნება ვერ შეძლებს თავი გაართვას დღევანდელ მოთხოვნებს, მან სხვაგან უნდა მოძებნოს ადგილი.

**- თავის დროზე საუბარი იყო პროკურატურის თანამშრომლების მასობრივ შემცირებაზე.**

- შემცირება ხდება, მაგრამ ეს თვითმიზანი არ არის. უფრო სწორი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენთან ოპტიმიზაცია ხდება.



*ქვეყნის უმაღლესი სამართალდამცველი სტრუქტურისადმი ხელისუფლების ნება შეიცვალა და ფაქტია, პროკურატურამაც "გამოცდა წარმატებით ჩააბარა".*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო


გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
საქართველოს გაეროს ასოციაცია

UNHCR

## ღია კონკურსი ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის

ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 2004 წლის 20 ივნისს აღინიშნება, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და საქართველოს გაეროს ასოციაცია მართავენ გამოფენა-კონკურსს ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის. წლევანდელი ღონისძიების თემატიკიდან გამომდინარე, ხელოვანთა მიერ წარდგენილ ნამუშევრებში უნდა აისახებოდეს მათი წარმოდგენა "სახლის" შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 16 წელს ზევით ასაკის ლტოლვილ და დევნილ ხელოვანებს. ნამუშევართა ფორმა შეზღუდული არ არის - კონკურსისათვის შეიძლება წარდგენილ იქნეს ფერწერული, გრაფიკული, ფოტო ნამუშევრები, ქანდაკება და ხელით ნაკეთობანი.

ყველა ნამუშევარი განხილული და შეფასებული იქნება გაეროსა და დიპლომატთა კორპუსის წარმომადგენელთა და პროფესიონალ ხელოვანთაგან შემდგარი ჟიურის მიერ. საუკეთესო 25 ნამუშევარი ლტოლვილთა საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში გამოიფინება საჯაროდ ავტორთა თანხმობის საფუძველზე მათი შემდგომი გაყიდვის შესაძლებლობით.

25-დან ერთი საუკეთესო ნამუშევრის ავტორი დაჯილდოვდება ფულადი პრიზით, რომელიც საშუალებას მისცემს საკუთარი სამხატვრო შესაძლებლობები განავითაროს. თითოეულ წარდგენილ ნამუშევარს თან უნდა ახლდეს მოკლე ესსე, რომელშიც ასახული იქნება, თუ როგორ გამოიყენებს ავტორი მოგებულ თანხას კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში.

ნამუშევართა წარდგინების ბოლო ვადაა 2004 წლის 7 ივნისი.

ნამუშევრები და მოკლე ესსე შეგიძლიათ წარადგინოთ შემდეგ მისამართებზე: გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში - თბილისი, ყაზბეგის გამზირი N2ა, მე-4 სართული, ან საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, დოლიძის N2, მე-4 სართული.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: (995 32) 25-00-81 ან 33-25-16.**


# თბილისის საგზაო პოლიციის ნაწილი პრეტენზიებს გამოთქვამს



ბესო გულაშვილის ფოტო

*საქართველოს პრეზიდენტის ულტიმატუმს თბილისის საგზაო პოლიციის ერთმა ნაწილმა პროტესტით უპასუხა და ხელისუფლებას, რომელიც მათგან პატიოსან მუშაობას ითხოვს, პრეტენზიები იქით წაუყენა.*

სოფიკო ჩხაიძე

ვარდების რევოლუციის შედეგები ყველაზე ხელშესახები ქართველი მძღოლებისთვის იყო, თუმცა მათთვის ყველაზე უკეთ შესამჩნევი ახალი საგზაო რეალობა მეტად ცვალებადი აღმოჩნდა. თბილისის ქუჩებსა თუ საქართველოს გზებზე გამოფენილი საგზაო ინსპექტორები პოსტრევოლუციურ პერიოდს, ცოტა არ იყოს, დამფრთხალნი შეხვდნენ და გაურკვეველი მომავლის შიშით საკუთარ მოვალეობას ისე ასრულებდნენ, რომ საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთათვის დაკისრებული ჯარიმის საკუთარი ჯიბისკენ გაცურებას ერიდებოდნენ; თუმცა, დროთა განმავლობაში მათ სიფრთხილეს გარკვეული საფასური დაედო - თუ მანამდე მცირე დარღვევისთვის მძღოლისგან ორი ლარიც კი საკმარისი იყო, ეს თანხა არა თუ გაორმაგდა, გახუთმაგდა კიდეც: რა ვქნათ, ქრთამის აღებით თავს დიდ საფრთხეში ვიგდებთო, – ასე იმართლებდნენ თავს "გაიშნიკები". მერე კი, მათი სიფრთხილე საერთოდ გაქრა და არც თუ უსაფუძვლოდ – ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე მართლაც არავის უნახავს ქრთამის აღებისთვის დასჯილი პოლიციელი. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ საქმეში საქართველოს პრეზიდენტი არ ჩაერია. აი, მიხეილ სააკაშვილის მიერ პოლიციის მისამართით გაკეთებულ მკაცრ განცხადებებს კი რეაგირება უსწრაფესად მოჰყვა და ტელეეკრანებზე ფარული კამერით გადაღებული, საგზაო პოლიციელთა კორუფციაში მამხილებელი კადრები გამოჩნდა, რომელსაც, თურმე, ერთი კვირის მანძილზე იღებდნენ, მაგრამ, რატომღაც, მხოლოდ პრეზიდენტის მხრიდან გამოთქმული შენიშვნების შემდეგ გამოამზეურეს.

**"საგზაო პოლიციას 15 ივნისამდე ვაძლევ ვადას. თუ მანამდე არ გამოსწორდებიან, ყველა მათგანს დავითხოვთ სამსახურიდან,"** - დაიმუქრა გუშინწინ საქართველოს პრეზიდენტი, უკმაყოფილო იმით, რომ 150-დოლარიანი ანაზღაურების მქონე პოლიციელები კორუფციულ საქმიანობას არ ეშვებიან.

სწორედ ამ განცხადებებმა გამოიყვანა გუშინ თბილისის საგზაო პოლიციის ერთი ნაწილი მათივე სამსახურის შენობის ეზოში.

**"ხელფასს, რომელიც პრეზიდენტმა დაასახელა, მხოლოდ გვპირდებიან, სინამდვილეში გაცილებით ნაკლებს ვიღებთ. დღე და ღამე ქუჩაში გამოფენილებს ფორმის შეძენაც კი თავად გვიწევს. ყურადღებას მხოლოდ მაშინ გვაქცევენ, როცა რამე არ მოეწონებათ,"** - ამბობდნენ გუშინდელი მინი-აქციის მონაწილენი და თუ ავტოინსპექტორების გინების დამკვიდრებულ ტრადიციას ვუღალატებთ, უნდა ითქვას, რომ ნაწილობრივ მართლები არიან.

სხვა აზრის არის თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ამირან კაჭახიძე, თუმცა ისიც ამბობს: **"ხალხი, რომელიც ქრთამის აღებაზე "ჩავარდა", ძველ სისტემას მიჩვეული თანამშრომლები არიან – მაშინ მათ მძღოლებისგან ფულის აღებას არავინ უკრძალავდა, მაგრამ რევოლუციის შემდეგ ხომ უთხრეს - კორუფციას თავი დაანებეთ და ძველ ცოდვებს გაპატიებთო, ხელფასებიც მოუმატეს. არა, მაინც ვერ მოიშალეს თავისი და დაისაჯნენ კიდეც."**

კაჭახიძის თქმით, გუშინ ეზოში შეკრებილ 20-25 პროტესტანტს შორის უმეტესობა სწორედ ისინი იყვნენ, ვისი "მუშაობაც" ფარულად გადაღების დროს კადრებში აღიბეჭდა.

**"დანარჩენებს სწორედ ისინი აქეზებდნენ. სხვები ხელფასის დანაპირები ოდენობით ვერმიღების გამო ჩიოდა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ საგზაო პოლიციელებს ხელფასი ნაწილობრივ უკვე მოემატათ – პირველ ეტაპზე ეს მათ კუთვნილ 120-150 ლარს დამატებული 60-70 დოლარის ეკვივალენტური თანხა გახლდათ. ახლა უკვე მინისტრთანაა შეტანილი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, უკვე 31 ივნისს ისინი კუთვნილ ხელფასზე დამატებულ 250-300 ლარს აიღებენ. ასეთი ანაზღაურება კი საქართველოში ბევრს არ აქვს"**, - ამბობს თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც კორუფციაში მხილებულთა ბედზეც გამოთქვამს წუხილს ("მათაც ხომ ოჯახები ჰყავთ, მაგრამ კანონს ვერსად წაუვალთ") და თბილისის მერიისაც ეიმედება: **"ფორმები ჩვენთვის კარგა ხანია, არავის დაურიგებია. ამას წინათ თბილისის მერმა ჩაინიშნა ჩვენს უპირველეს პრობლემებს შორის ფორმების არარსებობა და იქნებ გვეშველოს. ზურაბ ჭიაბერაშვილი შუქნიშნების მუშაობის მოწესრიგებასაც შეგვპირდა."**

რაც შეეხება გუშინდელ ინციდენტს, რომელსაც ამირან კაჭახიძე გაფიცვასაც კი არ არქმევს, მისი თქმით, გუშინვე ამოიწურა.

# მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა

თამარ კაციტაძე

*საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი და ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დავით მირცხულავა კვლავ პატიმრობაშია. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში დაპატიმრებულ სხვა მაღალჩინოსნებისგან განსხვავებით, რომელთა დიდი ნაწილი თანხის გადახდის შემდეგ გათავისუფლდა, მან ციხეში რეკორდული დრო დაჰყო. მიუხედავად მირცხულავას ჯანმრთელობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობისა, იგი თითქმის მეექვსე თვეა, რაც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება და, როგორც ჩანს, მის გათავისუფლებას ჯერ არ აპირებენ.*

შეგახსენებთ, ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დაკავების მომენტში სტენოკარდიული შეტევა დაემართა და ამ ხნის განმავლობაში მას სხვადასხვა სახის რამდენიმე მძიმე დაავადება აღმოაჩნდა. თუმცა, არც ერთი მათგანი მისთვის წინასწარი პატიმრობის შედარებით მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიებით შეცვლის საბაბი არ გამხდარა. ბოლო პერიოდში კი პატიმარს ორი ოპერაცია გაუკეთდა – ნაღვლის ბუშტის და შარდის ბუშტის.

სწორედ ოპერაციების შემდეგ გამოვლენილი ახალი დაავადებები, ანუ ახლად აღმოჩენილი გარემოებები გახდა მირცხულავას დაცვის მხრიდან საგანგებო პრესკონფერენციის გამართვის მიზეზი.

**"ფსიქოლოგიური მომენტებიდან გამომდინარე, ჩვენ დავით მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობას ვარბილებთ და ბოლომდე კიდევ არ ვამბობთ იმას, რამდენად მძიმეა მისი ჯანმრთელობის მგომარეობა და რა საშიშროებაა მოსალოდნელი,"** - ასეთი შესავალი გააკეთეს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის ადვოკატებმა - ეკა ბესელიამ და იასონ ბესელიამ მირცხულავას დაავადებების დასახელებისას.

ადვოკატების განცხადებით, ექიმთა კონსილიუმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მირცხულავა ქრონიკული კარდიოლოგიური ავადმყოფია, რაც ხშირ სტენოკარდიულ შეტევებს იწვევს. ამიტომ ყოფილ მინისტრს კვალიფიციური მეთვალყურეობა და მკურნალობა ესაჭიროება, რისი საშუალებაც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში არ არსებობს. და მთავარი, ეკა ბესელიას ინფორმაციით, შარდის ბუშტის ოპერაციის შემდეგ გამოიკვეთა, რომ მირცხულავას სიმსივნის ჩამოყალიბების საშიშროება ემუქრება.

**"რა სახის დაავადებაზე ვსაუბრობთ და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას, თუ არ მოხდება დროული მკურნალობა, ალბათ, ყველასთვის გასაგებია. მოვითხოვთ, რომ მირცხულავა დაუყოვნებლივ იქნეს გადაყვანილი შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელ გართულებებზე პასუხისმგებლობა იუსტიციის სამინისტროს და გენერალურ პროკურატურას დაეკისრება,"** - განაცხადეს ადვოკატებმა.

მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე წერილობითი მიმართვა უკვე გაგზავნილია გენერალურ პროკურატურასა და იუსტიციის სამინიატროში. ცოტა ხანში კი ადვოკატები ენერგეტიკის მინისტრის პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნის შუამდგომლობით მართლმსაჯულებასაც მიმართავენ.

რა შედეგით დასრულდება დაცვის მხარის მცდელობა, მძიმე ავადმყოფობის მოტივით ციხიდან დაიხსნან ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, რომელსაც გამოძიება 6 მილიონ ლარს ედავება, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

ერთი კი ფაქტია, ადვოკატების თქმით, მირცხულავამ პატიმრის სტატუსი ამდენი ხნის განმავლობაში იმ მიზეზით შეინარჩუნა, რომ იგი ამ ხნის განმავლობაში პროკურატურის წინადადებას არ თანხმდება.

**"მართალია, პროკურატურას კონკრეტული თანხა არ დაუსახელებია, მაგრამ ფულის გადახდასა და გათავისუფლებაზე მოლაპარაკება რამდენჯერმე შედგა. მირცხულავა თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. მას, სხვების მსგავსად, ბიუჯეტიდან მილიონები არ მოუპარავს და, აქედან გამომდინარე, ვერც თანხას გადაიხდის,"** – ირწმუნება ეკა ბესელია.

# საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია - თქვენი პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი გზა

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას დაზარალებული მოსახლეობის საყურადღებოდ

*წინამდებარე სტატია შეიძლება ჩაითვალოს "24 საათის" წინა პარასკევის ნომერში გამოქვეყნებული სტატიის - "საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებით" - გაგრძელებად. სტატია შეეხება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დადგენილ იმ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის მიერ საჩივრების წარდგენასა და სადავო საკითხების მოგვარებას.*
*2003 წლის ნოემბრის დასაწყისში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ გამოყო სესხი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტისთვის და, ამდენად, მანაც, თავის მხრივ, აიღო ვალდებულება ბთჯ ნავთობსადენის პროექტის თავისივე დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებაზე. ეს კი ნიშნავს, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ერთი მხრივ, ვალდებულია თვითონ შეასრულოს თავისივე სახელმძღვანელო დოკუმენტებით განსაზღვრული მოთხოვნები და, მეორე მხრივ, როგორც ბთჯ მილსადენის კომპანიისთვის სესხის გამცემი, ვალდებულია, ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას კორპორაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.*

***- რა არის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია?***

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია **(International Finance Corporation, IFC)** მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი საფინანსო ინსტიტუტია. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაცია გარკვეულწილად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, ის თავის საქმიანობას წარმართავს მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალ სხვა ინსტიტუტებთან შეთანხმებით. მსოფლიო ბანკის ჯგუფში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარდა, ასევე, შედიან "განვითარების საერთაშორისო ასოციაცია" (**IDA**), "ინვესტირების მრავალმხრივი გარანტიების სააგენტო" (**MIGA**) და საინვესტიციო უთანხმოებების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრი (**ICSID**). ყველა ეს საფინანსო ინსტიტუტი ხშირად ერთად მოიხსენიება, როგორც მსოფლიო ბანკი.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია 1956 წელს განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით დაარსდა. ამ მიზნის მიღწევით კორპორაცია განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის შემცირებასა და მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას ვარაუდობს. მიზნის მისაღწევად კი კორპორაცია:

აფინანსებს განვითარებად ქვეყნებში განხორციელებად კერძო სექტორის პროექტებს;
ეხმარება განვითარებადი ქვეყნების კერძო კომპანიებს საერთაშორისო საფინანსო ბაზრებიდან ფინანსური სახსრების მობილიზებაში;
უწევს რჩევებსა და ტექნიკურ დახმარებას ამ ქვეყნების კერძო სექტორსა და მთავრობებს.

ამჟამად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წევრი 175 ქვეყანაა, რომელიც კოლექტიურად განსაზღვრავს კორპორაციის მიერ განხორციელებად პოლიტიკას და ამტკიცებს ინვესტიციებს.საქართველო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წევრი 1995 წელს გახდა.

კორპორაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში (აშშ), თუმცა მისი დანაყოფები მთელ მსოფლიოშია მიმობნეული. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პრეზიდენტია მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტი (ამჟამად იგი ჯეიმს ვულფენსონია). კორპორაციაში ძალაუფლება თავმოყრილია მმართველთა საბჭოს ხელში, სადაც წევრ ქვეყნებს ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები. მმართველთა საბჭო თავისი უფლებამოსილებების დელეგირებას ახდენს დირექტორთა საბჭოზე, რომელიც იხილავს კორპორაციაში წარდგენილ ყველა პროექტს.

იმისათვის, რომ კორპორაციამ პროექტი დააფინანსოს, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები: პროექტი უნდა იყოს ინვესტორისთვის მომგებიანი, სარგებელი უნდა მოუტანოს იმ ქვეყნის ეკონომიკას, სადაც ხორციელდება პროექტი და უნდა დააკმაყოფილოს კორპორაციის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები.

1999 წელს კორპორაციამ ჩამოაყალიბა ***ომბუცმენის აპარატი***. ეს არის ორგანო, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებით დაზარალებული მოსახლეობის წინაშე ანგარიშგების ერთადერთ მექანიზმს.

***-ვინ არის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენი?***

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1999 წლიდან საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში არსებობს კორპორაციის მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად დაზარალებულ პირთა საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც წარმოდგენილია ომბუდსმენისა და მისი აპარატის სახით. ომბუდსმენი დამოუკიდებელი თანამდებობის პირია და ის პირდაპირ ექვემდებარება მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს. მისი აპარატი კი წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს, რომელიც არ შედის კორპორაციის შემადგენლობაში.

***- რა ვალდებულებები გააჩნია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენს?***

ომბუდსმენის ვალდებულებაა:

სამართლიანობის, ობიექტურობისა და კონსტრუქციულობის პრინციპზე დაყრდნობით, დახმარება გაუწიოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას იმ პირთა საჩივრების განხილვაში, რომელთა ინტერესებიც შეილახა ამა თუ იმ პროექტის განხორციელებისას;
ხელი შეუწყოს კორპორაციის მონაწილეობით განხორციელებადი პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების გაუმჯობესებას.

***- რა ფუნქციები გააჩნია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენს?***

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენი ერთდროულად ასრულებს სამ განსხვავებულ ფუნქციას, კერძოდ:

**მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციას**, რაც გულისხმობს იმ პირთა საჩივრების განხილვას, რომელთა ინტერესებიც შეილახა ამა თუ იმ პროექტის განხორციელებისას და იმგვარი გზების გამოძებნას, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოქმნილი პრობლემური საკითხის კონსტრუქციულად გადაჭრას;
**დამოუკიდებელი კონსულტანტის ფუნქციას**, რაც გულისხმობს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტისა და კორპორაციის ხელმძღვანელობისთვის კონსულტაციების გაწევას როგორც კონკრეტული პროექტების, ისე ზოგადად, კორპორაციის პოლიტიკის, წესების, პროცედურების გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით;
**შიდა მაკონტროლებლის ფუნქციას,** რაც გულისხმობს, როგორც კორპორაციის მიერ განხორციელებად კონკრეტულ პროექტებში აღებული გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების შესრულებაზე კონტროლს, ისე ზოგადად, თვით კორპორაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების შემოწმებას.

***წინამდებარე სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენის მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციაზე***

***- რას ითვალისწინებს მომრიგებელი მოსამართლის როლი?***

მომრიგებელი (მედიატორი) მოსამართლის როლში, ომბუდსმენს შეუძლია მიიღოს და განიხილოს იმ პირთა სარჩელი, რომელთა ინტერესებიც შეილახა ან შესაძლებელია, შეილახოს ამა თუ იმ პროექტის სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შედეგად. ომბუდსმენის მთავარი მიზანია, დახმარება გაუწიოს დაზარალებულ მოსახლეობას პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში.

**მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ომბუდსმენი არ წარმოადგენს რაიმე სახის პოლიციურ ან სასამართლო ორგანოს, მას არ შეუძლია ერთპიროვნულად გადაჭრას ყველა პრობლემა, მაგრამ მას შეუძლია:**

**ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეთა შორის მოლაპარაკებების გამართვას, რათა მათ, თავის მხრივ, მიაღწიონ ყველა მხარისათვის მისაღებ შეთანხმებას პრობლემური საკითხის მოსაგვარებლად;**
**წამოაყენოს (შესთავაზოს მხარეებს) კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზები.**

ომბუდსმენი ცდილობს წარმოაჩინოს პრობლემები, დასახოს გამოსასწორებელი ღონისძიებები და აღმოფხვრას სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები.

***-ვის შეუძლია ომბუდსმენთან საჩივრის წარდგენა?***

ომბუდსმენთან საჩივრის წარდგენა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, ადამიანთა გაერთიანებას, რომლის ინტერესებიც შეილახა ან შესაძლებელია, შეილახოს ამა თუ იმ პროექტის სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შედეგად.

**თუ თქვენ თვლით, რომ საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისას დაირღვა თქვენი უფლებები, შეგიძლიათ კონსულტაციისა და დახმარებისთვის მოგვმართოთ:**

***საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია***
*ტელ: 93-61-01 ან 822 95 23 53; ფაქსი: 92-32-11*
*მისამართი: ქ. თბილისი, კრილოვის ქ. N15*
***ბესო აბაშიძე***

***საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რუსთავის ფილიალი***
*ტელ: (824) 15-53-37 ან (824) 15-71-81*
*მისამართი: ქ.რუსთავი, მერაბ კოსტავას N13 ბინა 1*
***ვასილ ტიტვინიძე***

***ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"***
*ტელ: 22-38-74 ან 99-04-72 - ფაქსი: 93-24-03*
*მისამართი: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზირი N1, I სადარბაზო, მე-4 სართული*
***ქეთი კვინიკაძე***

საჩივარი შესაძლებელია, აგრეთვე, წარდგენილ იქნეს მესამე მხარის (მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციის) მიერ, რომელიც წარმოადგენს დაზარალებულ პირს/საზოგადოებას. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ მომჩივანმა საჩივარში მიუთითოს, თუ ვისი სახელით ხდება საჩივრის წარდგენა და, ასევე, წარადგინოს მისთვის ამგვარი უფლებამოსილების მინიჭების დამამტკიცებელი საბუთი.

**გახსოვდეთ: თუ მიგაჩნიათ, რომ ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელების შედეგად თქვენ მოგადგათ რაიმე სახის გარემოსდაცვითი თუ სოციალური ზიანი, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენს.**

***მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ!***

***საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენთან საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი უკმაყოფილოა ბთჯ მილსადენის კომპანიის საჩივრების განხილვისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის გამოყენების შედეგებით. ანუ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენს მომჩივანმა შეუძლია მიმართოს მას შემდეგ, რაც გაივლის "24 საათის" წინა პარასკევის ნომერში გამოქვეყნებულ ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ დაწესებულ საჩივრის განხილვის ეტაპებს და კვლავ უკმაყოფილო დარჩება შედეგით.***

***საჩივრის წარდგენის ფორმა, შინაარსი და კონფიდენციალობა***

საჩივარი ომბუდსმენს უნდა გაეგზავნოს ***წერილობითი ფორმით.*** ის შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერ ენაზე. შესაძლებლობისდა მიხედვით, ომბუდსმენის პასუხიც იმავე ენაზე იქნება დაწერილი. საჩივარი ომბუდსმენს შეიძლება გაეგზავნოს ფოსტით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით (***საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენის საკონტაქტო დეტალები იხილეთ სტატიის ბოლოს)***

ის, თუ რა სახის ინფორმაციას უნდა მოიცავდეს ომბუდსმენისთვის წარსადგენი საჩივარი, არ არის მკაცრად განსაზღვრული. თუმცა, სასურველია, რომ საჩივარში წარდგენილი იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

მომჩივანის სახელი, გვარი, მისამართი და სხვა საკონტაქტო დეტალები;
სურს, თუ არა მომჩივანს თავისი ვინაობის ან საჩივართან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალობის შენარჩუნება და რატომ;
პროექტის მოკლე აღწერა, მონაცემები პროექტის განმახორციელებელი და/ან პროექტში მონაწილე ორგანიზაციების/კომპანიების შესახებ; ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ, მონაწილეობს, თუ არა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია კონკრეტულ პროექტში;
ნათლად წარმოჩენა იმისა, თუ როგორ შეილახა ან შესაძლოა, მომავალში შეილახოს მომჩივნის ინტერესები, პროექტის განხორციელების გარემოსდაცვითი თუ სოციალური ზემოქმედების შედეგად;
მითითება იმისა, თუ რა ქმედებები იქნეს გატარებული პრობლემების მოსაგვარებლად; უპირველეს ყოვლისა კი, იმის მითითება, მიმართა თუ არა ადრე მომჩივანმა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის, პროექტის განმახორციელებლის ან ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებს;
თუ მომჩივანის პრობლემა ომბუდსმენთან მიმართვამდე ნახევრად იქნა მოგვარებული, მაშინ, მითითება იმისა, თუ პრობლემის რა ასპექტები დარჩა მოუგვარებელი;
ზუსტად მითითება იმისა, თუ რა შედეგს ელის მომჩივანი საუკეთესო შემთხვევაში;
საჩივარს, შესაძლოა, თან დაერთოს ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დამასაბუთებელი მასალა.

***აღსანიშნავია, რომ თხოვნის საფუძველზე, ომბუდსმენის აპარატმა, შესაძლოა, დახმარება გაუწიოს მომჩივანს საჩივრის შედგენაში***. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარში მოყვანილი პირველადი ინფორმაცია ნათლად ვერ ასახავს პრობლემას, ომბუდსმენმა, შესაძლოა, მომჩივანს სთხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან ახსნა-განმარტებების წარდგენა. პოტენციურ მომჩივანებს, ასევე, შეუძლიათ საჩივრის წარდგენამდე ახსნა-განმარტებებისათვის წინასწარ მიმართონ ომბუდსმენს.

რაც შეეხება ***კონფიდენციალობას,*** თუ მომჩივანი მოითხოვს, ომბუდსმენი დაიცავს მომჩივანის კონფიდენციალობას, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ომბუდსმენი არ განიხილავს ანონიმურ საჩივრებს. ომბუდსმენი, ასევე, იცავს დამამტკიცებელი საბუთების კონფიდენციალობას. ამ ინფორმაციის გახმაურება შესაძლებელია, მხოლოდ მომჩივანთან შეთანხმებით.

***მომჩივანმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საჩივრის განხილვის საწყის ეტაპებზე პროექტის განმახორციელებელს და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის თანამდებობის პირებს, როგორც წესი, მიეწოდებათ ინფორმაცია საჩივრის არსის შესახებ. ამდენად, მომჩივანმა დასაწყისშივე უნდა მიუთითოს საჩივარში, თუ რა სახის ინფორმაციაზე მოითხოვს ის კონფიდენციალობის დაცვას.*** ომბუცმენი იცავს კონფიდენციალობას, ასევე, მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმოებისას.

***- რა ეტაპები არსებობს ომბუცმენის აპარატში საჩივრის განხილვისას?***

ომბუცმენისათვის საჩივრის წარდგენის შემდეგ, ომბუცმენის აპარატში იწყება საჩივრის განხილვა. ეს პროცესი შესაძლებელია, პირობითად ექვს ეტაპად დაიყოს.

### I ეტაპი - საჩივრის მიღება

როგორც წესი, საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, მომჩივანს ეგზავნება შეტყობინება საჩივრის მიღების თაობაზე.

### II ეტაპი - საჩივრის განსახილველად მიღება ან უარის თქმა მის განხილვაზე

ამ ეტაპზე ომბუცმენი იღებს გადაწყვეტილებას მიიღოს, თუ არა განსახილველად კონკრეტული საჩივარი. როგორც წესი, ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება 15 სამუშაო დღის განმავლობაში. ომბუდსმენი საჩივარს მიიღებს განსახილველად, თუ ის ჩათვლის, რომ საჩივარი არ არის საფუძველს მოკლებული და მომჩივანის ინტერესები შეილახა ან შესაძლოა, შეილახოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დაგეგმილი ან განხორციელებადი პროექტის ზემოქმედების შედეგად.

თუ ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ საჩივარი წარდგენილია ბოროტი განზრახვით და არასამართლიანია (მაგალითად, მიმართულია კონკურენტების საწინააღმდეგოდ), საჩივარი არ განიხილება. საჩივრის განსახილველად მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა საჩივრის საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა.

საჩივრის განსახილველად მიღების შემთხვევაში, მას მიენიჭება სარეგისტრაციო ნომერი, დადგინდება გადაწყვეტილების მიღების სავარაუდო ვადები და ამის შესახებ ეცნობება მომჩივანს. საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში კი, მომჩივანს ეგზავნება შეტყობინება, რომელშიც მითითებულია საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები.

**ჩვენი რჩევა: იმისათვის, რომ ომბუდსმენმა განსახილველად მიიღოს თქვენი საჩივარი, ის უნდა იყოს საფუძვლიანი და დასაბუთებული. ამისათვის კი აუცილებელია, რომ შეაგროვოთ თქვენთვის პრობლემურ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და მოახდინოთ მისი დოკუმენტირება.**

**თქვენ აუცილებლად უნდა შეინახოთ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით ბთჯ მილსადენის კომპანიისგან და/ან მისი კონტრაქტორებისგან მიღებული და თქვენს მიერ გაგზავნილი წერილები და სხვა ნებისმიერი სახის დამადასტურებელი საბუთი. აუცილებლად დააფიქსირეთ წერილების გაგზავნისა და მიღების თარიღები. ასეთი სახის ინფორმაცია თქვენ ყოველთვის გამოგადგებათ, თუ თქვენ გადაწყვეტთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენთან საჩივრის წარდგენას.**

### III ეტაპი - საჩივრის ანალიზი

საჩივრის ანალიზის დროს ომბუდსმენი ახორციელებს წინასწარ გამოძიებას და ადგენს საჩივარში აღძრული საკითხების განხილვის თანმიმდევრობას. ყოველივე ეს ხორციელდება საჩივრის მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

ინფორმაციის, შენიშვნებისა და, ასევე, პრაქტიკული წინადადებების მიღების მიზნით, საჩივრის ანალიზის დაწყებისთანავე, ომბუდსმენი დაუყოვნებლივ უგზავნის საჩივარს კორპორაციის ხელმძღვანელობას. ამ უკანასკნელთა მიერ გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ ომბუდსმენისაგან ინფორმაციის მიწოდებიდან არა უგვიანეს 20 სამუშაო დღისა. ამავე ვადაში ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, პროექტის განმახორციელებელს, უნდა გაეგზავნოს შეტყობინება საჩივრის მიღებისა და მასში წამოჭრილი საკითხების თაობაზე. შეტყობინებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვაგვარი სახე, იმისდა მიხედვით, მოითხოვა, თუ არა კონფიდენციალობის შენარჩუნება მომჩივანმა.

ანალიზის შედეგად, ომბუდსმენი იღებს გადაწყვეტილებას, გაგრძელდეს თუ არა საჩივრის განხილვა მომრიგებელი მოსამართლის პოზიციიდან. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ომბუდსმენს ამ ეტაპზეც შეუძლია შეწყვიტოს საჩივრის განხილვა, თუ ის ჩათვლის, რომ შემდგომი გამოძიება უსარგებლო იქნება. ამის შესახებ ის უგზავნის შეტყობინებას როგორც მომჩივანს, ისე სხვა დაინტერესებულ მხარეებს. გარკვეულ შემთხვევებში, საჩივარში წამოჭრილი პრობლემატიკა, შესაძლოა, გასცდეს ერთი კონკრეტული საჩივრის ფარგლებს და საჭირო გახდეს პრობლემის უფრო ფართო ჭრილში განხილვა. ამდენად, საკითხი შესაძლოა, გახდეს ომბუდსმენის მიერ კორპორაციის ხელმძღვანელობისთვის კონსულტაციების გაწევის ან კორპორაციის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლის საფუძველი, ანუ, ასეთ შემთხვევებში, ომბუდსმენი იწყებს დამოუკიდებელი კონსულტანტის ან შიდა მაკონტროლებლის ფუნქციების განხორციელებას. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც, ომბუდსმენი უგზავნის შეტყობინებას მომჩივანს.

იმ შემთხვევაში, თუ ომბუდსმენი მიიღებს გადაწყვეტილებას გააგრძელოს მუშაობა საჩივარზე, მან უნდა შეადგინოს შემდგომი სამუშაო გეგმა უთანხმოების მოსაგვარებლად. კონფლიქტების დარეგულირების მექანიზმების შერჩევისას, უპირატესობა ენიჭება ისეთ კლასიკურ მეთოდებს, როგორებიცაა: ხელშეწყობა, შუამავლობა და მოლაპარაკებები.

ანალიზის შედეგად მზადდება დასკვნა, რომელშიც განსაზღვრულია შემდგომი ქმედებები და საჩივრის განხილვის ვადები. დასკვნის ასლი ეგზავნება მომჩივანს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ხელმძღვანელობას და, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელს. შესაძლებელია, უკვე ამ ეტაპზე ანალიზის შედეგების შესახებ ინფორმაცია გაეგზავნოს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტსაც. თუ მომჩივანი არ არის წინააღმდეგი, დასკვნას, შესაძლოა, თან დაერთოს საჩივარიც.

### IV ეტაპი - გეგმის შესრულება

შემდგომი ქმედებების შერჩევისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საჩივრის ხასიათს, განსახილველი საკითხის სირთულესა და გადაუდებლობას. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, ომბუდსმენი შეარჩევს და განახორციელებს ქვემოთ ჩამოთვლილი მექანიზმებიდან ერთ-ერთს:

მხარეების მიერ კონფლიქტის მოგვარების გზების ძიების სტიმულირების მიზნით, მომჩივანს, პროექტის განმახორციელებელსა და კორპორაციას შორის დიალოგის გამართვის ხელშეწყობა;
მხარეების მორიგება ან მხარეებს შორის შუამავლობა, ომბუდსმენის აპარატის ან მესამე დამოუკიდებელი მხარის ჩართვის გზით;
ომბუცმენის აპარატის მიერ გამოძიების დაწყება;
რთული და გადაუდებელი საკითხების გადასაჭრელად შუალედური რეკომენდაციების მომზადება.

ომბუდსმენის უპირველესი ამოცანაა, კონფლიქტის მოგვარება მხარეებს შორის დიალოგის გამართვის გზით. რაც შეეხება მორიგებასა და შუამავლობას, ეს მექანიზმები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მისაღებია ყველა მხარისათვის.

ამრიგად, ამ ეტაპის დასასრულ, დიალოგის, შუამავლობისა და მორიგების პროცესის შედეგად, შესაძლოა, მიღწეულ იქნეს ყველა მხარისათვის მისაღები შეთანხმება. შეთანხმება ფორმდება წერილობითი ფორმით და ანგარიშის სახით წარედგინება მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს. შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს კორპორაციის ან პროექტის განმახორციელებლის მიერ ჩასატარებელი ქმედებების შესახებ წინადადებებს. მასში ზუსტად უნდა იქნეს მითითებული დაგეგმილი ქმედებების მიზნები, ხასიათი, არსი, ვადები და სხვა.

იმ შემთხვევაში თუ ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმები არაეფექტური აღმოჩნდება კონფლიქტის მოსაგვარებლად, ომბუცმენმა, შესაძლოა, მიიღოს გადაწყვეტილება გამოძიების გაგრძელების შესახებ. შემდგომში გამოძიების მოცულობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვრავს თვით ომბუცმენი. გამოძიებისას შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი ქმედებები:

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დოკუმენტაციის შესწავლა;
მომჩივანთან, კორპორაციის თანამშრომლებთან, პროექტის განმახორციელებელთან, ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ჩატარება;
გასვლა პროექტის განხორციელების ადგილზე;
პროექტის განხორციელების ადგილზე ღია შეხვედრების ჩატარება; წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტებების მოთხოვნა ინფორმაციის ნებისმიერი წყაროდან;
შესაბამისი პროფილის ექსპერტების ჩართვა საჩივრის განსახილველად.

### V ეტაპი - საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა და საჩივრის განხილვის დამთავრება

ომბუდსმენს უფლება აქვს, შეწყვიტოს საჩივრის განხილვა შეთანხმების მიღწევისას ან იმ შემთხვევაში, თუ თვლის, რომ შემდგომი გამოძიება ან კონფლიქტის მოგვარების არჩეული გზები წარუმატებელია. საჩივრის განხილვის დამთავრებისას, ომბუდსმენი უგზავნის ანგარიშს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს. ანგარიში, ასევე, ეგზავნება მომჩივანს, კორპორაციის ხელმძღვანელობას, პროექტის განმახორციელებელს და ქვეყნდება საჯაროდ.

იმ შემთხვევაში, თუ საკითხის დარეგულირების გამოყენებული გზებისა და ფაქტების გამოძიების შედეგად, ვერ მოხერხდა თვითონ მხარეების მიერ კონფლიქტის მოგვარება, ომბუდსმენს შეუძლია იმოქმედოს ორგვარად:

აცნობოს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს, რომ პრობლემის გადაჭრის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა და კონფლიქტის მოსაგვარებლად კორპორაციის მიერ რაიმე სახის ქმედების გატარება უპერსპექტივოა;
**ან**
წარუდგინოს რეკომენდაცია მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს იმ შემდგომი ქმედების შესახებ, რომელიც უნდა გაატაროს კორპორაციის ხელმძღვანელობამ საჩივარში წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად.

### VI ეტაპი - მონიტორინგი

ომბუდსმენი უზრუნველყოფს, რომ მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებაში გათვალისწინებული იყოს შემოწმებისა და ზედამხედველობის შესაძლებლობები. მსოფლიო ბანკის პრეზიდენტისადმი წარდგენილ ანგარიშს, როგორც წესი, თან ერთვის მიღწეული შეთანხმების შესრულების მონიტორინგის პროგრამა და ვადები. ომბუდსმენმა ზადამხედველობისა და კონტროლის განხორციელებისას შესაძლოა, დასახმარებლად მიმართოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ან სხვა ორგანიზაციების თანამშრომლებს.

### საკონტაქტო ინფორმაცია

*საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენი, ქალბატონი, მეგ ტეილორი*

მისამართი: Compliance adviser/Ombudsman
International Finance Corporation
2121 Pennsylvania Ave., NW
Room F5K-292
Washington, DC 20433
USA

ტელეფონი: +202 458 1973
ფაქსი: +202 522 7400
ელ/ფოსტა: cao-compliance@ifc.org
ვებ-გვერდი: www.cao-ombudsman.org

*საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სხვა საკონტაქტო დეტალები*

*მსოფლიო ბანკის საქართველოს ოფისი*
მისამართი: თბილისი, 380079, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი N5ა
ტელ: 913096 ან 912537
ფაქსი: 913508
საკონტაქტო პირი: **ინგა პაიჭაძე**

*საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობა*
მისამართი: თბილისი, 380079, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი N5ა
ტელ: 913096 ან 912537
ფაქსი: 913508
საკონტაქტო პირი: **ანა ახალკაცი**

*ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქართველოს წარმომადგენლობა*
მის: თბილისი, 380002, ნინო ჩხეიძის ქ. N38
ტელ: 920512
ფაქსი: 923845
საკონტაქტო პირი: **ნიკოლაი ჰაჯისკი**

ყოველთვის თანამედროვე



B3

რეჟნავს ცოლი ჰყოლია...



B5

კვირის TV პროგრამა

B7

# მოსამართლე დაბალი ლობე არ არის

მაია ქალაგანიძე

*დემოკრატიის პირველმა ტალღამ ჩვენს ქვეყანაში ახალი სტრუქტურების საჭიროება მოიტანა. ძველი მეთოდების თაყვანისმცემელმა წინა ხელისუფლებამ უკვე არსებული სტრუქტურების რეფორმირების აუცილებლობა ვეღარ დაინახა. ჰოდა, ეს პირველი ტალღა როგორც აზვირთდა, ისე ჩაცხრა - უამრავი პარალელური სტრუქტურა რეალურად ვერაფერს აკეთებდა. ასე დაემართა სასამართლო რეფორმასაც - აზვირთებულ მდგომარეობაში გაიყინა და 1999 წლის დასაწყისიდან დღემდე არაფერი შეცვლილა. იუსტიციის საბჭოს მხოლოდ გამოცდების კურატორობა შერჩა ფუნქციად. დღეს, როცა იმის თავიდან დაწყება გვიხდება, რაც 10 წლის წინ უნდა დაგვეწყო, დემოკრატიული ინსტიტუტების ხელახალი საჭიროების საკითხი დგება. ერთ ხანს მივიწყებული იუსტიციის საბჭო მისი მდივნის ხმაურიანმა განცხადებამ შეგვახსენა, ის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუპირისპირდა (ამის შესახებ პრესამ ყველაფერი თქვა). გარდა პოლიციელებისგან მოსამართლეთა ინტერესების დაცვისა, საბჭოს უფლებამოსილებისა და ცვლილებების საკითხი პარლამენტის დღის წესრიგშიც დადგა. რადგანაც სახელმწიფოს ეს სტრუქტურა ისევ სჭირდება, საბჭო უფლებებსაც ითხოვს. გვესაუბრება იუსტიციის საბჭოს მდივანი გია გეწაძე.*

**- რა იცვლება?**

- საბჭოს უფლებების გაფართოებაზე საუბარი არ არის. კანონის ერთ-ერთი დამატებითი კომპეტენციაა გათვალისწინებული. იუსტიციის საბჭოს მოსამართლეების მხრიდან კანონის უხეშ დარღვევაზე საქმის აღძვრის უფლება რომ ჰქონდეს. აქამდე მხოლოდ დისციპლინის დარღვევაზე ჰქონდა აღძვრის უფლება.

**- კონკრეტულად როგორ აპირებთ ამ მუხლის გამოყენებას?**

- ამის შესახებ, ალბათ, პარლამენტი მეორე მოსმენის დროს ჩამოყალიბდება - კანონის უხეშ დარღვევად ის არ უნდა ჩაითვალოს, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლო კანონს სხვაგვარად უკეთებს ინტერპრეტაციას და მეორე ინსტანციის ან უმაღლესი სასამართლო - სხვაგვარად. ანუ, ინტერპრეტაციის საკითხები კანონის უხეშ დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს.

**- აქამდე ვის ჰქონდა საქმის აღძვრის უფლება ამგვარ დარღვევებზე?**

- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ინდივიდუალურად აქვს ეს უფლება. მას შეუძლია, კანონის უხეშ დარღვევაზე აღძრას სისხლის სამართლებრივი დევნა. უზენაესი სასამართლო სხვა სასამართლოებისათვის ზემდგომი ინსტანციაა და მას შეუძლია იმსჯელოს იმის შესახებ, თუ კანონის რომელი ნორმა უნდა გამოეყენებინა ამა თუ იმ სასამართლოს.

ამ ცვლილებით იუსტიციის საბჭოს ფუნქცია უფრო მეტად ხისტი იმ შემთხვევებში იქნება, როდესაც მოსამართლეების მხრიდან აშკარა კანონდარღვევას დავინახავთ.

**- როგორ ფიქრობთ, გავა პარლამენტში ეს ცვლილება? შეიქმნება კიდევ ერთი ზემდგომი ბერკეტი სასამართლოებისთვის?**

- მიუხედავად იმისა, რომ კანონის მომზადების პროცესში ჩართულნი ვიყავით, ეს ცვლილებები იუსტიციის საბჭოს ინიციატივა არ არის. პარლამენტის იურიდიული კომიტეტია ამის ინიციატორი.

თუ საბჭოს აზრის მოსმენას საჭიროდ ჩათვლიან, საპარლამენტო განხილვაშიც მივიღებთ მონაწილეობას.

**- აქამდე იუსტიციის საბჭოს ჰქონდა კანონდამრღვევი მოსამართლეების დასჯის ბერკეტები?**

- პირდაპირ ეს ფუნქცია არ ჰქონდა, მაგრამ ბერკეტები, რა თქმა უნდა, არსებობდა. თუმცა, რაც იუსტიციის საბჭო შეიქმნა, იმის შემდეგ მრავალჯერ შეიცვალა კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. ვის რა ფუნქციები აქვს, დღესაც საკმაოდ გაურკვეველია - არსებობს იუსტიციის საბჭო; სასამართლოების დეპარტამენტი, რომელიც მატერიალურ მხარეზეა პასუხისმგებელი; მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც მოსამართლეთა საერთო ყრილობას წარმოადგენს; ადმინისტრაციული კომიტეტი და საკოორდინაციო საბჭო და აგრეთვე არსებობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ინდივიდუალურად არის აღჭურვილი ადმინისტრირების გარკვეული ფუნქციებით.

**- კონკრეტულად სად იკვეთება ამ სტრუქტურათა ფუნქციები?**

- რომ დავსხდეთ და პასუხისმგებლობათა განსაზღვრას შევეცადოთ, ერთმანეთზე გადაბრალების მეტს ვერაფერს გავაკეთებთ. ჩემი აზრით, ეს არც სახელმწიფოსთვის, არც იუსტიციის საბჭოსა და დანარჩენი ორგანიზაციებისთვის არის კარგი. მთავარია, ყოველ ორგანოს კონკრეტული უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა ჰქონდეს. ეს ძველმოდური, პარალელური სტრუქტურებია, რომლებიც სინამდვილეში არაფერს აკეთებდნენ. ჩემი მთავარი მიზანი ამ სისტემის ეფექტური სტრუქტურების ხელის შეწყობაა. იუსტიციის საბჭო ამზადებს კანონს და იმედი მაქვს, რომ დაახლოებით, ერთ თვეში პრეზიდენტი საკანონმდებლო ინიციატივით შევა პარლამენტში. საქმე ის არის, რომ უზენაესი სასამართლოს შესახებ არსებობს ერთი კანონი, საერთო სასამართლოების შესახებ - მეორე, რამაც უზენაესი სასამართლო სხვა ინსტანციების სასამართლოებს დააშორა. ყველას თავისი დამოუკიდებელი ბიუჯეტი აქვს და ყოველთვის ისე ხდება, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლეები გვეჩაგრებიან. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ერთ, საერთო სასამართლოების შესახებ კანონში უნდა იყოს გაერთიანებული, რადგანაც სასამართლო ერთიანი სისტემაა და სასამართლოებისთვის ერთიანი ფრონტით უნდა ვიბრძოლო.

**- მთელ ამ ორგანიზაციებთან შედარებით, ექნება თუ არა მეტი ლეგიტიმურობა იუსტიციის საბჭოს?**

- არ მგონია. არ მიმაჩნია, რომ იუსტიციის საბჭოს მეტი ან ნაკლები უფლებამოსილებანი უნდა ჰქონდეს. სანამ კონსტიტუციაში ჩაიწერებოდა ტერმინი "იუსტიციის უმაღლესი საბჭო", სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ ეს უწყება გაუქმდებოდა, რადგანაც, დროთა განმავლობაში იუსტიციის საბჭოს ფუნქციები დაეკარგა და მხოლოდ გამოცდების ადმინისტრირება ევალებოდა. ეს კი ნებისმიერ იმ კერძო პირს ან არასამთავრობო ორგანიზაციასაც შეუძლია, რომელსაც სახელმწიფო შეკვეთას მისცემს. რადგანაც გადაწყდა, რომ საბჭომ უნდა იარსებოს, მას პასუხისმგებლობაც უნდა ჰქონდეს და განსაზღვრული ფუნქციებიც და ამან არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეზღუდოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა.

**- სასამართლო პრესასავით არის - კოორდინირების ნებისმიერი მცდელობა ზეწოლად შეიძლება იყოს აღქმული. ასეა?**

- გააჩნია... არც ოკეანის გაღმა და არც ევროპაში არ არსებობს ისეთი სამართლებრივი სისტემა, სადაც მნიშვნელობა არ ჰქონდეს, თუ ვინ მუშაობს. მთავარია, საჯარო სამსახურში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ბოროტად არ გამოიყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში სასამართლოების ადმინისტრირებას და დაფინანსებას ჯერ კიდევ იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს. ჩვენთან საბჭო კოლეგიალური ორგანოა და წინგადადგმული ნაბიჯია. საკითხების კოლეგიალურად გადაწყვეტა უფრო მეტ გარანტიებს ქმნის, ვიდრე რომელიმე სამინისტროს მიერ ადმინისტრირებული ორგანო. თუმცა, პრობლემები ნებისმიერ მოდელში შეიძლება იყოს.

**- როგორ ფინანსდება ჩვენი მართლმსაჯულება?**

- რამდენადაც ვიცი, უზენაეს და საოლქო სასამართლოებს ნაკლები პრობლემები აქვთ. რაიონული სასამართლოების დაფინანსებაში, ფაქტობრივად, ნულებია. იმდენად, რომ ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების გაშვება უწევთ და რაიონულ სასამართლოებს ზოგჯერ დარაჯიც კი არ ჰყავს. არ აქვთ გადაწყვეტილებების დასაბეჭდი ფურცლები. ძალიან საგანგაშო ვითარებაა. ბიუჯეტის განხილვისას, როგორც წესი, ყველა ცდილობს მისი უწყებისთვის მეტი ჩაიდოს. ნამდვილად არ ვახდენ უტრირებას, მართლა საგანგაშო მდგომარეობაა. დიდი იმედი მაქვს, რომ ივლისში, როდესაც ბიუჯეტი გადაიხედება, რაიონულ სასამართლოებს ბიუჯეტი გაეზრდებათ. დიდი იმედი მაქვს, რომ სასამართლოებს ელემენტარული ფუქნციების შესრულების საშუალება ექნებათ.

**- ამ ბიუჯეტით რა დაფინანსება აქვთ სასამართლოებს?**

- არ ვიცი. ამაზე პასუხისმგებელი სასამართლოების დეპარტამენტია... აი, მეც დავიწყე პასუხისმგებლობის გადაბრალება...

**- კარგია, რომ თავად აღნიშნეთ...**

- თუმცა, მკვეთრად გამიჯნული უფლებამოსილება გვექნება თუ არა, ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ სასამართლოები გადარჩნენ - ეს პასუხისმგებლობა ყველას აქვს.

**- ჯარი რომ ხელისუფლებისთვის უპირველესი პრიორიტეტი გახდა, ამას ყველა ხედავს. სასამართლო სისტემისადმი ამგვარი მიდგომა შეინიშნება?**

- რა თქმა უნდა, ჯარი ნომერ პირველი პრიორიტეტია, მაგრამ სასამართლოებიც ასეთივე პრიორიტეტი ერთი ელემენტარული მიზეზის გამო არის - ჩვენ თუ არ გვეყოლება მაღალხარისხიანი, დამოუკიდებელი, პროფესიონალური და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება, ქვეყანაში ინვესტიციებს არავინ ჩადებს. საკუთარი ბიზნესის დასაწყებად არც ერთი სერიოზული ქვეყნის არც ერთი სერიოზული ინვესტორი არ წავა ისეთ სახელმწიფოში, სადაც არ აქვს იმედი, რომ ის უკანონოდ არ დაიჩაგრება.

სასამართლოები არ არის მოსამართლეებისთვის. ეს არის ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო, რომელიც თავიდან ბოლომდე დგას იმ აღმშენებლობით პროცესებში, რაც ჩვენს ქვეყანაში უნდა მოხდეს.

**- როგორ და ვინ რეაგირებს მოსამართლეთა დისციპლინარულ დარღვევებზე?**

- დევნის აღძვრა საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეებს შეუძლიათ - თბილისის საოლქო სასამართლოს საკუთარ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსამართლეებზე, ქუთაისის სასამართლოს, ასევე, საკუთარ და დასავლეთ საქართველოს მოსამართლეებზე და აჭარის უმაღლეს სასამართლოს.

**- რამდენი შემთხვევა იცით ისეთი, მოსამართლემ რომ კოლეგის "ტყავი დახია"?**

- აქ ახალი დანიშნული ვარ, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მას შემდეგ, რაც ახალი მოსამართლეები დაინიშნენ, ასზე მეტ მოსამართლეს სხვადასხვა სახის დისციპლინარული სახდელი აქვს დაკისრებული. 16 მოსამართლე კი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულია.

**- შეგიძლიათ დაასახელოთ რომელიმე ცნობილი გვარი?**

- არა.

**- რა სტადიაშია სასამართლო რეფორმა?**

- სასამართლო რეფორმას დღეს ძალზე ძლიერი მეორე ტალღა სჭირდება. ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც სტრუქტურულ ცვლილებებში, ასევე

**რა თქმა უნდა, ჯარი ნომერ პირველი პრიორიტეტია, მაგრამ ჩვენ თუ არ გვეყოლება დამოუკიდებელი, პროფესიონალური და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება, ქვეყანაში ინვესტიციებს არავინ ჩადებს.**

სხვა მიმართულებითაც. პირველი ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ ვგეგმავთ და პარლამენტის მხარდაჭერის იმედიც გვაქვს, იქნება ის, რომ თბილისის რაიონული სასამართლოები თბილისის საოლქო სასამართლოში გაერთიანდებიან.

**- მიზანი?**

- თბილისში 5 რაიონული სასამართლოა და ამათგან თავისუფლად შეგვიძლია გავაკეთოთ ქალაქის ერთი სასამართლო სამი კოლეგიით - სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის. დღეს მოსამართლეები ყველა ამ საქმეებს ერთდროულად იხილავენ და სხვადასხვა კოდექსებით უწევთ ხელმძღვანელობა, რაც შეცდომების შანსებს ზრდის. ამავე დროს, რაიონების გაერთიანება თბილისის მოსახლეობისთვის რაიმე დისკომფორტს არ იწვევს. რაიონული სასამართლოების გაერთიანება კი პრობლემაა - ადამიანებს არ აქვთ გადაადგილების საშუალება, პენსიები. ხალხს მართლმსაჯულებასთან ფაქტობრივი ექსცესი არ უნდა მოვუწყოთ.

**- და ეს იქნება მეორე ტალღა?**

- პირველ ეტაპზე ეს იქნება. თუ თბილისის კარგი სასამართლოს შექმნა მოვახერხეთ, ამით გარკვეულ თანხებსაც დავზოგავთ - 5 შენობის შენახვის, ინფრასტრუქტურის მოწყობის დამატებითი ხარჯების ეკონომიას გავწევთ. ეს იქნება სტრუქტურული და არა საკადრო ცვლილება.

**- რატომ გაჩერდა პირველი, მძლავრი ტალღა რომელიც ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტის სახელს უკავშირდება?**

- მაშინ იუსტიციის საბჭოს წევრი ვიყავი და ძალიან კარგად მახსოვს ეს პროცესები. 1999 წელს სასამართლო რეფორმა დიდი ნაბიჯებით დაიწყო. სწორედ მაშინ უნდა დაწყებულიყო პროკურატურის რეფორმაც. იუსტიციის საბჭოდან პირადად მე ვიყავი ერთ-ერთი პასუხისმგებელი პროკურატურის რეფორმაზე და სამწუხაროდ, ვერაფერი მოვახერხეთ.

**- მაშინდელ ხელისუფლებას რეფორმირებული პროკურატურა, ალბათ, არ სჭირდებოდა, მაგრამ დღეს?**

- მაშინ პროკურატურაში ცვლილებების შეეშინდათ. სასამართლოში განხორციელებული რეფორმით ცვლილებებმა საგრძნობლად გაზარდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის ხარისხი.

**მექრთამე თანამდებობის პირის დაჭერამდე ის მექრთამე მოსამართლე უნდა დაიჭირონ, ვისაც ადამიანის ბედის გადაწყვეტა ევალება. მაგრამ მოსამართლეების დაბალ ლობეებად გამოყენების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.**

**- ეგ როდის იყო, შეგვახსენეთ, თუ შეიძლება?**

- მაშინ, როდესაც მოსამართლეები ახალი დანიშნულები იყვნენ. ხელისუფლებისთვის, ალბათ, ეს გახდა სახიფათო და ასეთივე პროკურატურა აღარ მოუნდათ. გაიყინა პროკურატურის, ადვოკატურის რეფორმები... მოსამართლეს პროცესი შეჯიბრების პრინციპით მიჰყავს, იქ უნდა იყვნენ მხარეები, პროკურორები, ადვოკატები და ეს ერთიანი სისტემაა. წარმოუდგენელია პროფესიული გადაწყვეტილების დაწერა, თუ არ გყავს ისეთივე პროფესიონალი პროკურორი და ადვოკატი. როდესაც ეს შუაში გაწყდა, ამან დარტყმა თვითონ სასამართლო რეფორმასაც მიაყენა.

**- დღეს ვინმეს უნდა ამ ყინულის გალღობა?**

- ჩემი აზრით, ხელისუფლება ამისთვის განწყობილია.

**- ხმაურიან თემას, ბარამიძე-გეწაძის დაპირისპირებას შევეხოთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაზე რატომ ატყდა ამბავი, როდესაც უკანონო დაკავებები, იარაღის თუ ნარკოტიკის ჩადება პოლიციაში ჯერ არ მოუშლიათ?**

- რომელიმე კონკრეტულ მაგალითს ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონია. არ ვაპირებდი თავდასხმას პირადად გია ბარამიძეზე იმიტომ, რომ დიდ პატივს ვცემ და დიდ საქმეს აკეთებს. თუმცა, რატომღაც, ჩაითვალა, რომ მოსამართლეებზე ყველაფრის გადაბრალება შეიძლება.

**- მხოლოდ მოსამართლეთა ომბუდსმენობა იკისრეთ და თქვენი განცხადებით უკანონობის ტენდენციას არ დაუპირისპირდით?**

- ბატონმა გიამაც იცოდა, რომ პროცედურულად მოსამართლეს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო. ეს ის შემთხვევა იყო, რომ მოსამართლე საერთოდ არაფერ შუაში იყო და ეს ყველამ კარგად იცოდა. სიტყვა ომბუდსმენი ახსენეთ - დიახ, იუსტიციის საბჭოს ყველა წევრი სასამართლოს ომბუდსმენი უნდა იყოს, ეს არის საბჭოს მთავარი ფუნქცია.

მოსამართლეები არც ერთ ქვეყანაში არ ჩანან აქტიურად პრესაში, არ არიან აქტიურად ჩაბმულნი პოლიტიკურ პროცესებში და ეს არც არის მიზანშეწონილი. იუსტიციის საბჭოს კი ყოველთვის უნდა ჰქონდეს პოზიცია.

**- ამოიწურა ეს ინციდენტი?**

- გია ბარამიძეს ვესაუბრე და ჩემი აზრით, თემა ამოწურულია.

**- აღიარა საკუთარ თანამშრომელთა დანაშაული? მით უფრო, ამას წინ უსწრებდა პრეზიდენტის განცხადება.**

- ეს არავითარ კავშირში არ არის სხვა პროცესებთან.

**- სხვა მსგავსს უკანონო შემთხვევებში რატომ დუმდა იუსტიციის საბჭო?**

- რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე, მოსამართლეების მისამართით ასეთი აშკარა ბრალდებები არ მსმენია.

**- რაზე შეთანხმდით შს მინისტრთან?**

- შინაგან საქმეთა სამინისტრო იქნება ეს თუ სხვა უწყება, მოსამართლე იქნება ეს თუ სხვა ვინმე, ჩვენ ქართველები ვართ და საკუთარი ფუნქციები კარგად უნდა შევასრულოთ. ჩვენი სახელმწიფოსთვის ეს კარგი იქნება. ამგვარი კამათები შეიძლება ხშირად გვქონდეს და ამას ერთადერთი მოტივაცია აქვს - საკუთარი საქმით ერთმანეთს მივეხმაროთ. პირველ რიგში მე ვარ მომხრე, კანონდამრღვევი მოსამართლეები დაიჭირონ და ციხეში გაუშვან. მექრთამე თანამდებობის პირის დაჭერამდე ის მექრთამე მოსამართლე უნდა დაიჭირონ, ვისაც ადამიანის ბედის გადაწყვეტა ევალება. მაგრამ მოსამართლეების დაბალ ლობეებად გამოყენების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

**- რამდენი მექრთამე მოსამართლე დაგისჯიათ?**

- ინფორმაციები მხოლოდ ჭორის დონეზე მოდის, მაგრამ ჩემი აქ მუშაობის მოკლე ხნის მანძილზე დადასტურებული ფაქტები არ შემოსულა.

**- თითქმის ყველა სახელისუფლებო შტოში გიმუშავიათ. რას ფიქრობთ, პარლამენტი ხელმოცარული აღმასრულებლების თავშესაფრად ხომ არ იქცა?**

- ყველას საკუთარი მიზნები აქვს და ყოველმა ადამიანმა თავად უწყის, სად შეიძლება საკუთარი თავის უკეთ გამოვლინება. იმ დროისთვის (თუმცა, ძველი ხელისუფლების ლანძღვა არ მინდა) პარლამენტი ერთადერთი ადგილი იყო, საიდანაც რეფორმების გატარებისთვის ხელისუფლებაზე ზეწოლა შეიძლებოდა. პირადად მე ძალიან თავისუფლად ვთქვი უარი პარლამენტზე, რადგან დღეს კი ისეთი პროცესები ვითარდება - აჭარა, ოსეთი და სხვა - რომ ნებისმიერ ადგილზე რიგით იურისტადაც ვიმუშავებ, არანაირი პრობლემა არ მაქვს.



**გია გეწაძე: დაიბადა 1968 წელს, დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი; დაახლოებით ერთი წელი გერმანიის ერთ-ერთ უნვერსიტეტში პროფესორის თანაშემწედ მუშაობდა; საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის პირველი დღიდანვე თავმჯდომარის პირველი თანაშემწე იყო; ორი წელი უშიშროების საბჭოში მრჩევლად მუშაობდა. შემდეგ სახელმწიფო სამსახურიდან წავიდა და ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაციის სამართლებრივი მრჩეველი იყო. შემდეგ სამი წელი "აირექს"-ში მუშაობდა, ბოლო ერთ წელიწადს ამ ორგანიზაციის დირექტორი იყო. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში კრწანისის ოლქის მაჟორიტარებში გაიმარჯვა. სულ 15 წუთით იყო პარლამენტარი, რადგან მალევე იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მხოლოდ სამი თვე გაჩერდა. დღემდე იუსტიციის საბჭოს მდივანია.**




## ეთნოგრაფიული მუზეუმი

**ფოლკლორის ფესტივალი Art-გენი**
15:00 სთ. - მარიონეტების თეატრი
17:00 სთ. - ფოლკლორი: აჭარა, ლაზეთი, რაჭა
21:00 სთ. - ნინო ქათამაძე და ჯგუფი "ინსაითი"

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
პატრიკ ზიუსკინდის მიხედვით
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
რევაზ კლდიაშვილი
"მარტოობის ბინადარი"
კითხულობს სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ტროა"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

**კინოს სახლი**
ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმების რეტროსპექტივა
"უკანასკნელი ტანგო პარიზში"
დას: 18:00 სთ

## გამოფენები

**ქარვასლა**
ნოდარ მალაზონიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**საქართველოს ხელოვნების მუზეუმი**
"XX საუკუნის ქართული ხელოვნება"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
აჭარელ, აფხაზ და ქუთაისელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
ლევან ლაღიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ჰობი"**
გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
სახვითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

**6 ივნისს**
გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - Превращения в Лукоморье
დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

# ყოველთვის თანამედროვე

## ნოდარ მალაზონიას პერსონალური გამოფენა ქარვასლაში

ვერა ნეფარიძე

*ფოტო, ფერწერა, გრაფიკა, პლაკატი, - ასეთი მრავალმხრივობა არ არის გუშინ "ქარვასლაში" გახსნილი გამოფენისადმი განსაკუთრებული ინტერესის ერთადერთი მიზეზი. ავტორის მიერ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე შექმნილი ნამუშევრები ყველა დროის ესთეტის მოწონებას სამართლიანად იმსახურებს. განსაკუთრებული კი ნოდარ მალაზონიას ის პლაკატებია, რითაც წლების განმავლობაში უცხოეთში საქართველოს ეცნობოდნენ.*


თეიმურაზ სუხიტაშვილის ფოტო

*მუდამ თანამედროვე ნოდარ მალაზონია რეზო ჩხეიძესთან ერთად*

სამწუხაროდ, ყველა ხელოვანის ხვედრი არ არის, მისი ხედვა სხვადასხვა დროს შეესატყვისებოდეს; მაგრამ, ეს არ აკნინებს ხოლმე ამ ხელოვანთა შემოქმედებას. განსაკუთრებულ პატივისცემას კი მაინც ისინი იმსახურებენ, ვისგანაც ყოველთვის შეუძლიათ ისწავლონ; ან, უბრალოდ, განცვიფრდნენ. ასეთი გაოცება კი უდავოდ ელის "ქარვასლაში" მისულ დამთვალიერებელს, როდესაც ნახავს, რომ პლაკატების სერია, რითაც "ინტურისტი" მსოფლიოს საქართველოს წარუდგენდა ხოლმე, ისეთივე თანამედროვეა, როგორც იგივე ავტორის იდეის დონეზე შესრულებული "სონისა" და "ფილიპსის" ფირმების სარეკლამო ფოტოები. ამიტომაც თქვა გუშინ კიდევ ერთმა პროფესიონალმა ფოტოგრაფმა იური მეჩითოვმა გამოფენის ავტორის შესახებ: ნოდარ მალაზონია ყველა დროის თანამედროვეაო.

ასეთი კომპლექსური გამოფენა, სადაც თავმოყრილია გასული ათწლეულების თბილისის ერთ-ერთი კოლორიტის ნოდარ მალაზონიას ფერწერული, გრაფიკული ფოტონამუშევრები, მსოფლიოში ცნობილი თუ იდეური პლაკატები, 80-იანი წლების შემდეგ თბილისში არ გამართულა. ამიტომაც, "ქარვასლას" გუშინდელ დამთვალიერებელთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით, უფროსი თაობა) განსაკუთრებულ ნოსტალგიას განიცდიდა კედლებზე გაკრული პლაკატების მორიგი ნახვისას.

განვლილი ათწლეულების ნოსტალგია არ დაგტოვებთ ძველი ფოტოების დათვალიერებისას. პორტრეტები, პეიზაჟები (მათ შორის, განსაკუთრებით შთამბეჭდავი მაინც შემოდგომა-ზამთრის პეიზაჟები მეჩვენა); ინგლისში, ტიბეტსა და ჰოლანდიაში გადაღებული ფოტოები, რომელთა გარკვეული ნაწილი ღია ბარათების სახითაა წარმოდგენილი. ფოტოექსპოზიციიდან განსაკუთრებით ერთი მათგანი მიიქცევს ყურადღებას - ბავშვი ვარდით ხელში და აწერია: 22 ნოემბერი, 2003 წელი. მოგვიანებით ავტორთან გავარკვიეთ, რომ ფოტოზე გადაღებული ბავშვი მისივე შვილია - ისიც მხატვარი, ბაჩი. "ეს ისეთი ფოტოა, ამის დადგმა შეუძლებელია. როდესაც ბაჩიმ შემამჩნია, რომ ფოტოს ვუღებდი, გაოგნდა. ასეთ გაოცებულ სახეს დადგმით ვერ გადავიღებდი. შემდეგ ეს ფოტო მიხეილ სააკაშვილს მივუძღვენი და თარიღიც დავაწერე", - გვითხრა ნოდარ მალაზონიამ.

პლაკატებს რაც შეეხება, ესთეტიურობის გარდა, მათ ამ საქმის პროფესიონალის ხელი ატყვია (ნოდარ მალაზონია პირველი იყო, ვინც უცხოეთში პირველი ქართული პლაკატი გაიტანა); ისინი მეოცე საუკუნის გასული ათწლეულების ისტორიასაც მოგვითხრობენ. დარბაზში გამოფენილია ნოდარ დუმბაძის "თეთრი ბაირაღების" თუ მაიაკოვსკისთან დაკავშირებული პლაკატები; აღარაფერს ვამბობ "ინტურისტის" სერიებზე, რომელიც მნახველს რუსთაველის თეატრზე, ქართულ არქიტექტურულ ძეგლებსა თუ "ბორჯომის" წყალზე უამბობს; საქართველოს შესახებ ალექსანდრე დიუმას სიტყვებს ახსენებს და ამგვარად აცნობს ჩვენ ქვეყანას დანარჩენ მსოფლიოს.

დაბოლოს, "ქარვასლას" მესამე სართულზე მარჯვენა დარბაზში გამოფენილია ნოდარ მალაზონიას ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებიც. მათ შორის, ფერწერულ პეიზაჟები ავტორისთვის დამახასიათებელი გურული იუმორით გამოირჩევა და დამთვალიერებლის ყურადღებას განსაკუთრებულად იპყრობს.

# მოგონებების მოლეკულები "წიგნის სახლში"

თამარ სუხიშვილი


ბესო გულაშვილის ფოტო

"მადლობა ყურადღებისთვის და დროის დაკარგვისათვის. თქვენი გიგი. დაიღალეთ, არა? (არა - პასუხობს აუდიტორია) აი, მე კი დავიღალე."

ყველაზე მეტად ჭირს მეგობრის წარდგენა აუდიტორიის წინაშე, - ამ სიტყვებით წარმოგვიდგინა მწერალმა ზაალ სამადაშვილმა თავისი უახლოესი მეგობარი და საყვარელი ავტორი, პოეტი გიგი სულაკაური, რომელიც გუშინ "წიგნის სახლის" ხუთშაბათური ციკლის, "ახალი განზომილების" სტუმარი იყო. შეხვედრის თემა ასეთი გახლდათ - "მოგონებების მოლეკულები". მათ, ვისაც გიგი სულაკაურის ბოლო (და, ამავდროულად, პირველი პროზაული) კრებული "მე და ჩემი ლიზა" წაუკითხავს, ეს სათაურიც კარგად ეხსომებათ. ასე ჰქვია კრებულის ერთ-ერთ ქვეთავს, რომელშიც პოეტის ჩანაწერებია თავმოყრილი.

მოგონებების სერია გუშინდელ შეხვედრაზე ზაალ სამადაშვილმა გახსნა. მან 1966 წლის ამბები გაიხსენა და იქვე დასძინა, წელი იმიტომ მახსოვს, რომ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი იყოო. გაიხსენა, როგორ ისვენებდნენ ქვიშხეთში მეხუთე კლასელები - გიგი და ზალიკო, როგორ ეწეოდნენ "პრიმას", როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე "განძთა კუნძულმა" და "შავმა ისარმა" და კიდევ ბევრი სხვა რამ.

პრონციპში შეგვეძლო საუბრისთვის ნებისმიერი თემა შეგვერჩია, - ამბობს "ახალი განზომილების" სტუმარი, თუმცა საბოლოოდ ბავშვობის მეგობრებმა, სტუმარმაც და მასპინძელმაც, ალბათ სწორი არჩევანი გააკეთეს. იცოდნენ, რომ მაინც მოგონებებს მიუბრუნდებოდნენ და ერთგვარად თავი დაიზღვიეს. გიგი სულაკაურმა შეხვედრის დასაწყისში იხუმრა კიდეც, სელინჯერის გმირივით თემიდან რომ არ გადამეხვია და პუბლიკას "გადაუხვია, გადაუხვია" არ ეკიჟინებინა, ავდექი და პირდაპირ გადავუხვიე თემიდანო.

ასე დაიფრქვა მოგონებების მოლეკულები "წიგნის სახლში". გიგი სულაკაურს, რომელმაც, როგორც თავად გაგვიმხილა, კარგი მახსოვრობა აქვს, გასახსენებელი მართლაც ბევრი დაუგროვდა. სხვათა შორის, ეს მოგონებები პირველად სწორედ თავის მეგობარს, ზაალ სამადაშვილს გაუზიარა: "ზალიკომ მითხრა, ზუსტად ასეთი რაღაცები მიყვარსო და მერე ამ რაღაცებს დავარქვი მოლეკულები."

"წიგნის სახლის" ახალგაზრდა აუდიტორია ამ მოლეკულებით გუშინ მართლაც დაიმუხტა. პოეტმა ბევრი რამ იქვე სახელდახელოდ გაიხსენა, არც კრებულიდან ნაწყვეტების წაკითხვა დაიზარა... თან სულ წუხდა, მსმენელი არ გადავღალოო და პატარა და მსუბუქ ნაწყვეტებს, ე.წ. "მსუბუქი ყოფაქცევის მოგონებებს" (ასე მონათლა ეს ნაწყვეტები თავად ავტორმა) არჩევდა. თუმცა მსმენელს დაღლა მაინცდამაინც არ შეტყობია და გიგი სულაკაურის ახალგაზრდა თაყვანისმცემლები ალბათ კიდევ დიდხანს დარჩებოდნენ მოგონებების სამყაროში, თავად პოეტს რომ არ "გამოეფხიზლებინა".

"მოდით, ახლა ერთს კიდევ წაგიკითხავთ და დავამთავროთ. თქვენც დაგღალეთ და მეც დავიღალე." გიგი სულაკაური კიდევ რამდენიმე მოგონებას კითხულობს და მსმენელს ემშვიდობება: "მადლობა ყურადღებისთვის და დროის დაკარგვისათვის. თქვენი გიგი. დაიღალეთ, არა? (არა - პასუხობს აუდიტორია) აი, მე კი დავიღალე."




რეცენზია

# ქართული რეპის მიმოხილვა

ნიკო ნერგაძე

**ნაწილი 1: ბედინა და ცუდი ბიჭების კომპანია**

***შენიშვნა:*** *24 საათი ალბომებს აფასებს 5 ვარსკვლავიანი სისტემით.*

სხვადასხვა შემსრულებელი - ქართული რეპი *
სხვადასხვა შემსრულებელი - ქართული რეპი 2 **
ბედინა აის - კომერცია **
ბედინა - იარაღი **



*ბედინა და მისი ბანდა*

ტელევიზორში ქართული კლიპების ნახვისას ბოლო დროს სულ მიჩნდებოდა კითხვა: კი ბატონო, მესმის ლექს-სენის და შავი პრინცის, ისიც მესმის, რომ ქართულ ესტრადას აკლდა რეპერი, რომელიც სახელად ძვალს დაირქმევდა და ამით გაითქვამდა სახელს, მაგრამ სად არიან ის რეპერები, რომელნიც არც სიყვარულზე მღერიან და არც რუსულ მულტფილმებს აწვალებენ, არამედ, როგორც ჭეშმარიტ რეპერს შეეფერება, ქუჩის ცხოვრებას აღწერენ?

მცირე კვლევის შემდეგ ვიპოვე ქართველი რეპერების ათამდე კასეტა (დისკი არ არის გამოსულიო, - მითხრა გამყიდველმა); ბევრ მათგანს ამშვენებდა მაცდუნებელი წარწერა: ფრთხილად, უცენზურო სიტყვები. დიდი რჩევის შემდეგ ყურადღება შევაჩერე ქართული რეპის ორ ნაკრებზე და ბედინას ორ ალბომზე, რადგან, როგორც ჩანს, სწორედ ბედინაა ამ ბანდის მეთაური.

ამ ალბომებიდან ზოგი ძალიან ძველია (ბედინას რამდენიმე სიმღერა 90-იანების დასაწყისშია დაწერილი) და ზოგი შედარებით - ახალი, შარშანდელი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამოდენიმე სიმღერა სხვადასხვა ალბომში მეორდება. ასე, მაგალითად, სიმღერა "თბილისო" სხვადასხვა ვარიანტებით 6-ჯერ მეორდება 3 სხვადასხვა ალბომში.

რა შეიძლება ითქვას "ნამდვილ" ქართველ რეპერებზე? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ისინი ბევრნი არიან და მათ უმეტესობას ძალიან სულელური სახელი აქვს. რატომ უნდა დაირქვა იმ ვითომ რეპერის, ვანილა აისის მსგავსი სახელი, რომელიც მთელს ცივილიზებულ სამყაროს სასაცილოდ ჰყავს აგდებული? საბედნიეროდ, დღეს ბედინა აისი უბრალოდ ბედინაა და ეს ნამდვილად სასიკეთო ცვლილებაა. საერთოდ, ბევრ ამ რეპერს აქვს ვილაცის მიმსგავსებული სახელი ქართველ 2pac-ს 2zap ჰქვია, DMX-ს DMS, ამათ ყველას კი უჯოკრავს ადამიანი სახელად White Nigger. არ ჯობს, გქონდეს ადამიანური სახელი, ვთქვათ - სომა, დეჟა ან კრიმო?

აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ, რომ ქართველი რეპერები მუსიკას არ წერენ. სიმღერების აბსოლუტური უმრავლესობა რომელიმე ცნობილი რეპ ინსტრუმენტალზე დადებული ქართული რეპია. მათი მთავარი მინუსი სწორედაც ესაა. თვითონ რომ დაეწერათ მუსიკა, თუნდაც ცოტა უარესი, ისინი ბევრად უკეთეს შეფასებას დაიმსახურებდნენ.

ქართველი რეპერების ამ "სასტავის" ყველაზე დიდი ღირსება გულწრფელობაა. ისინი მღერიან იმაზე, რაც აწუხებთ და რაც აინტერესებთ; და, მართალია, ეს ყველაფერი ზოგან სასაცილოდ და ყოვლად არადამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ ხანდახან გესმის, რომ კაცმა მართლაც იგრძნო და ეს ნამდვილად დასაფასებელია. ბედინას "მონანიება" (ქართული რეპი 2-იდან) გულწრფელობის კარგი მაგალითია - ის ემოციურად აღწერს ციხეში გატარებულ წლებს. "ემოციური აღწერა" ამ შემთხვევაში ევფემიზმია და კაი გემრიელ დედის გინებას ნიშნავს. საერთოდ, სიმღერაში რთულია, დამაჯერებლად შეიგინო და ბედინას ამ სიმღერაში ხუთიანი ეკუთვნის.

მაგრამ, რეპერების ზოგი მონათხრობი ყოვლად ალოგიკური და დაუჯერებელია. ისევ ბედინა "კვირა დღე" მოვიხმოთ მაგალითად - სიმღერაში ბედინა ჰყვება, როგორ ჩამოვიდა დილას მეზობელი, როგორ მოწიეს ორმა ტარიანი და მერე როგორ წავიდა სასეირნოდ. იქვე ამბობს, - საათს დავხედე და 8-ს 15 აკლდაო. კარგი, რა, ბედინა - დილის შვიდ საათზე ვინ ეწევა პლანს, არ დავიჯერებ მე მაგას. აი, მერე რომ მოდის, - ბარში ლამაზი ქალი გავიცანი და იქვე ბუჩქებში ვიხმარეო, - ეს დასაჯერებელია. ყველამ ვიცით, რომ ქართულ ბარებში ბევრი ბუჩქია.

როგორც ჩანს, ქართველი რეპერები ჩვენზე რთულად ცხოვრობენ და ფულიც ნაკლები აქვთ. ბევრი სიმღერა სწორედ ფულის და უფულობის თემას ეხება. თუმცა, ამერიკელი რეპერებისაგან განსხვავებით, ქართველები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ მთავარი ცხოვრებაში ფული არაა, მთავარია კაცობა და გაგება. სრულიად ვეთანხმები.

თუმცა, ამ კაცობით და გაგებით ისინი ძალიან შორს არიან წასულები. აწვებიან ყოვლად გაუგებარ "განგსტერის თეორიას", "რეპერის იდეოლოგიას", მღერიან "ომზე უბნებს შორის" და "დაუნდობელ შურზე", ნასედკებზე და იმაზე, თუ როგორ უხვრეტენ იარაღით ვიღაცეებს შუბლს, ოღონდ "არასპრავედლივი ხელს" არავის ახვედრებენ. ნეტა პომიდორს თუ ჭამენ და, ალბათ, კატაა საყვარელი ცხოველი, არა? აი, ვირთხებს რომ დასდევს და ძაღლებს გაურბის. ამ ყველაფრის აღქმა სერიოზულად ცოტა მიჭირს.

ამ ალბომების შექმნაში მონაწილე მრავალი სხვადასხვა რეპერისდან მე ყველაზე უფრო დეჟამ დამაინტერესა, განსაკუთრებით - სიმღერა "დამ დამ", რომელიც ერთი დიდი ცნობიერების ნაკადია. სიმღერა იწყება ტყეში "კამსამოლა ნაშების" მაშა და დაშას დამუშავებით და მათი "ზღარბუნების" ნახვით. დიახ, ზღარბუნა სწორედ ისაა, რაც იფიქრეთ. ზღარბუნა... რამ მოაფიქრა ნეტა. მაგრამ, უცნაურობა აქ არ მთავრდება - მაშას და დაშას შემდეგ დეჟა უკვე ლენინის ცოლზე გადადის. თან ეს პირველი სიმღერა არაა, ლენინის ცოლი და დეჟა ერთად სიმღერა "თბილისოშიც" ფიგურირებენ. რითი გამოიწვია ნადეჟდა კონსტანტინოვნამ ქართველი რეპერების ასეთი აღტკინება ვერ გეტყვით. სიმღერაში კიდევ ბევრი მარგალიტია, მაგრამ მეტს აღარ მოგიყვებით, უბრალოდ, გეტყვით, რომ არის ადგილები, სადაც ფიდელ კასტრო ჰომოსექსუალობას აღიარებს და დეჟა დოქტორ ფაუსტს და კაშპიროვსკის კლავს. აი, ასეთი სიმღერაა.

მაგრამ, ქართულ რეპში ყველაზე ნერვების მომშლელია მუდმივი ჭკუის დარიგება- ასე იცხოვრე, ისე არ იცხოვრო, მე დამიჯერე, სხვას არ დაუჯერო... ჭკუის დარიგება მამისგანაც გამაღიზიანებელია და White Niggeri -ის ან სომასი ხომ - კიდევ უფრო.

საკმაოდ მოულოდნელი იყო ის აღმოჩენა, რომ ქართველი რეპერები კარგად იცნობენ ქართულ როკს და ხშირად და სიამოვნებით ციტირებენ. ოთხ სხვადასხვა ადგილას არის ჩარკვიანის ციტატები მიმობნეული. კიდევ უფრო მოულოდნელი იყო რომ რეპერებს არც აუტსაიდერის "ტოლსტოის ანა" დავიწყნიათ.

ამ ოთხი დისკიდან ნამდვილად შეიძლება ერთი-ორი სასაცილო ან გულწრფელი ან სხვა რამით აღსანიშნავი სიმღერის ამორჩევა. მაგრამ, სანამ ქართველი რეპერები საკუთარი მუსიკის წერას არ დაიწყებენ, არაფერი ეშველებათ. არადა, არის, ასე, 10 სული - ერთმა მაინც წეროს მუსიკა, თუნდაც, ამერიკული რეპის მიბაძვით, ოღონდ პირდაპირ გადმოღებული რომ არ იყოს ისე. დამიჯერეთ, ბევრად უკეთესი იქნება.

შემდეგ ხუთშაბათს რეპის მიმოხილვის მეორე ნაწილს შემოგთავაზებთ და ლექს-სენის ახალ ალბომსაც განვიხილავთ.

სტატიის ავტორს უყვარს როდესაც აქებენ ან აკრიტიკებენ. მასთან დაკავშირება შეიძლება ელექტრონული ფოსტით:
nergadze@hotmail.com

# რომანტიზმი საქართველოდან

თეონა ჯაფარიძე



დასავლური მუსიკალური ბაზარი ქართული პროდუქციით ინტერესდება. სულ მოკლე პერიოდში, დაახლოებით, წელიწადნახევარში გერმანიაში ქართველ ავტორთა რამდენიმე ალბომი გამოიცა. ტუსია ბერიძისა და ნიკა მაჩაიძის ალბომებს სულ ახლახან გოგი ძოძუაშვილის Post industrial Boys დაემატა. ალბომი კიოლნში Max-enst-მა გამოსცა და ევროპაში უკვე გაყიდვაშია. მანამდე სწორედ იმავე ლეიბლზე გამოიცა ტუსია ბერიძის სამი ალბომი. მათი პროდიუსერი ტომას ბრინკმანი გახლავთ.

დიუსელდორფელი დიჯეი, კომპოზიტორი და პროდიუსერი მიხვდა, რომ დასავლურ ელექტრონული მუსიკის ბაზრის ცივ ჟღერადობას მელოდიურობა აკლია. სწორედ ეს მელოდიურობა იპოვა მან თბილისში, როცა "გოსლაბს" გაეცნო. იპოვა, კარგად შეფუთა და დასავლეთში გაყიდა. ბრინკმანი ერთი წლის წინ აჭარა მიუზიკ ჰოლის მიერ მოწვეულ გერმანულ ჯგუფ "კრაიდლერთან" ერთად ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლა მაშინ სწორედ გოგი ძოძუაშვილისა და ნინო ქათამაძის გახმაურებულ კონცერტს დაემთხვა "აჭარა მიუზიკ ჰოლში". საქართველოში ის ადრეც იყო ნამყოფი და კარგად იცნობდა მუსიკოსებს, რომლებიც მუსიკას კომპიუტერის საშუალებით ქმნიდნენ. მათი მუსიკის სპეციფიურ მელოდიურობაზე მაშინ ბრინკმანმა ჩვენთან ინტერვიუს დროს ისაუბრა და 90-იანი წლების პროდუქტის - კომპიუტერული მუსიკის ქართული განშტოება და, განსაკუთრებით, გოგი ძოძუაშვილის მუსიკა "რომანტიზმად" მონათლა. გაზეთი "24 საათი" დღეს სწორედ გოგი ძოძუაშვილის ახალი ალბომით Post industrial Boys-ით დაინტერესდა.

ალბომის ყდაზე პოსტსაბჭოთა ეპოქის ყოფის ამსახველი დოკუმენტური ფოტოა გამოსახული, შიდა მხარეს კი - მთელი "გოსლაბის" შემადგენლობა. ყდის დიზაინი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ დასავლური მუსიკალური ვიწრო წრეები "გოსლაბის" პროდუქტს პოსტსაბჭოთა სივრცეში აღმოცენებულ ხელოვნებად მიიჩნევენ. ერთ-ერთ ინტერნეტ საიტზე, რომელიც გოგის ახალ ალბომზე ინფორმაციას გვაწვდის, საქართველოსა და მის ახალ ხელოვნებას სწორედ პოსტკომუნისტურ ეპოქას უკავშირებს: "90-იან წლებში, როცა არეულ-დარეულობის პერიოდი იყო, ჩვენ ერთმანეთის ხელოვნების შემფასებლები ვიყავით. მთელი ჩვენი იდეები ერთმანეთში იხარშებოდა, ერთობლივი ექსპერიმენტებიც გვაქვს გაკეთებული, მაგალითად - პროექტი "მჟავა მესიჯი", მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, "გოსლაბის" წევრების ხელოვნება მკვეთრი ინდივიდუალიზმით გამოირჩევა", - ამბობს მუსიკოსი და, მართლაც, მათ შორის აშკარა განსხვავებას, ალბათ, იგრძნობდა ყველა, ვინც ამ ორიოდე თვის წინ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" "გოსლაბის" კონცერტზე მოხვდა. მსმენელისათვის ადვილად ამოსაცნობი იყო, ვის მუსიკას უსმენდა - გოგისას, ტუსია ბერიძის მელოდიებს, თუ ნიკა მაჩაიძის კომპოზიციებს.

გოგის ახალი ალბომის სახელწოდება - Post industrial Boys ამავე სახელწოდების კომპოზიციიდან მოდის, რომელიც, რა თქმა უნდა, ალბომშია შესული; ტექსტი ირაკლი კაკაბაძისაა, ხმა (ვოკალი) კი - გოგი ძოძუაშვილის. ალბომში სულ ათი კომპოზიციაა შესული. მისთვის ავტორს სხვადასხვა ვოკალი აქვს გამოყენებული: "ჩემს მუსიკაში იმ ადამიანებს ვიყენებ, ვინც ჩემ ირგვლივ ტრიალებს, ვისთანაც ცხოვრებაში საინტერესო ურთიერთობა მაკავშირებს. ჩემი მუსიკა ჩემი დღიურივითაა", - ამბობს მუსიკოსი. ასე მოხვდა გოგის ახალ ალბომში რატი ამაღლობელის, ირაკლი კაკაბაძის, ნინო ფალავანდიშვილის, ნინო ჩუბინიშვილის, ტუსია ბერიძის, გიო+მაია სუმბაძის, ნიკა მაჩაიძის ხმები და ტექსტები, რომელსაც გოგის რომანტიზმით სავსე მუსიკა აერთიანებს.

როგორ დაიკავა რომანტიზმმა ადგილი ციფრული ტექნიკის ეპოქაში? როგორ იქმნება კომპიუტერზე მსგავსი მუსიკა? "ძალიან მომწონს ცოცხალი მუსიკა, მაგრამ მხოლოდ მის ჩარჩოებში ვერ მოვექცევი. კომპიუტერული ჟღერადობა და შესაძლებლობები უფრო მეტის საშუალებას მაძლევს", - ამბობს მუსიკოსი. მაგალითისათვის, გავიხსენებთ მის ერთ-ერთ ძველ ციფრულ-რომანტიკულ პროექტს "სანის". ეს იშხნელების სიმღერების კომპიუტერული ვერსიაა, რომელიც მუსიკოსმა მანანა მენაბდესა და ნიკა მაჩაიძესთან ერთად შექმნა.

მისი რომანტიზმი ყველაზე თვალსაჩინოა თეატრისთვის შექმნილ, ან კინომუსიკაში ("მეფე ლირი" მარჯანიშვილის თეატრში ან ბალეტი "დილის საარი", ან გიო მგელაძის ფილმი - "შვიდი დღე ტიბეტში"). მაგრამ, ახალი რომანტიზმის ფორმებს ის სწორედ საკლუბო ვერსიებში იძენს. სწორედ ამ ფორმების გამო, დაინტერესდა დასავლეთი მისი მუსიკით. მძიმე ინდუსტრიის შემდეგ ხომ ყოველთვის რომანტიზმის მოთხოვნილება ჩნდება. დღეს მისი ალბომი დასავლურ კლუბებსა და აუდიო მაღაზიებში უკვე გაყიდვაშია. ცოტა მოგვიანებით, როგორც მუსიკოსი გვპირდება, Post industrial Boys-ის ასამდე ეგზემპლარი თბილისური ლიტერატურული კაფეებისა და მაღაზიების თაროებზეც გამოჩნდება.




*ასე გამოიყურება გერმანიაში გამოსული ქართული ალბომი "Post Industrial Boys"*

ნინია კაკაბაძის სვეტი

# ქართველია და თან თბილისელი



ალბათ ხშირად მოგისმენიათ სიტყვათა ეს წყობა ერთად ან ცალ-ცალკე - ქართველია და თან თბილისელი. ზოგიერთი ადამიანისათვის სერიოზული პრიორიტეტი ქართველობაა, ზოგიერთისთვის კი თბილისელობა. ისეთებიც არიან, რომელთათვისაც ეს ორი მახასიათებელი ნიშანი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მათი ნდობა მოიპოვონ. მახსოვს, შედარებით მცირეწლოვანი ვიყავი და ერთ-ერთ ახალი თანამდებობის პირზე ვიკითხე, - როგორი კაცია-თქო, პასუხი კი ამგვარი მივიღე: კაი თბილისელი ბიჭია. მაშინ ცოტა დავიბენი და ამ ახალი სახის შეფასების გაგება გამიჭირდა, მივხვდი, რომ ერთმნიშვნელოვნად კარგის მაუწყებელი იყო მისი თბილისელობა, მაგრამ მაინც რთული გახდა საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ამის შემდეგ, მით უმეტეს - უკანასკნელ პერიოდში შეფასების ეს უცნაური კრიტერიუმი თითქმის ყოველდღე მესმის. არა მხოლოდ შეფასება, საქართველოს მოსახლეობისათვის (ერთი ნაწილისათვის, ბუნებრივია) მთავარი, სწორედ ამ ორი მოთხოვნის დაკმაყოფილებაა, რომ მათი ნდობა დაიმსახურო. ამიტომაც იყო, რომ ხშირად გვესმოდა ისეთი ადამიანებისგან, როგორიც, მაგალითად, ქართველი "პოეტი" ჯანსულ ჩარკვიანია, რომელიც ბოდიშის მოხდით და ნიშნის მოგებით თავის მოკრძალებულ მოსაზრებას გვიცხადებდა, რომ ადამიანი რომელსაც სომხური სისხლი ურევია, მას სახელმწიფოს სათავეში რა უნდა. თუმცა, ვიდრე ეს ადამიანი შევარდნაძის მოყვანილი კადრი იყო, მანამდე მისი წარმომავლობა არ ახსოვდა და არც აინტერესებდა. ამგვარი შოვინიზმი, სამწუხაროდ, ქართველებს დიდი ხანია ახასიათებთ. ვინაიდან ეს ძალიან ვრცელი თემაა და მასზე მსჯელობას ეს სვეტი ნამდვილად ვერ დაიტევს, შევეცდები, ამ შემთხვევაში დავკონკრეტდე და შეძლებისდაგვარად ლაკონური ვიყო. თქვენს ყურადღებას კი იმ საკითხზე შევაჩერებ, რომელმაც ამ სვეტის, ასე ვთქვათ, "მუზა" მომცა.

ბოლო დროს ქალაქელობა უფრო პრესტიჟული ტიტულია. თბილისელობა დღეს, როგორც თანამდებობა ისე ჟღერს. განსაკუთრებულად სნობურ და მეშჩანურ წრეებში, რომელთაც ცხოვრება თბილისის ცენტრში მოუწიათ. მათთვის ქალაქის გარეუბანში მაცხოვრებელიც ე.წ. სოფლელია. ხშირად დამისვამს კითხვა: "რას ნიშნავს იყო თბილისელი"? პასუხს ასეთს ვიღებ: "აი, ქალაქი უნდა გიყვარდეს". რას ნიშნავს ეს პასუხი და, საერთოდ, ქალაქის სხვანაირად სიყვარული არ ვიცი. თუკი, მაგალითად, თბილისის ახალ მერს ბინა ცენტრში არა აქვს და "სვეცკი" ცხოვრებით არ ცხოვრობს, ეს "თბილისელებისათვის" უკვე მიუღებელია. სხვათა შორის, ე.წ. "კარენოი" თბილისელებისათვის ქალაქის მერი ესთეტიკურ ნორმებსაც უნდა აკმაყოფილებდეს. ამაზე ასეთ კომნეტარს აკეთებენ: "ქალაქის მერია; სიმპათიური მაინც ხომ უნდა იყოს". რატომღაც ვანო ზოდელავას მისამართით ეს პრეტენზიები არ მსმენია. არადა, ლამაზი არც ის იყო და თან უშუალო მონაწილეობა მიიღო თბილისის ერთ-ერთ ყველაზე მახინჯ ქალაქად ჩამოყალიბებასა და გაპარტახებაში. სამაგიეროდ, ვაკეში ცხოვრობდა და ცნობილი კომკავშირელის, კომუნისტის და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვაჟიშვილი გახლდათ. ყოველივე ამის შემდეგ კი ეკუთვნოდა მას მერობა - აბა, ვინ იტყოდა რამეს. ახალი მერის შესახებ კი ამგვარ ექსკლუზიურ ინფორმაციას არ ვფლობთ და ერთადერთი, რაც ვიცით, ის არის, რომ არც ვაკეში ცხოვრობს და არც ვერაზე. საყოველთაო აღშფოთების საბაბი სნობურ საზოგადოებაში კი სწორედ ეს გახლავთ. ერთი სიტყვით, ქალაქის ახალი მერის მაგალითი ერთ-ერთია, იმ კლასობრივ-შოვინისტურ დამოკიდებულებებს შორის, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გარკვეულ წრეებში წამყვანი თემაა. თუმცა, ბუნებრივია, ეს პირველი შემთხვევა არ არის და ქედმაღლური დამოკიდებულება, სხვადასხვა ეროვნებიდან, ქალაქელობიდან თუ უბნელობიდან გამომდინარე, ყოველთვის შესამჩნევი იყო და არის. რატომ ვართ ქედმაღალნი სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ. ეს ევროპელებსა თუ ამერიკელებს არ ეხებათ. რატომღაც, ყველაზე მეტად მეზობელი ქვეყნები და აღმოსავლეთი ავითვალწუნეთ. ევროპელები და ამერიკელები ჩვენზე კარგად ცხოვრობენ, ჩვენზე კარგი ჩაცმულები არიან, ფულიც ჩვენზე მეტი აქვთ და, ზოგადად - ჩვენზე კეთილმოწყობილი ყოფა. მეზობელი ქვეყნები და აზიელები, პირველ რიგში, მოდურად არ იმოსებიან, შავგვრემანები არიან (ეს ქართველისთვის სერიოზული ნაკლია, ვინაიდან ჭუჭყიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ის არ ახსოვთ, რომ ჩვენც შავები ვართ), და მათი საერთო სოციალური დონე ევროპელებზე უფრო დაბალია. კატეგორიების დაყოფა კლასებად ხდება. თავად რაიონელის მოთხოვნა, ბუნებრივია, პირველ რიგში, ქართველობაა, გარეუბნელისა - ქალაქელობა, ცენტრში მაცხოვრებელის კი - ჭეშმარიტი თბილისელობა. ყოველი მათგანი თავისებურად გაუგებარია, მაგრამ ყველაზე საკვირველი სწორედ იმ ადამიანთა დამოკიდებულებაა, რომელთა ნდობას მხოლოდ თბილისელობა თუ კაი უბნელობა იმსახურებს. ეს ტენდეცია, ძირითადად, კომუნისტების მიერ არის ჩამოყალიბებული, მათ მიერვეა შექმნილი ინტელიგენცია და ელიტური საზოგადოება. ჩემს მეხსირებაში კი ყველაზე მეტად შევარდნაძის ეპოქა დარჩა; მის მიერ ანგაჟირებული და პრივილეგირებული ინტელიგენციის წევრები, რომელთაც, ვფიქრობ, უშუალოდ შემოიტანეს ეს სნობური ტენდენცია და ვიღაცას, რატომღაც, ზემოდან დაუწყეს ყურება. ინტელიგენცია უკვე ისეთი ძლიერი მექანიზმია, რომლის დამსხვრევას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. სინამდვილეში კი მოაზროვნე ხალხს დღეს არავინ თვლის ინტელიგენტად.

ვეცდებით, მოკლედ და მარტივად ვთქვათ ან, შეძლებისდაგვარად, ავხსნათ ამ ტენდენციის მიზეზი, რომელიც უკვე მენტალურად ზის ქართველი ადამიანის ბუნებაში. ვაკელ თუ ვერელ "ინტელიგენტ" სნობს უწინდელმა ხელისუფლებამ უთხრა, რომ ის გამორჩეულია, ამიტომ - პრივილეგირებული (სხვათა შორის, დღევანდელი ხელისუფლების ზიგიერთი წევრიც აგრძელებს ამ ტენდენციას). ამ "სვეცკი" სნობმა რაიონელს უთხრა, რომ თბილისელობა ყველაზე დიდი ტიტულია ამ ქვეყანაში. ამიტომ, სოფლიდან ჩამოსული ადამიანი თავს უფლებას აძლევს, ჯერ ისევ რაიონში მაცხოვრებელს უკვე ზემოდან შეხედოს. აი, რაც შეეხება ქართველობას, ეს საყოველთაო პლუსია. ჩვენ უძველესი ერი ვართ, "ვეფხისტყაოსნის" მემკვიდრენი და, რაც ყველაზე მთავარია, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ფაქტი არაფრით არის დაზუსტებული, ყველა ქართველის ცნობიერებაში მაინც ზის და ზოგიერთს იმის "უფლებასაც აძლევს", ნებისმიერი სხვა ერისა თუ ქვეყნის წარმომადგენელს ზემოდან შეხედონ.

ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ცდილობს, კიდევ ერთხელ არსებობის ახალი ეტაპი დაიწყოს, დავიჯეროთ, რომ გამორჩეულები მხოლოდ ჩვენი საქმით თუ ცხოვრებით უნდა ვიყოთ და არა წარმომავლობით თუ საცხოვრებელი ბინის ადგილმდებარეობით. ქალაქელობა კი არავითარი პრივილეგია არ არის. რაც შეეხება ქართველობას - ნამდვილად ვართ უძველესი ერი და ეს სასიხარულოა, მაგრამ ვართ თუ არა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, ეს არავინ იცის, და სინამდვილეში რომც ვიყოთ, ეს არაფრით იძლევა იმის საბაბს, რომ ვინმეს ზემოდან შევხედოთ და თავი გამორჩეულ ერად ვიგრძნოთ. დღევანდელ დღეს საამისო საბაბი ნამდვილად არ გვაქვს.

მოკლედ

# პენალტისტი


არგენტინელებმა რონალდო სამჯერ მოცელეს

**ბრაზილია - არგენტინა 3:1**

**ბრაზილია:** *დიდა - კაფუ, ჟოანი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი - ედმილსონი, ზე რობერტო, ჟუნინიო (ჟულიო ბაპტისტა 74`), კაკა (ალექსი 74`) - ლუიშ ფაბიანო, რონალდო.*
**არგენტინა:** *პაბლო კავალერო - ფაკუნდო კიროგა, ვალტერ სამუელი, გაბრიელ ჰაინცე, ხავიერ ძანეტი - ხავიერ მაჩერანო, ხუან პაბლო სორინი, ლუის გონსალესი (პაბლო აიმარი 60`), კრისტიან გონსალესი - სეზარ დელგადო (მაურო როსალესი 36` (ხავიერ სავიოლა 60`)), ერნან კრესპო.*
**მსაჯი:** *ოსკარ რუისი (კოლუმბია).*
**გოლები:** *1:0 რონალდო (16` პენ.), 2:0 რონალდო (68` პენ.), 2:1 სორინი (79`), 3:1 რონალდო (90` პენ.).*
**გაფრთხილება:** *კაფუ, ზე რობერტო, კაკა - მაჩერანო, აიმარი, ძანეტი, კავალერო.*

ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს. სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ეტაპის ცენტრალურ შეხვედრაში პენტაკამპეონებმა 3:1 მოუგეს თავის უმთავრეს მეტოქეს, არგენტინის ნაკრებს. პენალტების ჰეთ-თრიკი რონალდომ შეასრულა. საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც მე-80 წუთზე სორინმა ანგარიში გაათანაბრა, მსაჯმა უკვე ბოლო და დამატებულ წუთებზე (86-ე და 90-ე) კიდევ ორი პენალტი დანიშნა არგენტინელთა კარში. ბრაზილიელთა ფორვარდმა ორივე შანსი გამოიყენა.

რონალდოს ყოველთვის ბევრი გოლი გაჰქონდა, ხოლო მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე კორეასა და იაპონიაში "კიჟა" ტურნირის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. არგენტინასთან კი ნიჭიერი ფორვარდი პენალტების შესრულებით იქცევდა თავს. თუმცა, ერთ მატჩში რომ სამი პენალტი გაეტანოს, რონალდოს ასეთი შემთხვევა მანამდე არ ჰქონია.

ასეთი უცნაური ჰეთ-თრიკის მთავარი დამკვეთი მატჩის არბიტრი გახდა. რონალდომ კი სამივეჯერ თავი გამოიჩინა და გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. პირველად, შეხვედრის მე-17 წუთზე, რონალდო საკუთარ საჯარიმოში წააქცია გაბრიელ ჰაინცემ. "კიჟამ" კი აუღელვებლად გაიტანა კოლუმბიელი მსაჯის ოსკარ რუიზის მიერ ბოძებული პენალტი. მეორედ, თამაშის 68-ე წუთზე, უკვე ხავიერ მაჩერანომ წააქცია რონალდო. შედეგი ამჯერადაც პირველის ანალოგიური იყო - 2:0. მსაჯის მიერ მეექვსე დამატებულ წუთზე კი უკვე ბრაზილიელი ფორვარდი მოცელა მეკარე პაბლო კავალერომ და საკუთარ კარში მესამე გოლი მიიღო. სტუმართა მხრიდან ერთადერთი საპასუხო გოლი ხუან პაბლო სორინმა გაიტანა 79-ე წუთზე.

ბრაზილიელთა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პერეირამ მაღალი შეფასება მისცა რონალდოს თამაშს. "რონალდო მსოფლიო ფეხბურთის საუკეთესო თავდამსხმელია და, საბედნიეროდ, ის ბრაზილიის ნაკრებში თამაშობს", - განაცხადა კარლოს ალბერტო პერეირამ.

მადრიდის "რეალის" ფორვარდის მაღალი კლასი აღიარა არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა მარსელო ბიელსამაც: "რონალდო დღეს იმ ფეხბურთელად მოგვევლინა, რომელმაც განსაზღვრა კიდეც თამაშის მსვლელობა". ბიელსამ არც მსაჯის მიერ სამჯერ დანიშნულ თერთმეტმეტრიანებზე ილაპარაკა, თუმცა აღნიშნა, რომ ფორტუნას შეეძლო უფრო ლმობიერი ყოფილიყო მისი შეგირდების მიმართ.

რაც შეეხება თამაშს, პირველ ტაიმში არგენტინის ნაკრები დომინირებდა. არგენტინელები მინდორზე იმდენად კარგად განლაგდნენ, რომ იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ისინი მოედანზე მეტნი იყვნენ. ბრაზილიელებს განსაკუთრებით დაცვაში თამაში უჭირდათ. მასპინძლები არც თავდასხმაში ბრწყინავდნენ, მაგრამ ფორტუნა იმ დღეს აშკარად მათ მხარეს იყო. მატჩის შემდეგ კარლოს ალბერტო პერეირამაც აღნიშნა, რომ "ზონა, სადაც მთავარი პრობლემები იქმნებოდა თავდასხმა იყო". თუმცა, ბრაზილიელთა მწვრთნელი შედეგით აღფრთოვანებული დარჩა.

"ეს შესანიშნავი გამარჯვება და უაღრესად რთული მატჩი იყო, - განაცხადა პერეირამ, - პენალტები სავსებით დამსახურებულად დაინიშნა. თუმცა, შეიძლებოდა, კიდევ რამდენიმე დანიშნულიყო".

სამხრეთ ამერიკულ ზონაში შესარჩევი ციკლის სხვა მატჩში ეკვადორის ნაკრებმა - 2:1 დაამარცხა კოლუმბიის გუნდი. ამრიგად, ექვსი ტურის შემდეგ გათამაშებას 12 ქულით ბრაზილიის ნაკრები ლიდერობს. არგენტინა 11 ქულით სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზეა.

შეგახსენებთ, რომ გერმანიაში 2006 წლის მსოფლიო პირველობაზე პირდაპირ 4 გუნდი გადის - ანუ, ამ დროისთვის ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებ გუნდებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე ჩილესა (10 ქულა) და პარაგვაის (10 ქულა) ნაკრები გუნდები მიდიან. თუმცა, მათ ფეხდაფეხ მისდევენ ვენესუელა (9 ქულა) და პერუ (8 ქულა). აღსანიშნავია, რომ ბრაზილია ერთადერთი გუნდია სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ტურნირში, რომელსაც ჯერ მარცხი არ უწნევია, ხოლო რონალდო 6 გოლით სათავეში უდგას ბომბარდირთა სიას.

# პეპე კარსელენი: "მე შინ ვბრუნდები"

**ინტერვიუ კამაჩოს "მარჯვენა ხელთან"**

*მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ხოსე ანტონიო კამაჩოს დანიშვნა იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი შინ ბრუნდება. კამაჩოს კარიერა სწორედ სამეფო კლუბში დაიწყო და სწორედ აქ გახდა ის დიდი ვარსკვლავი.*
*კამაჩოსთან ერთად "რეალს" კიდევ ერთი "შვილი" უბრუნდება. ხოსე პოდენას "პეპე" კარსელენი - ადამიანი, რომელმაც "რეალის" ბავშვთა გუნდში აიდგა ფეხი, რომელიც 1992-1994 წლებში ბენიტო ფლოროს თანაშემწე იყო სამეფო კლუბის მწვრთნელის პოსტზე. ამის შემდეგ "რეალის" და კარსელენის გზები გაიყო, მაგრამ არა - კამაჩოს და კარსელენის გზები. ისინი ერთად თამაშობდნენ სამეფო კლუბის ბავშვთა გუნდში, ერთად მოღვაწეობდნენ "ესპანიოლში"; კამაჩო მთავარი მწვრთნელი იყო, კარსელენი კი მისი თანაშემწე. შემდეგ იყო ესპანეთის ნაკრები, ლისაბონის "ბენფიკა". კამაჩო და კარსელენი ყოველთვის განუყრელ მეგობრებად რჩებოდნენ.*
*ახლა კი ორივენი შინ ბრუნდებიან - კამაჩო მთავარი მწვრთნელია,*
*"პეპე" კარსელენი კი - კვლავინდებურად, მისი მარჯვენა ხელი...*


"პეპე" კარსელენი "რეალს" დაუბრუნდა

**- როგორი რეაქცია გქონდათ, როდესაც გაიგეთ, რომ "რეალში" დაბრუნების შანსი გეძლეოდათ?**

- უდიდესი სიხარული. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩემს კარიერაში. ეს არის იმ კურსის გაგრძელება, რომელსაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ატარებს კლუბი. ესპანეთის ნაკრებსა და "ბენფიკაში" მუშაობის შემდეგ ესპანეთში დაბრუნება და მსოფლიოს საუკეთესო კლუბში მოღვაწეობა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელსაც ჩვენ უდიდესი სერიოზულობით ვეკიდებით.

**- თქვენი დაბრუნება თქვენს შინ დაბრუნებას ნიშნავს.**

- დიახ, ეს შინ დაბრუნებაა. აქ მე მაშინ ვიმყოფებოდი, როდესაც ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ხოსე ანტონიო კამაჩოსთან ერთად "რეალის" ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი. ძალიან გამიმართლა, როდესაც შემდეგ ბენიტო ფლოროს ასისტენტი გავხდი. შემდეგ კი კამაჩოს თანაშემწე გახლდით 21 დღის განმავლობაში, მაგრამ მაშინ ჩვენ გუნდში ერთი ვარჯიშის ჩატარებაც კი ვერ მოვასწარით. და აი, ახლა მე ვბრუნდები დიდი სიხარულით და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით. წინ უაღრესად საინტერესო სამუშაო მელის, რომელსაც დიდი ნაყოფის გამოღება შეუძლია.

**- კლუბში, ალბათ, ბევრი ცვლილება შენიშნეთ.**

- ცხადია. 11 წელია, რაც აქ არ ვყოფილვარ. ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ჩვენც შევიცვალეთ... იმედი მაქვს, კარგისაკენ.

**- თქვენ როგორ შეიცვალეთ?**

- ჩვენ უფრო გამოცდილები გავხდით. სხვადასხვა ადგილზე და განსხვავებულ პირობებში მუშაობა ყოველთვის გმატებს გამოცდილებას, მით უმეტეს - ესპანეთის ნაკრებში და "ბენფიკაში" გატარებული დრო. ნაკრებში მუშაობისას იღებ უდიდეს გამოცდილებას, რასაც ვერც ერთ გუნდში ვერ მიიღებ. ნაკრები ხომ მუდამ უმაღლესი დონის ტურნირებში მონაწილეობს, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში... ძალიან სასარგებლო იყო "ბენფიკაში" მუშაობაც. "ბენფიკა" ხომ, დაახლოებით, ისეთივე მასშტაბის გუნდია პორტუგალიაში, როგორიც "რეალი" ესპანეთში.

**- ანუ - "ბენფიკა" პორტუგალიური "რეალია"?**

- დიახ. იქ ცხრანახევარი მილიონი ადამიანი ცხოვრობს და აქედან ექვსი მილიონი "ბენფიკას" გულშემატკივრობს. "ბენფიკას" ქომაგები ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში არიან; ამ გუნდის თამაშებზე სტადიონები ყოველთვის ივსება, პრესა მთელ ყურადღებას სწორედ ამ კლუბს უთმობს. ერთ მაგალითს მოვიყვან: პორტუგალიაში "ბენფიკასა" და რომელიმე ლუქსემბურგული კლუბის ამხანაგური მატჩი ბევრად უფრო აინტერესებთ, ვიდრე - უეფა-ს თასის შეხვედრები. ხოლო ასეთი გარემო გეხმარება, რომ გაიზარდო როგორც მწვრთნელი.

**- თქვენ კარგად იცნობთ ხოსე ანტონიო კამაჩოს. როგორია ის?**

- ის ძალიან თავშეკავებული ადამიანი და საიმედო მეგობარია; ძალიან სერიოზულია მეგობრულ ურთიერთობაშიც კი; პროფესიონალიზმის თვალსაზრისით კი, ის ძალიან გაიზარდა. ბევრი ფიქრობს, რომ კამაჩო ზედმეტად იმპულსურია, მაგრამ ეს არ არის მართალი. ხოსე ყველაფერს კარგად აანალიზებს, ყველაფერს კარგად უფიქრდება და ნებისმიერ მომენტში შესანიშნავად იცის, რა სურს. ყველაზე მეტად მას გუნდის თამაშის ორგანიზებაზე მუშაობა უყვარს. მისი მთავარი ამოცანა ყოველთვის ის არის, რომ მოთამაშეებს ნებისმიერ მოედანზე, ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან გამარჯვების სურვილი ჩაუნერგოს. მას გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთ კლუბში მუშაობისას, რომელის მუდამ გამარჯვებისთვის იბრძვის.

**- გულშემატკივრებს სურთ, იცოდნენ, თუ როგორ ითამაშებს გუნდი. ამბობენ, რომ დიდი ცვლილებები არ იქნება - ოთხი მცველი, ორი საყრდენი...**

- ეს არ არის მართალი. ხშირად გამიგონია, რომ კამაჩო 4-2-3-1 სქემით თამაშობს, მაგრამ ამას ვერ დავეთანხმები. ყველაფერი მეტოქეზე, საკუთარ მდგომარეობაზეა დამოკიდებული - იმაზე, თუ რისი გაკეთება გსურს გარკვეულ მომენტში... შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში "ბენფიკას" სათამაშო სქემა მუდამ იცვლებოდა. ეს ხშირად ხდებოდა თავად მატჩის მსვლელობის დროსაც. ჩვენ ვიწყებდით 4-2-3-1 სქემით, შემდეგ გადავდიოდით 4-3-3 სქემაზე, შემდეგ 4-4-2... ყველაფერი გარემოებებზეა დამოკიდებული.

**- როგორ შეაფასებდით თქვენს ამჟამინდელ გუნდს?**

- ამ გუნდმა აჩვენა, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. ახლა ჩვენ უნდა გავარკვიოთ, სჭირდება თუ არა მას გაძლიერება. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი და მწვრთნელი ჩათვლიან, რომ გუნდი ახალი ფეხბურთელების დამატებას საჭიროებს, მაშინ ჩვენ ამ მოთამაშეების ძებნას დავიწყებთ.

**- პირველი შენაძენი ვალტერ სამუელია. როგორ დაახასიათებთ ამ ფეხბურთელს?**

- დასკვნების გაკეთება, უმთავრესად, "რომასა" და არგენტინის ნაკრებში მისი თამაშიდან გამომდინარე მიწევს. ყველა ამბობს, რომ ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია. ამიერიდან ჩვენ მას იმის მიხედვით შევაფასებთ, თუ როგორ იმუშავებს ის ვარჯიშისას და როგორ ითამაშებს "რეალის" შემადგენლობაში. ვამჯობინებ, რომ ფეხბურთელი მაშინ შევაფასო, როდესაც მას პირადად ვიცნობ. თითოეული ფეხბურთელი, რომელიც გუნდში მოდის, საუკეთესოა მსოფლიოში. მთავარია, ამ ფეხბურთელებმა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ.

**- რა არის თქვენი იდეალი: ყველაფრის მოგება, კარგად თამაში...?**

- იდეალი ყველაფრის მოგება და, ამავდროულად, კარგად თამაშია, მაგრამ ეს უტოპიაა. ჩვენ შევეცდებით, რომ გუნდმა თამაშებისა და ტიტულების მაქსიმალური რაოდენობა მოიგოს და შევეცდებით, რომ ის კარგად თამაშობდეს დაცვაშიც და შეტევაშიც. ამისათვის კი ბევრი შრომაა საჭირო, თითოეული მოთამაშის თავდაუზოგავი შრომა. ჩვენ ორი ვარიანტი გვაქვს: ან ყველანი პირველივე დღიდან თავდაუზოგავად ვიშრომებთ, ან კიდევ არაფერიც არ გამოვა. მესამე გამოსავალი არ არსებობს. ყოველდღიური შრომა ფუნდამენტია დასახული მიზნების მისაღწევად.

**- როგორ აღიქვამს პირადად ხოსე კარსელენი ამ გამოწვევას - მადრიდის "რეალის" პირველი გუნდის მწვრთნელობას?**

- ამ გამოწვევას უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდები. მადრიდის "რეალს" ყველა იმ ტიტულის მოპოვება სურს, რომელთა მოსაპოვებლადაც იბრძვის. მე ეს მესმის და ჩვენ ამ მიზნების მისაღწევად ვიმუშავებთ.

მოკლედ

## "ვია გრაში" მატებას ელიან

პოპულარული უკრაინული ტრიოს "ვია გრას" შემადგენლობში ცვლილებაა. წითური სექს-ბომბა ანა სედოკოვა, ორსულობის გამო, იძულებული გახდა, ანსამბლიდან წასულიყო, რათა ოჯახური ცხოვრებისთვის მზადებას შედგომოდა. თბილისელებისთვის კარგად ნაცნობი წითური გოგონას ადგილზე, ვერ გეტყვით, დროებით თუ სამუდამოდ, აიყვანეს ვინმე სვეტლანა ლობოდი. რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, ისიც კარგი ვინმე იქნება. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - მერე ჩვენ რა? რა და, ის, რომ ქართველთათვის, და არა მარტო, ერთ-ერთი სანატრელი ქალის შვილის მომავალი მამა კიევის "დინამოს" 31 წლის ნახევარმცველი ვალენტინ ბელკევიჩია და არამც და არამც - შავი სამყაროს ავტორიტეტი ალექსანდრ ლიშჩენკო, რომელმაც ახლახან მზეთუნახავ ვიაგრელს კიევში ბინა უყიდა.

სხვათა შორის, ბელკევიჩი ათი წლის განმავლობაში სარეცელს იყოფდა თანაქალაქელ ვინმე ქალბატონ ლესიასთან. ამბობენ, - ლესიაც არანაკლები იერსახისა თუ აღნაგობისაა, ისეთი - კაცები რომ შეჰნატრიანო. მაგრამ, პრობლემა ისაა, რომ ბელკევიჩის ყოფილ თანამეცხედრეს სიმღერა არ ეხერხება. თანაც, ბოლო დროს ლესიასა და ვალენტინს ურთიერთობა ისე აღარ გამოსდიოდათ, როგორც ადრე. ამიტომაც, ფეხბურთელის სპორტულ "მერსედესში" სულ მეტად ამჩნევდნენ წითურ ანიას.

მიუხედავად ამისა, "ვია გრას" პროდიუსერი დმიტრი კოსტიუკი დღემდე უარყოფს იმ ფაქტს, თითქოს, წითურ ანას შემცვლელი მოუძებნეს. ჯგუფის პრესსამსახურში კი აცხადებენ, - სედოკოვა გაციებულია და მისგან კომენტარები ამიტომაც არ ისმის; ეგაა და ეგო.

## მუშტი ცოლისკენაც გარბის

კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ნახევრად საშუალო წონის ბრიტანელი ჩემპიონი ჯო კალზაგე მეუღლე მენდისთან კამათის შემდეგ სამართალდამცველებს თავისთან გაუქანებიათ. მართალია, ათწლიან თანაცხოვრებას აპრილში დაესვა წერტილი, მაგრამ ამჟამად უკვე ექს-მეუღლეები მაინც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და, ბუნებრივია, დღის განმავლობაში არაერთხელ უწევთ ერთმანეთთან შეხვედრა. ერთად კი იმიტომ არიან, ამბობენ, - სამი შვილი გვყავს და მათი გულისთვის ერთმანეთს როგორმე კიდევ გავუძლებთო.

32 წლის მოკრივე მას შემდეგ დააკავა პოლიციამ, როდესაც 33 წლის ყოფილმა ცოლმა ჩემპიონი სხეულის დაზიანებასა და სხვადასხვა მუქარაში დაადანაშაულა. თუ დაეჯერება ტაბლოიდურ The Sun-ს, ყველაფერი ასე ყოფილა.

განყოფილებაში მიყვანილი კალზაგე დიდი ხნით არ დაუყოვნებიათ, - არა იმიტომ, რომ ჩემპიონია და პატივს ვცემთ, არამედ მოსამართლის გადაწყვეტილებამდე თავდებით ვათავისუფლებთო. არადა, ცუდ დროს დაემთხვა ეს დავიდარაბა ბრიტანელ მოკრივეს. არ უნდა იყოს სასიამოვნო ამგვარ ვითარებაში აღმოჩენა, მაშინ, როდესაც რინგზე ხარ გასასვლელი - ხვალ მანჩესტერში კალზაგეს ამერიკელ გლენგოფ ჯონსონის წინააღმდეგ უწევს შერკინება.

და მაინც, თუ მეუღლის მიერ წაყენებული ბრალდებები დამტკიცდება, მაშინ ორგანიზაციის ჩემპიონს საკრივო ლიცენზიის ჩამორთმევა ელის.

## ევრო 2004-ის პირველი დაზარალებული

დღემდე საფეხბურთო ევროპის ჩემპიონატები დადებით მოვლენად ფასდებოდა - სპორტი, ჯანსაღი ცხოვრების სტილი და ათასი რამ. მაგრამ, ამიერიდან მსოფლიოს მოევლინა ადამიანი, რომელსაც ევრო-2004-ში კარგი არაფერი უნახავს, ცუდი კი - იცოცხლეთ.

ეს კაცი ტაილანდში ცხოვრობს ანუ, თუ პორტუგალიელთათვის - დედამიწის მეორე მხარეს. თუ ვინაა ეს ადამიანი, ამის შესახებ ცნობილი არაა, მხოლოდ იმ მარტივი მიზეზით, რომ თავად არ ისურვა ვინაობის გამხელა. ცნობილია, რომ ბანგკოკელია. მაინც, რას ერჩის ეს კაცი ევრო-2004-ს. საქმე ისაა, რომ ჩვენთვის უცნობმა კაცმა ბანგკოკში ერთ-ერთ მაღლივ სავაჭრო ცენტრთან მანაქანა გააჩერა (მანქანა BMW-ს მარკისა გახლდათ, თან- ახალი); გადავიდა მანქანიდან, სავაჭრო ცენტრში საქმეზე შევიდა და...

რომ არა ის შემთხვევა, ეს უცნობი, ალბათ, ბოლომდე უცნობად დარჩებოდა. არადა, როდესაც ტაილანდელი სავაჭრო ცენტრიდან გამოვიდა, ახალი მანქანის ნაცვლად, გიგანტური საფეხბურთო ბურთით მიწასთან გასწორებული ავტომობილი აღმოაჩინა. როგორც შემდეგ გაირკვა, ქარის ბრალი ყოფილა, რომელმაც სწორედ იმ სავაჭრო ცენტრის კენწეროზე მოთავსებული უზარმაზარი სარეკლამო ბურთი შეარყია... ამოქმედდა ფიზიკის კანონი და ბურთი მიწაზე, უფრო სწორედ, მანქანაზე დაეცა.

გაჩნდა პირველი ადამიანი, რომელიც ევრო-2004-ს "ტკბილად" მოიგონებს. ისე, კიდევ კარგად გადარჩა - ღმერთს უნდა უმადლოდეს, რომ ბურთის ვარდნისას მანქანაში არ იჯდა, თორემ მას ვერც თავით მოიგერიებდა და ვერც მკერდზე მიიღებდა.

ფეხბურთი

# როგორ გაამართლებს ევრო-2004

რამდენიმე დღეც და პორტუგალია ევროპის ფეხბურთის ჩემპიონატის კარს შეაღებს. ბუნებრივია, ჩემპიონატამდე ისმის კითხვები - რომელი მატჩი იქნება ყველაზე მიმზიდველი; რომელი მოახდენს გულშემატკივრებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას და, რაც მთავარია, ვინ გახდება კონტინენტის უმთავრესი ტიტულის მატარებელი. არადა, ვიდრე ერთნი ამაზე მარჩიელობენ, მავანნი იმაზე ფიქრობენ, შეძლებენ კი პორტუგალიელები, რომ ღირსეულად უმასპინძლონ ევროპის ჩემპიონატს? ახლა, ნაკლებად რომ ვინმემ გაიხსენოს, თუ რას ამბობდნენ მაშინ, როდესაც პორტუგალიას ევროპის უმთავრესი ასპარეზობის მასპინძლობის უფლება მისცეს. თქმით კი იმას ამბობდნენ, - პორტუგალიის ეკონომიკას ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა წელში გაწყვეტს ან საკმაოდ დიდ დაღს მაინც დაასვამსო. კერძოდ, ოპონენტების თქმით, ჩემპიონატის სამასპინძლოდ საჭირო მრავალმილიონიანი გასავალი ქვეყნის ეკონომიკას სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებს.

სხვათა შორის, შვიდი ახალი სტადიონის ასაგებად და სხვა რიგი საჭიროებებისთვის 596 მილიონი ევრო ყოფილა გაღებული. მოწინააღმდეგეები კი აცხადებენ, რომ უმჯობესი იქნებოდა, ეს ფული საავადმყოფოების მშენებლობებისთვის და სხვა საზოგადოებრივი აუცილებლობებისთვის დახარჯულიყო. აქვე აღვნიშნოთ, რომ ამგვარი სურათი ჩვეულია პატარა ქვეყნისთვის. ასეთივე ვითარებაა საბერძნეთშიც, რომელიც 13-29 აგვისტოს ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. თუმცაღა, ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ დახარჯული ფული, ბევრი პორტუგალიელის აზრით, ქარსაა გატანებული. ამასვე აცხადებს ლისაბონური კომპანიის Siscog-ის პრეზიდენტი ერნესტ მორგადუ და დასძენს: "მაგრამ, იმავდროულად, ფეხბურთი ჩვენი ეროვნული მისწრაფებაა; ყველა ამაყობს ჩვენი ნაკრებით. ადრე პორტუგალიელებს ნაკლებად სჯეროდათ საკუთარი შესაძლებლობების. ყოველთვის ზედმეტად მკაცრად ვაფასებდით საკუთარ ძალებს. ვიმედოვნებ, რომ ევრო-2004 დაგვეხმარება იმის შეცნობაში, რომ შეგვიძლია გავაკეთოთ ის, რაც გვსურს - თუ, რა თქმა უნდა, ამას თავადვე დავიჯერებთ".

ბანკი BNP Paribas ერთ-ერთი თანამშრომელი კი თვლის, რომ დაქვეითებული თვითშეფასება წარსულის ბრალია: "აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი ხნის განმავლობაში პორტუგალიაში დიქტატურა იყო და ჯერ კიდევ 70-იან წლებში ქვეყანაში რეალურად არსებობდა კომუნისტური პუტჩის საფრთხე... ისე კი, პორტუგალიელები ძალზე სტუმართმოყვარე ხალხია და ჩემპიონატიც კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე".

პორტუგალიის ხელისუფლების შეფასებით კი, წელს, ჩემპიონატზე ჩამოსული გულშემატკივრების შემწეობით, ქვეყანა 260-მილიონიან მოგებას მიიღებს. ექვს წელიწადში კი ქვეყანა ტურიზმიდან კიდევ 360-მილიონიან მოგებას ნახავს.

გაამართლებს თუ არა ჩემპიონატი ეკონომისტთა იმედებს, ამას დრო აჩვენებს. მანამდე კი ყველა ფეხბურთის მოლოდინშია.

ჩოგბურთი

# ოკუპაცია

საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე ჩოგბურთში, ვაჟთა თანრიგში ყველა ნახევარფინალისტი გამოვლინდა. უძლიერეს ოთხეულში ერთბაშად ოთხი არგენტინელი ჩოგბურთელი გავიდა - გასტონ გაუდიო, გილიერმო კორია და სომხური წარმოშობის არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი. მეოთხე, არგენტინელთა გარემოცვაში, მეცხრე ნომრად განთესილი ბრიტანელი ტიმ ჰენმანი აღმოჩნდა.

სხვა უძლიერესი ჩოგბურთელები - შვეიცარიელი როჟე ფედერერი, ესპანელი ხუან კარლოს ფერერო, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი და სხვები - ტურნირს ადრეულ ეტაპებზე გამოეთიშნენ. ამიტომ, გადამწყვეტ სტადიაში ტურნირს ტონს, ძირითადად, სწორედ არგენტინელები აძლევენ. პრინციპში, საოცარიც არაფერია, რომ უძლიერეს კვარტეტში დიეგო მარადონას სამი თანამემამულე აღმოჩნდა.


ნალბანდიანი ნახევარფინალშია

პირველი ორი ნახევარფინალისტის ვინაობა ჯერ კიდევ სამშაბათს გახდა ცნობილი. ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა მეოთხედფინალში სამ სეტში დაამარცხა კიდევ ერთი არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა. გილიერმო კორიამ კი ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე დაძლია ესპანელი კარლოს მოიას წინააღმდეგობა. დღეს პირველ ნახევარფინალურ წყვილს სწორედ ჰენმანი და კორია შეადგენენ.

აღსანიშნავია, რომ ჰენმანი პირველი ბრიტანელია, რომელმაც უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში, საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა მოახერხა. ჰენმანის შედეგი უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე მისი ბაბუის - ჰენრი ბილინგტონის, რომელმაც 1939 წელს საფრანგეთის ღია ჩემპიონატი მეოთხედფინალურ სტადიაში დაასრულა. ხოლო იმ მომენტიდან, რაც საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე სათამაშოდ უცხოელებიც დაუშვეს, ნახევარფინალში მხოლოდ 5 ბრიტანელი გავიდა და მხოლოდ ერთმა - ფრედი პერიმ, 1935 წელს, მოახერხა ტურნირის მოგება. ტუმცა, ჰენმანისთვის, ვისაც ბალახის კორტებზე თამაში ურჩევნია და უკეთ გამოსდის, ფრედი პერის შედეგის განმეორება რთული იქნება, რადგან ნახევარფინალურ სტადიაზე მას კორიას სახით გრუნტის ნამდვილი სპეციალისტი ელოდება.

ოთხშაბათს კი მეორე ნახევარფინალური წყვილი გამოვლინდა. ჯერ კორტზე არგენტინელი გასტონ გაუდიო და ამბიციური ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი გავიდნენ. საინტერესოა, რომ არგენტინელმა, რომელიც ტურნირზე განთესილიც კი არ არის, ადვილად სძლია ერთ დროს პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელს - 6:3, 6:2, 6:2.

მოხერხებული და ზუსტი დარტყმების ნაზავმა სახტად დატოვა ტურნირის მე-12-ე ჩოგანი. არგენტინელმა გამარჯვებას ორ საათზე ნაკლებ დროში მიაღწია და "დიდი სლემის" ტურნირებზე თავის პირველ ნახევარფინალს მიაღწია.

"ამ ტურნირის მოგება ყოველთვის ჩემი ოცნება იყო, - მატჩის შემდეგ განაცხადა გასტონ გაუდიომ, - მაგრამ გამარჯვებისკენ მიმავალი გზა გრძელი და შორეულია. ხოლო დარჩენილი ორი შეხვედრა - ყველაზე უფრო რთული".

"ის ძალიან კარგი იყო, - მეტოქის თამაში კომენტირებისას ამბობს ჰიუიტი, - მე თამაშის ტაქტიკის შეცვლა ვცადე, მაგრამ ბურთს კარგად ვერ ვგრძნობდი".

ამის მიუხედავად, მატჩის შემდეგ ჰიუიტი იმედგაცრუებული არ ჩანდა: "ვფიქრობ, მიუხედავად მარცხისა, ჩემი შესაძლებლობების გამოვლენა მაინც შევძელი. მე შემიძლია, სტელა არტუას ტურნირში მონაწილეობა მივიღო. შემდეგ კი ერთი კვირა მექნება იმისთვის, რომ "უიმბლდონის" ტურნირისთვის უკეთ მოვემზადო," - ამბობს ლეიტონ ჰიუიტი.

ყველაზე გვიან ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ კიდევ ერთი არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი და ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი. 23 წლის, სომხური წარმოშობის არგენტინელი ჩოგბურთელი თამაშის გადამწყვეტ მომენტებში უფრო გაბედული და იღბლიანი იყო. ნალბანდიანმა პირველი და მესამე სეტები მოიგო, მაგრამ მეორე დათმო. დავიდმა მეოთხე პარტიის დებიუტშიც წააგო თავისი მოწოდება. თუმცა, ამის მიუხედავად, 5:4-ზე კუერტენის სასარგებლოდ, ნალბანდიანმა მეტოქეს წაგებული გეიმი აართვა. ტაი-ბრეიკზე ნალბანდიანი ისევ უფსკრულის პირას აღმოჩნდა - 2:5, თუმცა, თამაშის სადავეები კვლავ თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

დღეს მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ნალბანდიანი და გაუდიო შეხვდებიან.

გასტონ გაუდიო (არგენტინა) - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 12) 6:3, 6:2, 6:2

დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 8) - გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 28) 6:2, 3:6, 6:4, 7:6 (8:6)

გილიერმო კორია (არგენტინა, 3) - კარლოს მოია (ესპანეთი, 5) 7:5, 7:6 (7:3), 6:3

ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 9) - ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა, 22) 6:2, 6:4, 6:4

ოლიმპიზმი

# კიმ იუნ იონგი დააპატიმრეს

კორუფციისა და დიდი ოდენობით ფულის მითვისებისთვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი კიმ იუნ იონგი დააკავეს და 2,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

პირველად კიმ იუნ იონგს ბრალდება ამა წლის იანვარში წაუყენეს. მაშინ სამხრეთ კორეის პროკურატურას მის დაკავებაზე ორდერი ჰქონდა გაცემული, მაგრამ 73 წლის ჩინოვნიკი საავამდყოფოში აღმოჩნდა, რადგან გულის შეტევა გადაიტანა.

23 იანვარს კი, ეთიკის კომიტეტის რეკომენდაციით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა უწყებამ კიმ იუნ იონგს გამოძიების დამთავრებამდე ერთხმად მოუხსნა ფუნქციები და ის სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან გაათავისუფლა. კიმ იუნ იონგს ბრალად ედებოდა სამხრეთ კორეაში კორუფციული ქსელის ხლართვა.


სოკ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი კიმ იუნ იონგი 2,5 წელიწადს ციხეში გაატარებს

კიმმა, სხვათა შორის, ამით მხოლოდ სპორტული თანამდებობები კი არ დაკარგა, არამედ - თავისი ქვეყნის პარლამენტარის უფლებამოსილებანიც. თავის დროზე ბრალდებული კორეის ნაციონალური ყრილობის წევრი იყო; ხელმძღვანელობდა ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს და ტაეკვანდოს კორეისა და მსოფლიო ფედერაციებს. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში კორეის ამ სპორტის საბრძოლო სახეობას დებიუტი ჰქონდა 2000 წლის სიდნეის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე.

კორეელი ჩინოვნიკი სეულის საოლქო სასამართლომ ჯერ კიდევ შარშან გამოიძახა დაკითხვაზე. სამართალდამცავებს აინტერესებდათ, სად წავიდა და როგორ დაიხარჯა ის ფული, რომელიც კერძო კორპორაციებმა, შემოწირულობების სახით, ტაეკვანდოს მსოფლიო ფედერაციას გადაურიცხეს. გამომძიებელთა თქმით, მათ ჰქონდათ მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ კიმ იუნ იონგმა მიითვისა სპორტის ამ სახეობისთვის განკუთვნილი შემოწირულობების ნაწილი, რომელიც მილიონებს უდრიდა.

კიმ იუნ იონგი იმაშიც იყო ეჭვმიტანილი, რომ კორეის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობის პერიოდში, ქრთამის სახით აღებული 110 ათასი დოლარის საფასურად, 2001 წელს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრად მიიღო ამჟამად ციხეში მჯდომი ბიზნესმენი. ოდნავ უფრო გვიან, ასეთივე სქემით, ოღონდ ამჯერად 330 ათას დოლარად, კორეის ოლიმპიურ კომიტეტს შეემატა "საქმიანი წრეებიდან" გამოსული კიდევ ერთი წევრი.

კიმ იუნ იონგს, ასევე, მოუხდა პასუხი გაეცა კითხვაზე, საიდან აღმოჩნდა მის პირად სეიფში უცხოური ვალუტა - დოლარი, ევრო და იაპონური იენი, 1,5 მილიონი დოლარის საერთო ღირებულებით. ეს თანხა პოლიციამ ჩინოვნიკის ბინის ჩხრეკისას შარშან, 10 დეკემბერს აღმოაჩინა. კიმ იუნ იონგს ბრალად ისიც დასდეს, რომ, მისი შვილების დახმარებით, ქვეყნიდან გაიტანეს მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების მყარი ვალუტა.

დაკითხვისას ბრალდებულმა აღიარა, რომ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორი წევრისგან ფული აიღო, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს, რომ ეს ქრთამი იყო. ამის მიუხედავად, ხუთშაბათს სეულის საოლქო სასამართლომ მოხუც ჩინოვნიკს, კორუფციაში მხილებისა და დიდი ოდენობით თანხის მითვისების გამო, 2,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამას გარდა, კიმ იუნ იონგი ვალდებულია, ჯარიმის სახით, 673 ათასი დოლარი გადაიხადოს. პროკურორი 7 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ კიმ იუნ იონგმა ტაეკვანდოს მსოფლიო ფედერაციისა და სხვა სპორტული ორგანიზაციების ფონდებიდან, რომლებსაც ის ხელმძღვანელობდა, 3,3 მილიონი დოლარი მიითვისა. მან ბიზნესმენებისა და სპორტული ჩინოვნიკებისგან უკანონოდ 700 ათასი დოლარიც მიითვისა.

73 წლის კიმ იუნ იონგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირია, რომელიც ამ ორგანიზაციიდან გაათავისუფლეს. თავის ქვეყანაში კი მას ვერ აპატიეს, რომ 2002 წლის თამაშების დროს მან კორეელი სპორტსმენები მსაჯების თავნებობისგან ვერ იხსნა.

მოკლედ

# რედნაპს ცოლი ჰყოლია...


ესეც რედნაპის მომხიბვლელი ქალბატონი

იცით, ვინაა ათწლეულის ყველაზე სექსუალური ქალბატონი ჟურნალ FHM ვერსიით? ვინ და - ლუიზა რედნაპი. ლონდონური "ტოტენჰემის" ფეხბურთელის ჯეიმი რედნაპის მეუღლე. აქვე აღვნიშნოთ, რომ გამოკითხვისას რედნაპის მეუღლემ გაუსწრო ისეთ გულთა მპყრობელებს, როგორებიც არიან - კაილი მონოუგი, დიდმკერდა პამელა ანდერსონი და ტოპ მოდელი კარმენ ელექტრა. ისე, ცოტა მოულოდნელიც კია ლუიზა რედნაპისთვის ამგვარი დაწინაურება. საქმე ისაა, რომ წლის ყველაზე სექსუალურ ქალბატონთა ნუსხაში, რომელიც, ასევე, FHM-მა მიმდინარე წლის მარტში გამოაქვეყნა, რედნაპის მეუღლემ მე-17 ადგილი დაიკავა. საგულისხმოა, რომ ლუიზასთვის ამგვარ კონკურსებში მონაწილეობა, თუ ყურადღების ცენტრში ყოფნა უცხო არაა. 1994 წლიდან მოყოლებული ლუიზა რედნაპი ჟურნალის მიერ მოწყობილი ყოველწლიური კონკურსების მონაწილეა. ახლა კი, შეიძლება ითქვას, ლუიზამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა - რედნაპის ცოლს ათწლეულის უმთავრესი ჯილდო გადაეცა. ეს მაშინ, როდესაც ბოლო ხანებში ლუიზა რედნაპმა შოუ ბიზნესს მეტ-ნაკლებად ჩამოშორდა და მისი სურათების სამოდელო ჟურნალებში ხილვაც უფრო იშვიათობა გახდა. საქმე ისაა, რომ აგვისტოში რედნაპების ოჯახში მატებას ელიან.

რაც შეეხება ჟურნალის დანარჩენ რჩეულებს, მასში ოთხი ამერიკელი, სამი ინგლისელი, ორი ავსტრალიელი და ერთიც კანადელია. ლუიზა რედნაპს კი შესაბამისი თანმიმდევრობით ჩამორჩნენ - კამერონ დიასი, კაილი მინოუგი, პამელა ანდერსონი, კარმენ ელექტრა, კელი ბრუკი, ჯენიფერ ანისტონი, დენი მინოუგი და ბრიტნი სპირსი. მეათე ადგილზე კი ფოტომოდელი ჯორდანია, რომელიც იმითაცაა ცნობილი, რომ არაერთ ფეხბურთელთან თუ ფორმულა 1-ის პილოტთან ჰქონია ინტიმური ურთიერთობები თუ თავგადასავლები.

TV-სპორტი

## პარასკევი. 4 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1977. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. PHILADELPHIA 76 ERS- HOUSTON ROCKETS. მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "შალკე"
15:00 FUTBOL MUNDIAL
15:30 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია - არგენტინა
17:15 თავისუფალი დარტყმა
17:30 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
18:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
18:30 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი "ლივერპული" - "ჩელსი"
20:15 "გამჟღავნება"
20:45 "დარტყმა გოლისთვის"
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:05 თავისუფალი დარტყმა
21:20 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. "მონაკო" - "პორტუ"
23:50 ესპანეთის ჩემპიონატი. შედეგები
00:50 გერმანიის ჩემპიონატი. შედეგები
01:50 "გამჟღავნება"
02:20 02:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. WASHINGTON MYSTICS - CONNECTICUT SUN. პირდაპირი ტრანსლაცია
06:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
06:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:00, 15:40 პრესცენტრი
11:20, 22:30 "ოლიმპის შვილები"
11:25 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. TAMPA BAY LIGHTNING - CALGARY FLAMES. მე-5 მატჩი
14:15 "მოტოვებული კვირა"
15:00 ჭადრაკი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ელისტაში
15:55 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "როლან გაროსი" ვაჟთა ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (19:00) პრესცენტრი
22:00 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
22:40 სახვალიო ტელეპროგრამა
22:45 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. TAMPA BAY LIGHTNING - CALGARY FLAMES. მე-5 მატჩი
01:00 ახალი ამბები
01:15 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის თასი. პირველი ნაწილი

**EUROSPORT**
11:30 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი მაროკოში
11:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი საბერძნეთში
12:15 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
12:45 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
13:45 ფეხბურთი. ევრო-2004. ამხანაგური მატჩი. ჩეხეთი - ბულგარეთი
14:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
15:00 ფეხბურთი. პლანეტა ევრო
15:30 ფეხბურთი. პლანეტა ევრო
16:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
22:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
23:45 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!
00:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
01:15 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი მაროკოში
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი საბერძნეთში
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
03:45 ფეხბურთი. პლანეტა ევრო
04:15 ახალი ამბები

თვალსაზრისი

# შესაძლოა, მეცნიერების საკითხს საქართველოში მალე ჯვარი დაესვას

გიორგი ჩაგელიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

როდესაც ჩვენში მეცნიერების და დღევანდელ ცხოვრებაში მისი მნიშვნელობის გააზრების საკითხი დგება, ქართულ საზოგადოებას ბუნდოვნება მოიცავს - ძირითადად ისმის კითხვები, ზედაპირული აზრების ფრაგმენტები და არა რაიმე მწყობრი მოსაზრება. გაურკვეველია, თუ რა მდგომარეობაშია მეცნიერება საქართველოში, რა ხარვეზები აქვს და რამდენად აქვს შერჩენილი სრულყოფის პოტენციალი. რეალურად არ არის გააზრებული მეცნიერებისა და მეცნიერული აზროვნების მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებისა და ქვეყნის ფუნქციონირებისათვის. ხშირად საქმე, იქამდეც კი მიდის, რომ მეცნიერება საქართველოსათვის ფუფუნებად მოიაზრება. ასეთი "მოსაზრება" მეცნიერებაზე მას მეორეხარისხოვან, არაპრინციპულ საკითხთა რიგში აყენებს და ამით პრობლემებს უქმნის ქართული საზოგადოების ფუნქციონირებასა და განვითარებას. უფრო მეტიც: თუკი საქართველოში მეცნიერების მეორეხარისხოვნება დომინანტი გახდება ქვეყნის მმართველი წრეებისათვის - რაც გამომდინარეობს მათი ბოლოდროინდელი ინიციატივებიდან - ქართულ საზოგადოებას ღირსეული არსებობის პერსპექტივა მოესპობა. სამწუხაროდ, ეს არ არის გაზვიადებული მოსაზრება. მასში გარკვევისათვის გააზრებულ უნდა იქნას ის როლი, რომელსაც ასრულებს მეცნიერება და მეცნიერული აზროვნება დასავლეთის ქვეყნებში - იმ ქვეყნებში, რომლებთანაც თანაარსებობისკენ მივილტვით როგორც ოფიციალურად, ასევე არაოფიციალურად.

სტადიაში მყოფი აზროვნების კულტურა (მსოფლმხედველობა) შედეგია დასავლეთის მენტალური განვითარების რთული გზისა.

აქ მიზანშეწონილია ამ გზის მოკლე, სქემატური მიმოხილვა, რომელიც აშკარას ხდის მის ფუნდამენტალობას და თანმიმდევრულობას, მისი გააზრების და, საერთოდ, მეცნიერული აზროვნების ცხოველმყოფლობას.

დასავლური მენტალობის ისტორია სათავეს იღებს ძველბერძნული ცივილიზაციისაგან - ამ ანტიკურმა ცივილიზაციამ მისტიციზმისა და რაციონალიზმის შეზავებით ჩაუყარა საფუძველი იმ თვისებებს, რომელთაც მეტწილად უზრუნველყვეს დასავლური მენტალობის მუდმივი განვითარება. საერთოდაც, დასავლური საზოგადოების ისტორია შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც პროცესი მუდმივი მენტალური განვითარებისა. ბუნებრივია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა რთული კატაკლიზმების, სხვადასხვა სახის წინააღმდეგობების გაჩენისა და მათი გადაწყვეტის ფონზე, ამასთან, განვითარების ტემპიც არ იყო თანაბარი - განვითარებამ რეალური დინამიკა შეიძინა რენესანსის, რეფორმაციის, მეცნიერული რევოლუციისა და განმანათლებლობის შედეგად.

მაშინ, როდესაც ადამიანმა, ღმერთის რჩეულმა არსებამ - შექმნილმა ღმერთისაგან ხატად და მსგავსად თვისა - შემოქმედის ჩვევები გამოამჟღავნა და შემოქმედების და შექმნის მუხტით დაიმუხტა (რენესანსი), დასავლური ინტელექტის კრიტიკული მიდრეკილებები გააძლიერა და აზროვნება "ამქვეყნიური" სამყაროს შესამეცნებლად მიმართა (რეფორმაცია), კოპერნიკის, გალილეის და ნიუტონის ძალისხმევით რეალისტური მოდელი შექმნა სამყაროს მოწყობის, გაიაზრა ციურ სხეულთა მოძრაობის კანონზომიერებანი და, რაც მთავარია, შექმნა რწმენა იმისა, რომ საერთოდ ბუნებაში მიმდინარე მოვლენები გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება, რომელთა გააზრებისა და რაოდენობრივად აღწერის უნარი მას - ადამიანს - შესწევს (მეცნიერული რევოლუცია). შემდგომ (განმანათლებობიდან დაწყებული), გარემომცველ სამყაროში მიმდინარე მოვლენათა გააზრება, მათი დეტალური შესწავლა და კაცობრიობის ინტერესებისათვის გამოყენება ცივილიზაციის მამოძრავებელ ძალად იქცა. თანდათანობით ყოველივე ეს - დაკვირვება, გააზრება, შესწავლა - დასავლური საზოგადოების დამახასიათებელ თავისებურებად, უფრო მეტიც, განმსაზღვრელ თავისებურებებად და ცხოვრების წესად იქცა. სწორედ ამან განაპირობა დასავლური მენტალობის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები: ცოდნის მოყვარეობა, სიახლეებისადმი ლტოლვა, კრიტიკული მიდრეკილებანი, თანმიმდევრულობა, მოწესრიგებულობისაკენ ლტოლვა, მოქმედების დაწყებამდე პრობლემის მაქსიმალური გააზრების ჩვევა... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს თავისებურებანი ჩვენი მენტალობისათვის დამახასიათებელი არაა. რაც ჩვენთვის მთავარია, დასავლური მენტალობის მუდმივი განვითარების პროცესს აგვირგვინებს ის არაჩვეულებრივი დრო, რომელიც, შეიძლება ითქვას, დასაბამს იღებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან: დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არაჩვეულებრივია იმდენად, რამდენადაც დასავლური აზროვნება განიცდის უმნიშვნელოვანეს ეპოქალურ ცვლილებებს - ითვლება, რომ ყველაზე მნიშვნელოვანს თავის ისტორიაში.

ბუნებრივი და მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: მენტალობის ფორმაციათა მონაცვლეობასთან ერთად, დასავლური ცხოვრების ორგანიზაციაში და საზოგადოების ფუნქციონირებაში სულ უფრო მეტად იკვეთებოდა და იზრდებოდა აზროვნების როლი და ეს როლი დომინანტური გახდა (დასავლეთში და არა ჩვენთან) ჩვენს დროში, ახალი მენტალური ფორმაციის პირობებში. ჩვენი მენტალური განვითარება დასავლურს ფეხაწყობით ვერ მიუყვებოდა და ვერ მიუყვება. სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენ გვერდი აგვიარა დასავლური მენტალობის ზემოთ ჩამოთვლილმა, განვლილმა ეტაპებმა; რაც მთავარია და შეიძლება საბედისწეროც, ჩვენს მიღმა, ჩვენგან აბსოლუტურად გაუცნობიერებლად ხდება დასავლური მსოფლმხედველობის ბოლო რევოლუციური ცვლილებები - ის რომ, კაცობრიობა ნიუტონისეული მექანიკური მსოფლმხედველობის სანაცვლოდ იარაღდება ღია რთული სისტემების მსოფლმხედველობით. ღია რთული სისტემების აღმწერი ცოდნა (რომელიც პრინციპულად განსხვავდება მექანიკური სისტემების აღმწერი ცოდნისაგან) შობილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან, ამჟამად კაცობრიობის ცნობიერებაში ზოგადდება მსოფლმხედველობად - ყალიბდება ის უმნიშვნელოვანესი იდეები და ქმედითი პრინციპები, რომლებიც საშუალებას იძლევიან, გააზრებულ იქნას არა მარტო ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური სისტემების შინაგანი კანონზომიერებანი, არამედ საზოგადოებისა და ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებანი. ანუ, მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან დასავლეთში ყალიბდება ღია რთული სისტემების მსოფლმხედველობა იმ ზოგადი იდეებით და პრინციპებით, რომლებიც ადეკვატურად გაიაზრებენ თანამედროვე ურთულეს და მრავალპლასტიან ყოფიერებას. და ამ ფონზე - როდესაც დასავლეთი ასეთი კატეგორიებით ოპერირებს და "აგურ-აგურ" აშენებს თავისი კრეაციული მოქმედების მენტალურ საფუძვლებს - ჩვენში მეცნიერება ცხოვრების არააუცილებელ ატრიბუტად, ფუფუნებად ითვლება. ნაცვლად იმისა, რომ თანმიმდევრული და სათუთი მოქმედებებით აღმოფხვრილ იქნას ჩვენი მენტალური განვითარების თეთრი ლაქები და აზროვნების კულტურა საჭირო სიმაღლეზე იქნას აყვანილი, ჩვენი ხელისუფლება დაუფიქრებელ და გაუთვლელ ცვლილებებს აპირებს, რაც ალბათ მომაკვდინებელი აღმოჩნდება ისედაც არამყარი ქართული მეცნიერებისათვის.

თუკი ქართული საზოგადოების მიზანია ნავთობსადენისა და გაზსადენის უპრობლემო მომსახურეობისთვის გავაწვრთნევინოთ თავი დასავლეთს - ეს ერთია - გლობალიზაციის ეპოქაში ამ ლოკალური "მისიისათვის" დასაპროგრამებლად მეცნიერული აზროვნება, და, საერთოდ, შემოქმედებითი ცხოვრება, ალბათ, მართლაც ზედმეტია. მაგრამ თუკი ჩვენი საზოგადოების მიზანს გლობალიზაციის ეპოქაში ღირსეული გზის გაკვლევა, ადამიანთა მოდგმისთვის ფასეული - შემოქმედებითი - არსებობა, და, როგორც მინიმუმი, დასავლეთთან თანაბარუფლებიანი თანაარსებობა წარმოადგენს, მაშინ მეცნიერებას არ უნდა მიეკუთვნოს მეორეხარისხოვანი როლი, პირიქით, იგი სახელმწიფოსათვის პრიორიტეტად უნდა იქნას აღქმული. სამწუხაროდ, როგორც ბოლო დღეებში გახმაურებულმა, ფინანსთა სამინისტროში შემუშავებულმა პროექტმა - კანონი "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ - აჩვენა, დღევანდელ ხელისუფალთა მიერ მეცნიერება არა ქვეყნისათვის პრიორიტეტად, არამედ ტვირთად არის აღქმული: იგი საჯარო სამართლის სხვა იურიდიულ პირთა შორისაა ათქვეფილი - დაშლილი და გაუპიროვნებელი - და განუკითხავ განაჩენს ელოდება.

**რატომ დაშლილი, გაუპიროვნებული და განუკითხავი განაჩენის მომლოდინე - განვიხილოთ ცალ-ცალკე.**

ცხადია, და ამას ყველა აღიარებს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მმართველობა - პირველ რიგში აკადემიის პრეზიდენტი - კონსერვატული და არაქმედითია. ეს მნიშვნელოვნად ამძიმებს ქართული მეცნიერების, როგორც ერთიანი ორგანიზმის, ფუნქციონირებას. მიუხედავად ამისა და ქვეყანაში არსებული საერთო სირთულეებისა, მეცნიერება ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას. ჩვენი ერი ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი ინტელექტუალური ღირსებების მატარებელი, რაც უჩვენებია მსოფლიო დონის მეცნიერული ფასეულობების შექმნით მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. ჩვენს სამეცნიერო ცხოვრებაში კვლავაც არის დარჩენილი ფასეული კუნძულები. მათზე დაყრდნობით შესაძლებელია სრულფასოვანი მეცნიერების აღდგენა და მეცნიერული აზროვნების კულტურის განვითარება. ცხადია, ამას სჭირდება თანმიმდევრული მოქმედება, მმართველობის რადიკალური გამოსწორება, მეცნიერული ორგანიზმის მთლიანობის შენარჩუნება და არა მისი დაშლა შემადგენელ ნაწილებად/ინსტიტუტებად (ასე გააზრებულად მოექცნენ მეცნიერებას აღმოსავლეთ ევროპის ისეთ წარმატებულ ქვეყნებში როგორებიც არიან, მაგალითად, უნგრეთი და ჩეხეთი). ფინანსთა სამინისტროში ეხლა შემუშავებული პროექტის თანახმად კი აკადემიის ინსტიტუტები ერთმანეთთან რაიმე კავშირის გარეშე გადადიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში. იგივე პროექტის მიხედვით, სამეცნიერო დაწესებულებებს გამოცლილი აქვთ სპეციფიკა, ინდივიდუალობა და გაპიროვნებულნი არიან იურიდიული სტატუსით - "საჯარო სამართლის იურიდიული პირი", ე.ი., არა სამეცნიერო სისტემის ფუნქციონირებისათვის არის გამონახული და მორგებული იურიდიული ფორმა, არამედ პირიქით - გაუგებარ იურიდიულ ფორმაზე არის "მორგებულ-გაკრეჭილი" სრულიად გაუპიროვნებული სამეცნიერო ინსტიტუტები. ისიც გაურკვეველი ჩანს, რამდენადაა შეთანხმებული ეს ცვლილებები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან: განათლების მოშლილი სისტემის გამოსასწორებლად ამ სამინისტროს ზღვა პრობლემები აქვს გადასაჭრელი - ღმერთმა მისცეთ ამ პრობლემების თუნდაც დამაკმაყოფილებლად გადაჭრის ძალა და უნარი. ის, რომ მეცნიერების წარმართვაში არსებული პრობლემების გადაჭრის უნარი და რესურსები სამინისტროში არ არსებობს, სრულიად ცხადია და თუკი, მათ თანხმობა აქვთ გამოთქმული აკადემიური ინსტიტუტების საქმიანობის მართვაზე, ეს უკვე მავნებლობა ან უმეცრებაა.

ასევე განცვიფრებას იწვევს ის უაპელაციობა, რომლითაც ხელისუფლება მოქმედებს. პროექტი მომზადდა აკადემიაში მომუშავე მეცნიერთა სრული იგნორირებით, ფაქტობრივად ფარულად. შესაძლებელია, რომ ხელისუფალი მეცნიერებათა აკადემიას თვლიდეს კონსერვატიულ სისტემად და მისი მმართველობისადმი სიმპატიები არ ჰქონდეს, მაგრამ იმასაც აუცილებლად უნდა აცნობიერებდეს, რომ აკადემიის მმართველობის მიმართ იგივე განწყობა აქვს ამ სისტემაში მომუშავე მრავალ მეცნიერს, რომლებიც, მიუხედავად სირთულეებისა, მაინც ახერხებენ - ხშირად საკმაოდ წარმატებითაც - აკადემიის სისტემის ფარგლებში მოღვაწეობას, რომ ამ მეცნიერებს დაგროვილი აქვთ გარკვეული სიბრძნე და გაცილებით მეტი აქვთ ნაფიქრი სისტემის ავ-კარგიანობაზე, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით მეტი, ვიდრე "პროექტის" შემდგენ რევოლუციური შემართების (ალბათ) ახალგაზრდებს. ცხადია, ეს განუკითხაობაა და ასეც აღიქმება აკადემიურ წრეებში.

ჩვენი ხელისუფლების ამ მოქმედებაში სამწუხარო და შემაშფოთებელია შემდეგი: მას გააზრებული რომ ჰქონდეს მეცნიერული აზროვნების როლი დღევანდელ ეპოქაში, ასე განუკითხავად და უსისტემოდ არ იმოქმედებდა; დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი შეხედულების არის ქართულ მეცნიერებაზე. ქართული მეცნიერება სუსტიც რომ იყოს, მით უფრო მეტად სათუთი და თანმიმდევრული მოპყრობა სჭირდება ფეხზე დასაყენებლად.

შესაძლებელია, ხელისუფლების ამ აქტივობაში შემდეგ შეცდომასთან გვქონდეს საქმე: რევოლუციის წარმატება გარკვეულწილად განპირობებული იყო კონკრეტულად სამოქმედოდ გაწვრთნილი ახალგაზრდების მიერ ამ კონკრეტულ ქმედებათა შესრულებით - "კმარას" ტიპის მოქმედებით. შეძლება შეიქმნა წარმოდგენა, რომ ამ ტიპის წვრთნები ("ტრენინგები") საკმარისია ცხოვრების ორგანიზებისთვის - ეს ინერციით შექმნილი ილუზიაა. ტრენინგები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შექმნიან დღევანდელი ცხოვრებისათვის საჭირო აზროვნების კულტურის მქონე საზოგადოებას. ამ კულტურის შექმნის მექანიზმი ქვეყანაში მეცნიერების განვითარება და, ამით, კვლევის ჩვევების და მოვლენათა არსში წვდომის უნარის მქონე საზოგადოების ფენის შექმნაა - ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში ასეა, და, ალბათ, ჩვენც ორიენტაცია ამაზე უნდა ავიღოთ. აქ ერთხელ კიდევ გამოკვეთილად უნდა ითქვას შემდეგი: მეცნიერების დანიშნულება არ არის მხოლოდ მეცნიერული აღმოჩენების გაკეთება და, ამით ყოფითი პროგრესის სამსახური ან ფულადი მოგება. სამწუხაროდ, ჩვენში ასეთი გამარტივებული წარმოდგენა დომინირებს. მეცნიერებას მხოლოდ ეს დანიშნულება რომ ჰქონდეს, მაშინ მისი განვითარება საქართველოსათვის ასე ცხოველმყოფელი არ იქნებოდა. დღევანდელი მრავალპლასტიანი ცხოვრების პირობებში მეცნიერებას ქვეყნებისათვის სხვა არანაკლებმნიშვნელოვანი დანიშნულება აქვს - მათში აზროვნების კულტურის შექმნა და განვითარება, მსოფლმხედველობრივი ჰარმონიზაცია. საქართველოსათვის და მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს მეორე დანიშნულება გაცილებით მნიშვნელოვანია. არიან განვითარებადი ქვეყნები, მაგალითად მექსიკა, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ მეცნიერების ეს როლი - მექსიკაში უცხოელ მეცნიერებს ყოველნაირ პირობებს უქმნიან, რათა ამ ქვეყანაში ჩავიდნენ სამოღვაწეოდ. ასეთივე მიდგომაა მეცნიერებისადმი ირანშიც. თურქეთმა, შეიძლება ითქვას, ნულიდან დაიწყო მეცნიერების განვითარება და მცირე დროში რეალურ პროგრესს მიაღწია.

